ლიბერალი

№ 159 / მარტი 2015

1737
2015

მონსტრების ქალაქში

გვ. 58

ფასი 5 ლარი

ISSN 1987-7528

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოტა iOS-ისთვის

ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს წიგნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზ

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან iTune-ზე მოძებნეთ „IOTA READER"

lit.ge

ლიბერალი

№ 159 / მარტი 2015

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

ჟურნალის რედაქტორი
გიორგი ჭეიშვილი

პოლიტიკის რედაქტორი
ირაკლი აბსანძე

ვებგვერდის რედაქტორი/
მედიაგანვითარების
დირექტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამბების რედაქტორი
დათო გამისონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

ჟურნალისტები
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, გიორგი ჭეიშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია.

კონტრიბუტორები
ლევან ახალაია, ანკა გუჯაბიძე, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი კეკელიძე, ხათუნა ხაბულიანი, ირაკლი ხვადაგიანი, ზურაბ გურიელიძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი

ჟურნალის დიზაინერი
თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი/
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

ახალი ამბების სტილისტ/
კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი

ბიზნესგანვითარების
დირექტორი
ქეთევან ქავთარაძე

კომუნიკაციის მენეჯერი
ელენე ხარაზაშვილი

პარტნიორებთან ურთიერთობების
მენეჯერი
ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით:
247 02 46

www.liberali.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორის სვეტი

ჩვენ, ადამიანები

„დასახიჩრებული“ – ამ სიტყვას არქიტექტურის ისტორიკოსი მაია მანია „ლიბერალის“ ვებ-გვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში რამდენჯერმე იმეორებს. ინტერვიუში, რომელსაც სათაურად მანიას სიტყვებივე უძღვის – „თბილისი უიღბლო ქალაქია“...

განსაკუთრებული მიხვედრილობა არ სჭირდება იმას, რომ ქალაქები, სოფლები, დაბები, დასახლებები ადამიანებისთვის არსდება, შენდება, ვითარდება. ადამიანებს უნდა მოერგოს ინფრასტრუქტურა და არა პირიქით; ადამიანმა უნდა იგრძნოს თავი კომფორტულად, მყუდროდ, მოხერხებულად.

როდესაც ჟურნალის ამ ნომრის მთავარ თემად ქალაქი, აქცენტად კი ტრანსპორტის საკითხი შევარჩიეთ, ჩვენს ფოკუსში მოექცა კითხვა – გათვალისწინებულია კი დღევანდელი თბილისის გარემოში ადამიანი?

სწორედ ამ თემას ეხება თათია ხალიანისა და ეკა მაღალდაძის სტატია, რომელიც ჩვენს ყოველდღიურობას ასახავს, ყოველდღიურობას, რომელიც ხშირ შემთხვევაში ბრძოლას ჰგავს, “ბრძოლას სასურველ ავტობუსში მოსახვედრად, საცობიდან თავის დასაღწევად, სამსახურში დროულად მისასვლელად, ბრძოლას რაც შეიძლება მეტი მგზავრის შესაგროვებლად და საგზაო წრის სწრაფად შესაკვრელად. მნიშვნელობა არ აქვს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრი ხარ, კერძო ავტომობილის თუ ავტობუსის მძღოლი – ქალაქში A-დან B პუნქტამდე მისვლა უმეტესობისთვის არც კომფორტულია, არც სასიამოვნო და არც უსაფრთხო“.

ჩვენ, ადამიანებს გვეკუთვნის ქვეყანა, სახელმწიფო, ქალაქები. ჩვენ, ადამიანები ვწყვეტთ, როგორ შეიცვლება ან, პირიქით, უცვლელად შენარჩუნდება ის, რაც მოგვწონს, რასთანაც დაკავშირებულნი ვართ ყოფითი, ემოციური, კულტურული ბმულებით. ბმულებით, რომელთა გაგლეჯა ძლიერთა ამა ქვეყნისათა მაშინ ეადვილებათ, როცა მოქალაქეები ივიწყებენ ყველაზე მნიშვნელოვანს – მთავარია ადამიანი!

ზურაბ ვარდიაშვილი, მთავარი რედაქტორი

30 X 25

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი

მონსტრები ქალაქში

პრობლემები კულტურის სფეროში, იმ ადამიანების გაუთვითცნობიერებლობა, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს და საჯარო სივრცის მხატვრულ სახეს განსაზღვრავს, მრავალი მხრიდან კრიტიკის საგანია, მაგრამ ჯერჯერობით არსებით ცვლილებებს ვერ ვხედავთ.

არქიტექტურა თავისი ფუნქციონალურობის გამო მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანს ეხება, იმათაც, ვინც მხატვრული ფორმებით საერთოდაც არ არის დაინტერესებული და ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს ზოგადკულტურულ პროცესებს. გაუცხოებამ მოსახლეობასა და ქალაქს შორის ურბანული დინამიკის პირობებში შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მოიტანოს და ქალაქი მხოლოდ „მკვდარი“ შენობების გროვად აქციოს.

ხათუნა ხაბულიანი
გვ.58

ინტერვიუ

ეკონომიკური დრამა წინ გველის

გასულ თვეს საქართველო „ლარის ციებ-ცხელებამ“ მოიცვა. გაცვლითი კურსის ნახტომისებურმა მატებამ უკვე მოიტანა შედეგები, რომელიც თითოეულ მოქალაქეს მძიმედ შეეხო. საწვავის და საკვები პროდუქტების ფასები ნელ-ნელა მატულობს. თუმცა რესპოდენტი ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და „მთავარი ეკონომიკური დრამა წინ გველის“.

რომან გოცირიძე დეტალურად გვიყვება რისგან შედგება კრიზისი. რა შეიძლება მოვიმოქმედოთ უფრო მტკივნეული შედეგების პრევენციისთვის და ა.შ. იმედი მაქვს, მკითხველს ინტერვიუს შინაარსი ყოფით ცხოვრებაში გამოადგება.

ზურაბ ვარდიაშვილი
გვ.14

ინტერვიუ

"სიძველეზე ყოფნის უფლება"

როგორია ქალაქი, რომლის განვითარების ყველა მიმართულების ცენტრშიც ადამიანი დგას? რა სჭირდება თანამედროვე, განვითარებულ ურბანულ სივრცეს იმისთვის, რომ იქ ცხოვრება სასიამოვნო და კომფორტული იყოს? საბოლოოდ, სად გადის ზღვარი სიძველის შენარჩუნებასა და ახლის დამკვიდრებას შორის?

ასეთ კითხვებზე პასუხების მოსმენა განსაკუთრებით საინტერესოა იმ ადამიანებისგან, რომლებიც სხვა ქვეყნების, ქალაქებისა და საზოგადოებების გამოცდილებას იცნობენ და მდგრადი ქალაქგანვითარების უპირატესობებსა და გამოწვევებზე შეუძლიათ საუბარი.

ეკა მაღალდაძე
გვ.54

ფოტოპროექტი

ღხინი იქა, ჭირი აქა

ანკა გუჯაბიძე
გვ. 36-45



საზოგადოება

მოძრაობა წესების გარეშე

ქალაქში მოძრაობა ყოველდღიურად საზოგადოებრივი ტრანსპორტით გვიწევს, იქნება ეს მეტრო თუ ავტობუსი. შესაბამისად, კარგად ნაცნობია მუდმივი დისკომფორტი, რომელიც ჩვენს გადაადგილებას ახლავს თან: არაკომფორტული, ძველი ავტობუსები, გადაჭედილი „მარშუტკები", საცობები ქუჩაში, პარკინგი ტროტუარებზე. გამუდმებით გვიწევს ალტერნატიული ტრანსპორტის ძიება, რომელიც არ არსებობს.

სწორედ ამიტომ, ვწერთ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ქალაქზე, სადაც მოძრაობის წესები დადგენილი ჯერ კიდევ არ არის, სადაც ადამიანები და მანქანები მათი კუთვნილი ადგილისთვის იბრძვიან. მოქალაქეების უსაფრთხო გადაადგილებაზე კი არავინ ზრუნავს.

თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე
გვ.24

ნომერში:

ილუსტრაცია თბილისი ნაბურთალი

უცხოეთი

08 გაერო ხუთი მომაკვდინებელი ცოდვა

ინტერვიუ

14 ეკონომიკური დრამა წინ გველის

პოლიტიკა

20 მიეცი ხმა ქალს

საზოგადოება

24 მოძრაობა წესების გარეშე

სამართალი

32 ხელისუფლების „უზენაესი“ გამოწვევა

ფოტოპროექტი

36 ლხინი იქა, ჭირი აქა

ბიბლიოთეკა

46 ანტიტოტალიტარული ლიტერატურა

50 კოლაუ და გაზეთები

ქალაქი

54 „სიძველედ ყოფნის უფლება“

58 მონსტრები ქალაქში

61 „იუნკერს 13-ის“ შეწყვეტილი რეისი

სამყარო

68 ცხოველი, რომელიც საკუთარ თავს სარკეში ცნობს

სვეტი

72 ლუდი მთად და ლუდი ბარად

კულტურა

74 თბილისურ შენობათა მაკეტების კოლექცია

78 აკრძალვის ნათელი

სპორტი

83 ძველი კაცის გახსენება

ESSE

აკრძალვის ნათელი

ახლახან სოლჟენიცინის ფრაზა გადავიკითხე: „არა მხოლოდ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს დაწერილ ერთ სტრიქონსაც ვერ ვნახავდი დაბეჭდილს, არამედ უახლოეს მეგობარსაც კი ვერ წავაკითხებდი. იმის შიშით, ამას შეიტყობდნენ“.

დამსჯელი და რეპრესიული სახელმწიფო ცხადად წარმოვიდგინე... მერე მედიის ყურადღების ცენტრში მოქცეული უელბეკი გამახსენდა, რომლის რომანი „დამორჩილება“ ლამის ცენზურის მსხვერპლად გამოაცხადეს. მივხდი, რომ ცენზურაც კი ზოგჯერ საზარელია და ზოგჯერ სასაცილომდე მსუბუქი. სტატიაც სწორედ ამ ტოტალურ განსხვავებასა და, ზოგადად, ცენზურას ეხება.

დავით ბუხრიკიძე
83.78

სამართალი

ხელისუფლების "უზენაესი" გამოწვევა

დღეს სასამართლო სისტემისთვის გარდამტეხი პერიოდი დგას - მესამე ხელისუფლება თავმჯდომარეს იცვლის. თუმცა საბოლოო სიტყვა პარლამენტმა უნდა თქვას. მას შანსი აქვს დაამტკიცოს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა მისთვის პრიორიტეტულია.

საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე პროცესები დამაიმედებელ პროგნოზს არ იძლევა. თუ პარლამენტი პრეზიდენტის რჩეულ კანდიდატს ორჯერ ჩააგდებს, მესამე ხელისუფლებას სათავეში ზაზა მეიშვილი ჩაუდგება – მოსამართლე, რომელიც მუდმივად "ქართული ოცნების" კრიტიკის ქარცეცხლში ტრიალებს. მიმდინარე პროცესები ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერის ფონზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანას დამოუკიდებელი მართლმსაჯულების შექმნის ვალდებულება აქვს.

ქეთევან ღვედაშვილი
83.32

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებგვერდი: www.liberali.ge

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

My Preschool, my future!

ÉTABLISSEMENT CONVENTIONNÉ aefe agence pour l'enseignement français à l'étranger

Ecole Française du Caucase

The French School of the Caucasus

An open door to Europe in the respect of the Georgian Culture

A quality education through excellence and high performance methods

An international team of certified and multidisciplinary teachers

A secure and stimulating environment to work in optimal conditions

კავკასიის ფრანგული სკოლა

ღია კარი ევროპისკენ ქართული კულტურის პატივისცემით

ხარისხიანი განათლება და მაღალი დონის მეთოდოლოგია

სერტიფიცირებული პედაგოგების საერთაშორისო და პლურიდისციპლინური გუნდი

უსაფრთხო და მასტიმულირებელი გარემო, ოპტიმალური სამუშაო პირობები

Respect

Excellence for all

Solidarity



(00 995 32) 2 29 47 72

www.efc.edu.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევანი - სიკვდილი



წყარო - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია

ავტორი: თათია ხალიანი, დიზაინერი: ირაკლი ჭუმბურიძე (ჯამპსტარტ ჯორჯია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, რაც ოჯახში **არ რჩება**

ოჯახში ძალადობის მუხლით **რეგისტრირებული საქმეები**



2014 (9 თვე)

მსხვერპლი



მოძალადე



*დამცავი/შემაკავებელი ორდერი არის ძალადობისგან მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიება.

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ავტორი: ქეთევან ღვედაშვილი, დიზაინერი: ია ნინოშვილი (ჯამპსტარტ ჯორჯია)

ბალკანეთი
ხუთი მომაჯვღინებელი სოდვა

„ჩვენ ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა ერთმანეთის უსაფრთხოებაზე“, – ეს სიტყვები გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა 2006 წლის დეკემბერში, აშშ-ის პრეზიდენტისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ჰარი ტრუმენის სახელობის ბიბლიოთეკაში გამოსვლისას წარმოთქვა. გენერალური მდივნის რანგში ანანისთვის ეს უკანასკნელი მოხსენება იყო. გაეროს დაფუძნებიდან 70 წელი გავიდა. თუმცა მსოფლიოში შეიარაღებული კონფლიქტების სიმრავლე ცხადჰყოფს, რომ ნობელის პრემიის ლაურეატის, განელი კოფი ანანის ეს ფრაზა მხოლოდ მოწოდებად დარჩა.

ლევან ახალაია

ნიუ-იორკში მდებარე გაეროს შტაბბინის 39-სართულიანი შენობის ფანჯრებს მიღმა მკაცრი რეალობა სულ უფრო ბუნდოვნად ჩანს, ხოლო კრიზისებზე რეაგირების ხავსმოკიდებული მექანიზმი დღითიდღე უფრო ნელა მუშაობს. გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივმოქმედ წევრ სახელმწიფოს შორის შეხედულებების ფუნდამენტური სხვაობა უფრო შესამჩნევი ხდება. მეტიც, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია „ამნესთი ინთერნეშნელის“ შეფასებით, ამ ინტერესებს ხშირად მშვიდობიანი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე მაღლა აყენებენ.

ამას გაეროს მშვიდობისმყოფელი მისიების არცთუ წარმატებული ისტორიაც ემატება. გაეროს „ცისფერჩაფხუტიანები“ სულ 70 ოპერაციაში მონაწილეობდნენ. თექვსმეტი დღემდე გრძელდება. მშვიდობისმყოფელებმა დამოუკიდებლად ვერცერთი კონფლიქტის გადაჭრა ვერ შეძლეს. მათი ნაწილი სხვა მიზეზებით შეწყდა, ნაწილი კი „გაიყინა“.

„ცისფერჩაფხუტიანები სრებრენიცაში“

ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე გაეროს მშვიდობისმყოფელთა მისია პირველად 1992 წელს გაგზავნეს. „ცისფერჩაფხუტიანები“ ჯერ ხორვატიაში, შემდეგ კი ბოსნიასა და მაკედონიაშიც შეიყვანეს. სამწელიწადნახევრის განმავლობაში კონფლიქტის შეჩერება ვერ მოხერხდა. მეტიც, სერბი მებრძოლების თავდასხმების შედეგად 200 მშვიდობისმყოფელი დაიღუპა. გაეროს ძალისხმევის მიუხედავად, 1995 წელს ხორვატიის არმიამ მთელი ქვეყნის

ტერიტორიაზე კონტროლი ძალის გამოყენებით აღადგინა და სერბსკა კრაინას თვითგამოცხადებული რესპუბლიკა გააუქმა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე სისხლისმღვრელ დაპირისპირებად აღიარებული ომი, მსოფლიოს სრებრენიცაში მომხდარი საზარელი ტრაგედიით დაამახსოვრდა. 1995 წლის ივლისში ბოსნიაში, მუსლიმებით დასახლებულ ანკლავთან დისლოცირებულმა მშვიდობისმყოფელების დანაყოფმა სერბი მებრძოლების მოთხოვნით ქალაქი დატოვა. ჰოლანდიელი „ცისფერჩაფხუტიანების" გასვლის შემდეგ, გენერალ რადკო მლადიჩის ბრძანებით, ხუთი დღის განმავლობაში 8 ათასი მუსლიმი დახოცეს. დევნილების ნაწილმა (მათი რიცხვი სხვადასხვა მონაცემებით 5 ათასს აღწევდა) ახლომდებარე მშვიდობისმყოფელების ბაზას შეაფარა თავი. თავდაპირველად „ცისფერჩაფხუტიანები" მათ დახმარებას შეჰპირდნენ. თუმცა 1995 წლის 13 ივლისს დევნილები მლადიჩის სამხედროების მიერ დატყვევებულ 14 თანამებრძოლში გაცვალეს. ყველა მუსლიმი მამაკაცი ბოსნიელმა სერბებმა მოკლეს. 2013 წელს ჰაგის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მშვიდობისმყოფელებმა ბოსნიელების დასაცავად საკმარისი ძალისხმევა ვერ გაწიეს და ნიდერლანდების ხელისუფლებას დაღუპულთა ოჯახებისთვის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა. თუმცა 5 ათასიდან მხოლოდ 300 ოჯახზეა ლაპარაკი. ჰოლანდიის მთავრობა წლების განმავლობაში ამტკიცებს, რომ სამშვიდობოებს მლადიჩის სამხედროებისთვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალება არ ჰქონდათ.

გაერო „უძლური" კიდევ ერთხელ 1998 წელს აღმოჩნდა, როდესაც სლობოდან მილოშევიჩმა კოსოვოში „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა" დაიწყო. შედეგად 230 ათასი კოსოვოელი მაკედონიაში გაიქცა, სადაც დევნილთა ბანაკს შეაფარა თავი. უშიშროების საბჭოში დისკუსიებმა, რუსეთის პოზიციის გამო, შედეგი ვერ გამოიღო. თუმცა "ნატოს" ყოფილი გენერალური მდივნის, ხავიერ სოლანას „ძალისხმევით", ალიანსმა სამხედრო ოპერაცია მაინც დაიწყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობები ასეთი დაძაბული არასდროს ყოფილა. მოსკოვში ბელგრადისთვის მძიმე შეიარაღების გადაცემასაც კი ითხოვდნენ. „ნატოს" თვითმფრინავების 35 ათასზე მეტი ავიაიერიშის შედეგად 1000-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის 500 სამხედრო, დაიღუპა. ყველაფერი მილოშევიჩის დანებებით დასრულდა, რომელიც ალიანსის მოთხოვნების შესრულებას, ისე დასთანხმდა, რომ მოსკოვს არც კი აცნობა. ამის შემდეგ კოსოვოში გაეროს მშვიდობისმყოფელები გაგზავნეს, მცირე კონტიგენტი იქ დღემდე რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენოციდი „ათასი ბორცვის მხარეში“

გაეროს სისუსტე ყველაზე უკეთ აფრიკულ ქვეყნებში გამოჩნდა, სადაც სისხლისმღვრელი დაპირისპირება სხვადასხვა სახელმწიფოებს, ტომებსა თუ პოლიტიკურ ოპონენტებს შორის დღემდე გრძელდება. ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი კი რუანდაა, სადაც 1994 წლის ზაფხულში 800 ათასი ადამიანი მოკლეს. ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკურ ტომ ჰუტუს ექსტრემისტები მეორე ტომის, ტუტსის, წარმომადგენლებსა და მათ მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებაში შემჩნეულ ჰუტუებს სასტიკად გაუსწორდნენ.

„ათასი ბორცვის მხარედ“ წოდებული ქვეყანა 100 დღით სასაკლაოდ იქცა. რუანდაში გენოციდი წინასწარ რომ მზადდებოდა, ამას ქვეყანაში დისლოცირებული გაეროს მისიის მეთაური კანადელი გენერალი რომეო დალერი 1994 წლის იანვარში აცხადებდა. ხოცვა-ჟლეტა და ქაოსი 6 აპრილს პრეზიდენტის თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ დაიწყო. მმართველმა ელიტამ მომხდარში ტუტსის „პატრიოტული ფრონტის“ მებრძოლები დაადანაშაულა. უკვე 7 აპრილს მოკლეს პრემიერ-მინისტრი და მასთან ერთად დახვრიტეს 10 ბელგიელი მშვიდობისმყოფელი. 11 აპრილს ბელგიამ რუანდის დედაქალაქში მდებარე სასწავლებელში დისლოცირებული სამხედრო კონტიგენტი გაიყვანა, რასაც ამავე შენობაში შეფარებული 2 ათასი ტუტსის მკვლელობა მოჰყვა. ამის შემდეგ რუანდა დატოვეს გაეროს მშვიდობისმყოფელებმაც – 5624-მა „ცისფერჩაფხუტიანმა“ გენოციდი ვერ შეაჩერა. საინტერესოა, ის ფაქტიც რომ რუანდაში დატრიალებული საზარელი ტრაგედიის დროს გაეროს სამშვიდობო ძალებს კოფი ანანი ხელმძღვანელობდა.

2003 წელს გენერალმა რომეო დალერმა თავის წიგნში მკაცრად გააკრიტიკა გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი. მისი თქმით, არაერთი თხოვნის მიუხედავად, „ცისფერჩაფხუტიანებს“ საშუალება არ მისცეს იარაღი გამოყენებინათ, რათა ტუტსის მასობრივი მკვლელობა აღეკვეთათ. 2004 წელს „შეცდომა“ თავად ანანმაც აღიარა.

შარშან რუანდას გენოციდიდან 20 წელი შესრულდა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში და მის მეზობელ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სიტუაცია კვლავ რთული რჩება. 25 თებერვალს კონგოს დემოკრატიული



რესპუბლიკის არმიამ ქვეყნის ტერიტორიაზე გამაგრებული ჰუტუს ტომის შეიარაღებული მებრძოლების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაიწყო. კონგოს მთავრობა ამტკიცებს, რომ მებრძოლთა ლიდერები 1994 წლის გენოციდში მონაწილეობდნენ. მიუხედავად ამისა, კონგოში დისლოცირებული გაეროს სამშვიდობო ძალების მეთაურებმა ოპერაციაში მონაწილეობაზე უარი თქვეს. „ცისფერჩაფხუტიანების" მისია აფრიკის კონტინენტზე ათეულობით სახელმწიფოში მოქმედებს. მათ შორის ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 12 ათასკაციანი შემადგენლობით, ასევე სუდანის და სამხრეთ სუდანის რამდენიმე რაიონში – კოტ-დიუვუარში, ლიბერიაში, მალიში და დასავლეთ საჰარის ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, არცერთი კონფლიქტი გადაჭრილი არ არის.

„რეზოლუცია 1441"

გაეროს ქმედუნარიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ კიდევ ერთხელ 2003 წელს დადგა, როდესაც აშშ-ის მეთაურობით ერაყში სამხედრო კამპანია დაიწყო. „რეზოლუცია 1441", რომელსაც საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი, სადამ ჰუსეინის ხელისუფლებას განიარაღებისკენ და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებდა.

დოკუმენტი დღესაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. საფრანგეთი და რუსეთი ამტკიცებს, რომ რეზოლუცია ერაყში ძალის გამოყენების ნებართვას არ იძლეოდა. საპირისპირო პოზიცია აქვთ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს. წლების შემდეგ მოსკოვში ამტკიცებენ, რომ ერაყში ამერიკელი სამხედროების შეყვანამ, ქვეყნის ტერიტორიაზე ექსტრემისტული დაჯგუფება, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას დაუდო დასაბამი. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა არაერთხელ განაცხადა. თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი ტონი ბლერი, რომელმაც 2003 წელს ერაყში ძალის გამოყენებას მხარი დაუჭირა, ამბობს, რომ დღესაც ასე მოიქცეოდა. ფაქტია, რომ სამხედრო ინტერვენციამ ერაყში დასავლეთისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ქვეყნაში დღემდე გრძელდება საბრძოლო მოქმედებები. მეტიც, აშშ-ის მეთაურობით ჩამოყალიბებული საერთაშორისო კოალიციის წევრი სახელმწიფოების გამანადგურებლები დღესაც, ფაქტობრივად გაეროს სანქციის გარეშე ბომბავენ ერაყსა და სირიაში გამაგრებულ ექსტრემისტებს. ამასთან, თუ ერაყის ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებას სამხედრო დახმარების თხოვნით მიმართა, სირიის მხრიდან ასეთი მოთხოვნა არ ყოფილა. მართალია, უშიშროების საბჭომ 2014 წლის 14 აგვისტოს დაამტკიცა „რეზოლუცია 2170", რომელშიც მოუწოდებს „ყველა ქვეყანას ითანამშრომლონ, რათა, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წევრები მართლმსაჯულების წინაშე წარდგენენ". თუმცა დოკუმენტში კვლავ არაფერია ნათქვამი ძალის გამოყენების ნებართვაზე, რაც მომავალში სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

„გაეროს მარცხი სირიაში"

გაერო „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდა სირიაშიც, სადაც სამოქალაქო ომი უკვე 4 წელიწადზე მეტია გრძელდება. 2012 წელს უშიშროების საბჭომ, რუსეთისა და ჩინეთის ვეტოს გამო, ზედიზედ რამდენჯერმე ვერ დაამტკიცა რეზოლუცია, რომელიც ქვეყანაში სისხლისღვრის შეჩერებას ისახავდა მიზნად.

სირიის ოპოზიციისა და მთავრობის მონაწილეობით, გაეროს ინიციატივით გამართული ყველა სამშვიდობო მოლაპარაკება ჩაიშალა. გაეროსა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ორი სპეციალური წარმომადგენლის – კოფი ანანისა და ალჟირელი დიპლომატის ლახდარ ბრაჰიმის სამშვიდობო მისიებმა შედეგი ვერ გამოიღო.

2012 წლის 19 აგვისტოს „ცისფერჩაფხუტიანებმა" სირია უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო დატოვეს. სამშვიდობოების მცირე კონტიგენტი მხოლოდ ისრაელისა და სირიის საზღვარზე მდებარე გოლანის მაღლობებზე რჩება. კონფლიქტის შედეგად დღეს სირიის ერთ ნაწილს ბაშარ ასადის მთავრობა, მეორეს – სირიის ოპოზიციის მებრძოლები, ხოლო მესამეს – ე.წ. ისლამური სახელმწიფო აკონტროლებს.

ერთი წლის წინ გაერომ სირიაში მსხვერპლთა რიცხვის დათვლაც კი შეაჩერა. ჰუმანიტარული კრიზისი ქვეყანაში არნახულ მასშტაბებს აღწევს, ხოლო ლტოლვილთა ნაკადი არ წყდება. გაეროს ლტოლვილთა საagენტოს ინფორმაციით, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 9 მილიონს აჭარბებს.

„5-2 ლიბიაში“

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1973 ლიბიის ყოფილ მეთაურ პოლკოვნიკ მუამარ კადაფისთვის „საბედისწერო“ აღმოჩნდა. დოკუმენტი ავტორებმა ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფოს საჰაერო სივრცე „არასაფრენ ზონად“ გამოაცხადეს, ხოლო NATO-მ ოპერაცია სახელწოდებით „ოდისეა განთიადი“ წამოიწყო. 2012 წლის მარტში მიღებულ რეზოლუციას გაეროს მუდმივმოქმედმა წევრებმა, რუსეთმა და ჩინეთმა, მხარი არ დაუჭირეს, თუმცა არც წინააღმდეგ წასულან. ალიანსის სამხედრო ოპერაცია ოქტომბერში მუამარ კადაფის სიკვდილის შემდეგ დასრულდა. მართალია, ლიბიის მთავრობამ გაეროს „ნატოს“ მანდატის გახანგრძლივების წინადადებით მიმართა, თუმცა უშიშროების საბჭომ თხოვნა არ დააკმაყოფილა.

მიუხედავად ქვეყანაში გამართული რამდენიმე არჩევნებისა, ბოლო მოვლენები აჩვენებს, რომ მშვიდობამ ლიბიაშიც ვერ დაისადგურა. გასამხედროებულ დაჯგუფებებს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლა რამდენიმე წელია განუწყვეტლივ გრძელდება. აქტიურობენ, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერებიც, რომლებმაც ლიბიის რამდენიმე რაიონში საწვრთნელი ცენტრებიც კი გახსნეს.

კონტროლის აღდგენის მიზნით, ქვეყნის დროებითი ხელისუფლება გაეროსგან იარაღის მიწოდებაზე დაწესებული ემბარგოს გაუქმებას ითხოვს. სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც ექსტრემისტებმა ლიბიაში გატაცებული ეგვიპტელი კოპტები დახოცეს. საპასუხოდ ეგვიპტის ავიაციამ ლიბიის ტერიტორიაზე იერიშები მიიტანა. საინტერესოა, რომ ძალის გამოყენების ნებართვა გაეროს ამ შემთხვევაშიც არ გაუცია, ხოლო ეგვიპტემ უშიშროების საბჭოს ლიბიაში საერთაშორისო ინტერვენციის მოთხოვნით პოსტფაქტუმ მიმართა.

„ციხეფრაფხუტიანები უკრაინაში“

უკრაინის აღმოსავლეთში კრიზისის „ცხელი“ ფაზის დასრულებასთან ერთად ოფიციალური კიევი გაეროს სამშვიდობოების შემოყვანას ითხოვს. მოსკოვში ამ საკითხისადმი სკეპტიკური პოზიცია უკვე გამოთქვეს და უკრაინას „მინსკის შეთანხმების“ შესრულებისკენ მოუწოდეს.

საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, გაეროს მშვიდობისმყოფელების ოპერაციის დაწყებას უშიშროების საბჭოს თანხმობა სჭირდება. რუსეთის ვეტო კი შესაძლოა უკრაინისათვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცეს. თუმცა, თუ მხარეები მაინც შეთანხმდნენ, მისიის დასაწყებად სულ მცირე ექვსთვიანი მოსამზადებელი პერიოდი დასჭირდება.

ალტერნატიულ ვარიანტად უკრაინის ხელისუფლება დონბასში ევროკავშირის დამკვირვებლების განლაგებას განიხილავს. ასეთი მისია არსებობს ბოსნიასა და კოსოვოში, ასევე ავღანეთსა და პალესტინის ავტონომიაში. თუმცა საერთაშორისო დამკვირვებლებისა და მშვიდობისმყოფელების ისტორია აჩვენებს, რომ მათი ყოფნა კონფლიქტურ რეგიონში უსაფრთხოების კუთხით სიტუაციას მნიშვნელოვნად არ ცვლის...

ფაქტია, რომ არსებულმა რეალობამ საერთაშორისო საზოგადოებას ცვლილებებისკენ უნდა უბიძგოს. ცალკეული სახელმწიფოები უკვე წლებია გაეროს სტრუქტურის რეფორმირების მოთხოვნით გამოდიან. 1993 წლიდან მოქმედებს შესაბამისი საკონსულტაციო ჯგუფიც, თუმცა კონსენსუსის მიღწევა დღემდე ვერ ხერხდება.

ამ ფონზე საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები უკვე ღიად მოუწოდებენ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს, არ გამოიყენონ „საბედისწერო ვეტოს“ უფლება, მაშინ როდესაც სახეზეა ადამიანების ძირითადი უფლებების მასობრივი დარღვევები და გენოციდი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, გაბრიელ გარსია მარკესის რომანის გმირ, დასახვრეტად კედელთან მდგარ, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გვერდით ყველა ერთად აღმოვჩნდეთ.

ბავხალოთ ბარემოზე ზრუნვა ეფექტური

გიფიქრიათ რამდენ სითბოს კარგავთ ბინის კარ-ფანჯრიდან, სახურავიდან თუ იატაკიდან? დაგითვლიათ თქვენი ოჯახისა თუ კომპანიის ბიუჯეტის რა ნაწილს შეადგენს ენერგიაზე გაწეული დანახარჯები? იცით ეს ყველაფერი რამდენად უარყოფით ზეგავლენას ახდენს გარემოზე?

ენერგიის დაზოგვა დღეს უკვე მთელ მსოფლიოში დამკვიდრებული ტენდენციაა. ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ მარტივი და არც თუ ისე ძვირი ღონისძიებებით შეგვიძლია ნაკლები რაოდენობის ენერგიის მოხმარებით იგივე პირობები შევიქმნათ, რაც მანამდე გვქონდა, და ხშირად გავიუმჯობესოთ კიდეც. ჩვენი სახლისა თუ კომპანიის ენერგოეფექტურობა ნიშნავს არა მხოლოდ მეტ კომფორტს ნაკლები დანახარჯის ფასად, არამედ გარემოზე ნაკლებ მავნე ზეგავლენასაც.

შენობებიდან თუ საწარმოებიდან ნახშირორჟანგის გაფრქვევები კლიმატის ცვლილების უმთავრესი გამომწვევი ფაქტორია. კვლევების თანახმად, ასეთი გაფრქვევების დაახლოებით 40% საქართველოში სწორედ შენობებზე მოდის და არა მრეწველობაზე. თუკი მაგალითად, G კლასის ელექტრომოწყობილობების ნაცვლად A+ კლასის ტექნიკას შევიძენთ, ის სამჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს. თუმცა, ენერგოეფექტურობა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ასეთი ტექნიკა შევიძინოთ, ან მშენებლობა-დაპროექტებისას თბოიზოლაციის საკითხები გავითვალისწინოთ. ხშირად ეს ზედმეტ დანახარჯს საერთოდ არ გულისხმობს, გარდა იმისა, რომ ენერგია გონივრულად და ეფექტურად მოვიხმაროთ. მხოლოდ საყოფაცხოვრებო ჩვევებისა და პირობების შეცვლითაც კი, ადამიანს არა მხოლოდ მისი მიკროკლიმატის, მსოფლიო ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაშიც კი შეუძლია მცირედი წვლილის შეტანა.

მაღალი კლასის ტექნიკის შეძენას საცხოვრებელი სახლებისა და კომპანიების შიდა თუ გარე დათბუნებას, კარ-ფანჯრის მოწესრიგებას და სხვა ღონისძიებებს ხშირად თავს სწორედ იმიტომ არიდებენ, რომ ეს თავდაპირველად მეტის გადახდას მოითხოვს, თუმცა წლების განმავლობაში ეს იმაზე ბევრად მეტის დაზოგვის საშუალებას გვაძლევს, ვიდრე თავდაპირველი ინვესტიცია იყო, ანუ ფინანსური ეფექტი უკვე პირველივე თვეებიდან აშკარაა.

კომუნალური გადასახადების შემცირების უმარტივესი გზა განათების სისტემის ცვლილებაა. ენერგობიუჯეტის 11% სწორედ განათებას ხმარდება. მაგ. კომპაქტური ენერგოდამზოგავი ნათურა 75%-ით ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს იგივე ნათების მისაღებად და ათჯერ უფრო სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე, ე.წ. ვარვარების ნათურა, რომელსაც მასობრივად ვიყენებთ. თუ ვარვარების ნათურა 50-60 თეთრი ღირს, ენერგოდამზოგავი ნათურის ფასი 5-12 ლარამდე მერყეობს. წელიწადში, საშუალოდ, ერთი ნათურის ჩანაცვლებით 18კვტ.სთ-მდე (დაახლოებით 3 ლარი) ენერგიის დაზოგვა შეგვიძლია.

რამდენიმე წლის წინ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში მხოლოდ საცხოვრებელი სახლებიდან 1,8 მილიარდი ლარის ელექტროენერგიის დაზოგვა შეგვიძლია. ექსპერტული დაანგარიშებით, თანამედროვე მოთხოვნებით თბოიზოლირებული შენობების გასათბობად იმ ენერგიის 18%-იც გვეყოფოდა, რასაც ახლა არათბოიზოლირებული შენობებისთვის ვიყენებთ. მხოლოდ თანამედროვე ტიპის კარ-ფანჯარაც 10-დან 25%-მდე ამცირებს შენობიდან სითბოს გადინებას, შესაბამისად – ენერგიის გადასახადსაც.

თუ ენერგოეფექტური ღონისძიებები შენობის დაპროექტებამდე იქნება გათვალისწინებული, აღნიშნული მშენებლობის ხარჯებს მხოლოდ 5-10%-ით გაზრდის, მაშინ, როცა ასეთ შენობებში ენერგოდანახარჯები რამდენჯერმე ნაკლები იქნება .

კვლევის თანახმად, ბოლო ასი წლის მანძილზე შენობების კედლები დროთა განმავლობაში 4-ჯერ გათხელდა, ხოლო მათი წონა დაახლოებით 6,5-ჯერ შემცირდა, შესაბამისად, კედლებიდან სითბოს დანაკარგებიც გაიზარდა. ზოგიერთ ახალაშენებულ ნაგებობაში კედლების სისქე 25 სმ-ს არ აღემატება. ხშირად ასეთ კედლებზე ორთქლი კონდენსირდება. გარდა იმისა, რომ იქ სითბოსა და სიგრილის შენარჩუნება გაცილებით რთულია, წყლად ქცეული ორთქლი სახლის ესთეტიკურ მხარეზე მოქმედებს და იერსახესაც აფუჭებს, ეს ყველაფერი კი არასწორად შერჩეული სამშენებლო მასალისა და არასწორი ჩვევების ბრალიც კი შეიძლება იყოს. მაგალითად ისეთი მარტივი ქცევის, როგორიც განიავების სიხშირე და ხანგრძლივობაა.

საქართველოში მცირე რაოდენობით, თუმცა ფუნქციონირებენ ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით ნაკლები ზიანი მიაყენონ გარემოს და შეამცირონ მასზე უარყოფითი ზეგავლენა

მათ შორის არის „პროკრედიტ ბანკი“, რომელიც სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში წლებია სხვადასხვა გარემოსდაცვით ღონისძიებაში მონაწილეობს. გარდა იმისა, რომ ბანკმა სათავო ოფისი და ფილიალები ენერგოეფექტურ სამშენებლო სტანდარტებს შეუსაბამა, ასევე აღჭურვა შესაფერისი ტექნიკით თუ ავტომობილებით, დაიწყო ნარჩენების დახარისხება-გადამუშავებაზე ზრუნვა და იზრუნა თანამშრომლების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზეც. თავისი საქმიანობით გარემოზე ირიბ ზეგავლენასაც აფასებს და ყველა ბიზნეს-სასესხო მოთხოვნა იმის მიხედვით ფასდება და კმაყოფილდება, რამდენად შეიცავს დაგეგმილი საქმიანობა გარემოსდაცვით რისკებს. თუ კომპანიას უშუალოდ ენერგოეფექტური ღონისძიებების დასანერგად, ტექნიკური აღჭურვილობის გასაახლებლად, ან განახლებადი ენერგოტექნოლოგიების და გარემოსადმი მეგობრული ნებისმიერი აქტივობის დაფინანსება სურს, მას ეკოსესხით და შესაბამისი შეღავათებით შეუძლია ისარგებლოს.

ენერგოეფექტურობის მნიშვნელობასა და მისი უპირატესობების სწორად გაგებით, პროკრედიტ ბანკის მსგავსად სხვა ორგანიზაციებსა და ინდივიდებსაც გაუჩდებათ სურვილი, მათი ქცევა უფრო ეფექტური და გარემოსადმი მეგობრული გახადონ.

რეკლამა

ფოტო: ლევან ხერხულიძე

ეკონომიკური დიპმა წინ გვეღის

ბოლო კვირების მთავარ თემად ეროვნული ვალუტის დევალვაცია და მისგან გამოწვეული ეკონომიკური პროცესები იქცა. ხელისუფლება განტევების ვაცის ძებნაშია. ექსპერტების პროგნოზები არასაიმედოა...

ინტერვიუ ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტ, ფინანსისტ რომან გოცირიძესთან

ზურაბ ვარდიაშვილი

შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ქვეყანაში ფინანსური კრიზისია?

სავალუტო ფონდის ერთ-ერთი სერიოზული ნაშრომის კლასიფიკაციით, ფინანსური კრიზისის სამი ფორმა არსებობს – სავალუტო, საბანკო და სავალო.

სავალო კრიზისის შემთხვევაში ქვეყანა საგარეო თუ საშინაო ვალების გადახდას ვერ ახერხებს. საბანკო კრიზისის დროს მცირდება საბანკო აქტივები, ფინანსური ინსტიტუტები კოტრდებიან. სავალუტოა კრიზისი, როდესაც ეროვნული ვალუტის დევალვაცია სწრაფად და მაღალი პროცენტით ხდება. დევალვაცია 15%-ის ფარგლებში – კრიზისია, 25%-ის გადაჭარბების შემთხვევაში კი საქმე უკვე სავალუტო კრახთან გვაქვს.

სამივე მოვლენა ფინანსური კრიზისის მახასიათებელია. ვინაიდან ფინანსური კრიზისი ყურს უფრო შემაშფოთებლად ხვდება, რადგან ახალი დაწყებული პროცესია და ლარის დევალვაციის მკვეთრი ხაზი არ ჩამოყალიბებულა. ამიტომ არ გამოვიყენებდი მძიმე ტერმინს და ყურისთვის უფრო რბილად აღსაქმელ, „სავალუტო კრიზისს“ ვიხმარდი.

რა მოსდევს სავალუტო კრიზისს?

სავალუტო ფონდმა სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, სავალუტო კრიზისების და კრახების 160-მდე შემთხვევა შეისწავლა: რა ხდება სავალუტო კრიზისამდე ორი წლით ადრე (შეიძლება აღმოაჩინო გამაფრთხილებელი ნიშნები); როგორია ქვეყანაში ფულის მასა; როგორ იცვლება ვალუტის კურსი (როგორც რეალური, ისე ნომინალური); როგორია საბანკო კრედიტების ზრდის ტემპი... ამ ნიშნებზე დაკვირვება წინასწარი პროგნოზების შემუშავების საშუალებას იძლევა.

ორი წლის წინაც ცხადი იყო, რომ ეკონომიკური პოლიტიკა შეიცვალა: სოციალურად ორიენტირებული გახდა. ბიუჯეტი დესტაბილიზაციის წყაროდ იქცა, ვინაიდან მასში სუბსიდირების ხარჯები უზარმაზარია, ისევე, როგორც დიდია სოციალური დანახარჯები. ასეთი ბიუჯეტი ფინანსური კრიზისის მაპროვოცირებელია. რა ხდება ორი წლის შემდეგ? – ძალიან სამწუხარო სურათია. როგორც წესი, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი 4%-ით მცირდება, ეცემა ეკონომიკური ზრდის ტემპი, მატულობს ფასები...

რამდენ ხანს გრძელდება თქვენ მიერ აღწერილი პროცესი?

იმ კვლევების მიხედვით, რომელიც ზემოთ ვახსენეთ – წელიწადი და ექვსი თვე. შემდეგ ვუბრუნდებით საწყის დონეს, რაც ქვეყანაში დევალვაციამდე იყო. ანუ ეს არის დაკარგული წელიწადნახევარი. ესეც საუკეთესო შემთხვევაში, თუკი პროცესები დადებითი სცენარით წარიმართა.

ყველაზე მეტად რომელმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა შეუწყო ხელი კრიზისის პროვოცირებას?

ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მონაწილეობა დიდი არ უნდა იყოს. ბიუჯეტი ზომიერი სოციალური პროგრამებით უნდა იყოს დატვირთული, ქვეყანაში არსებული ფული უნდა დარჩეს ბიზნესს, რომელმაც უკეთ იცის, რას მოახმაროს იგი. მას შიდა ინვესტირების საშუალება უნდა ჰქონდეს.

როდესაც სახელმწიფო თავის თავზე ბევრს იღებს, ეს ყველაზე დიდი შეცდომაა. თუ წინა წლების ეკონომიკა იყო ლიბერალური, რომლის მთავარი პრინციპი დერეგულირება და პროცედურების გამარტივება გახლდათ, ამ ხელისუფლების გაცხადებული პრინციპი სახელმწიფოს მიერ ეკონომიკასა და ადამიანების სოციალურ ყოფაზე ზრუნვა იყო. შეიქმნა უამრავი ფონდი, სააგენტო, მარეგულირებელი ნორმა, ბარიერი, შეზღუდვა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში პატრიოტულ-პროვინციული ელფერით იყო შენიღბული (მაგალითად, უცხოელოფობია), თუმცა ყველაზე ანტიეროვნული სიღარიბეა, რომელიც ადამიანებს უცხოეთისკენ უბიძგებს. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ არ გვინდა უცხოელის შემოსვლა და მუშაობა, ამის საფასური ქართველის სამუდამოდ გასვლაა.

ქვეყანა ბიზნესის კეთებისთვის არამიმზიდველი გახდა. საინვესტიციო მიმზიდველობა დაკარგა.

თქვენ ტერმინ „სოციალურად ორიენტირებულს“ უარყოფით კონტექსტში იყენებთ. თქვენი აზრით, ეს ეფექტური კრიტიკაა?

გეთანხმებით, ლამაზი სიტყვაა. ამ ლამაზმა სიტყვამ და მიდგომამ დაღუპა საბერძნეთი...

სოციალურად ყველაზე ორიენტირებულია ეკონომიკური ზრდა და ჯანსაღ საბაზრო პირობებზე აგებული ეკონომიკა, რომელიც ქმნის სიმდიდრეს, და არა სახელმწიფოს მიერ საკუთარი მწირი სახსრების გადანაწილება სოციალური მიმართულებებით.

როდესაც ვამბობთ, რომ სკოლაში წიგნები უნდა დავარიგოთ, კი ბატონო, მაგრამ რატომ ყველას? წინა ხელისუფლების დროს თბილისში ყველას აძლევდნენ ელექტროენერგიის ვაუჩერებს, რატომ? რატომ უნდა მისცე ვაუჩერი ადამიანს, რომელსაც მხოლოდ ერთი ნათურა აქვს, და იმასაც, რომელსაც არაფერში სჭირდება ეს? რატომ უნდა გაუკეთო ოპერაცია ყველას? მასაც, ვისაც 100 ლარი აქვს შემოსავალი და მასაც, ვისაც 30 000 აქვს?

სოციალური ეკონომიკის ბიძაშვილია სუბსიდირებული ეკონომიკა: სუბსიდია მივცეთ ვაშლის მწარმოებელს, ღვინის მწარმოებელს. იწყება, მაგალითად, „ექსპორტის წახალისება“, ეს მარტივად ნიშნავს რაღაც სააგენტოს შექმნას, ბიუჯეტიდან დანახარჯს. ახლა გორთან ახლოს აშენებენ ქარის ელექტროსადგურს. თუ ეს მომგებიანია, კერძო ბიზნესი რატომ არ აშენებს? რატომ აკეთებს ამას სახელმწიფო? ერთი – არაკომპეტენტურობის გამო; მეორე – კონტროლის მექანიზმები არ არსებობს, ფული თავისი ჰგონია და ხარჯავს. საიდან იცის ფინანსთა სამინისტრომ, რომელიმე ჩინოვნიკმა, რაში დახარჯოს ფული, რა არის კარგი? კარგი რა არის, იცის ბაზარმა.

ორი წლის წინაც ცხადი იყო, რომ ეკონომიკური პოლიტიკა შეიცვალა: სოციალურად ორიენტირებული გახდა. ბიუჯეტი დესტაბილიზაციის წყაროდ იქცა, ვინაიდან მასში სუბსიდირების ხარჯები უზარმაზარია, ისევე, როგორც დიდია სოციალური დანახარჯები. ასეთი ბიუჯეტი ფინანსური კრიზისის მაპროვოცირებელია. რა ხდება ორი წლის შემდეგ? – ძალიან სამწუხარო სურათია. როგორც წესი, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი 4%-ით მცირდება, ეცემა ეკონომიკური ზრდის ტემპი, მატულობს ფასები...

თქვენ მიერ ლიბერალური ეკონომიკის წლებად წოდებულ პერიოდშიც მიმართავდა მოქმედი ხელისუფლება ასეთი ტიპის დანახარჯებს...

კი ბატონო. მაგალითად, 15 აგროსაწარმო ააშენეს, 15-ივე გაჩერებულია. შარშან სიმბოლურ ფასად გამოიტანეს აუქციონზე. არცერთი არ გაიყიდა. მაშინაც იყო შეცდომები. რასაც სახელმწიფო აკეთებს, როგორც წესი, ყველაფერი წარუმატებლად სრულდება.

ჯანდაცვის პროგრამას დავუბრუნდეთ. ეს ნელი მოქმედების ბომბია. ასეთი შეფუთვის პროგრამები მოსწონთ ადამიანებს. როგორც გამოცდილება აჩვენებს, ყოველთვის იწყება კრიზისი: ნელ-ნელა ჩნდება რიგები, ბიუჯეტს აღარ ჰყოფნის ფული და იწყება თანხის ჩარიცხვების დაგვიანებები, კლინიკებისთვის მცირდება დაზღვევის თანხები, ეცემა ხარისხი, ამას მოჰყვება „ატკატები“ (ანუ – „ოღონდ ფული მომეცი და რაღაც ნაწილს დაგიბრუნებ“). ანალოგიური პროგრამების შემთხვევაში ეს სქემა, თუ ის ჯანსაღ პრინციპებზე არ დგას, ყოველთვის ასე მოქმედებს.

ჯანსაღი პრინციპია, როდესაც პროგრამა დიფერენცირებულია: ღარიბ ფენებზეა ორიენტირებული და ბანკის პრეზიდენტსაც უფასოდ არ უკეთებს ოპერაციას. საყოველთაო პროგრამები ყოველთვის კრახით მთავრდება.

ეს იყო საარჩევნო დაპირება...

საარჩევნო დაპირებები, როგორც წესი, უხარისხო და პოპულისტურია, ანუ მოსახლეობის მოსატყუებელი. საარჩევნო პროგრამებში რეალობა, როგორც წესი, დაახლოებით 15%-ია ხოლმე, დანარჩენი ტყუილია. „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა სრულად რომ შესრულებულიყო, ქვეყანა დაიღუპებოდა. ის, რაც შესრულდა, ისიც დამანგრეველი აღმოჩნდა. მაგალითად, დაპირება ენერგეტიკის ტარიფების თაობაზე, რომლებიც ნაწილობრივ შესრულდა – ტარიფების შემცირება იმ ვალდებულებების გაუქმებით მოხერხდა, რომლებითაც ინვესტიციები უნდა განხორციელებულიყო. მათ უნდა აეშენებინათ ახალი ელექტროსადგურები, გაეშვათ ახალი სიმძლავრეები. ფაქტობრივად ორი წელია, ენერგეტიკა არ ვითარდება, იმიტომ, რომ კომპონენტი, რომელიც ტარიფში იდო, გააუქმეს.

ყოფილმა პრემიერმა, ბიძინა ივანიშვილმა ვალუტის დევალვაციის პროცესის არშეჩერებაში ეროვნული ბანკი დაადანაშაულა. მას სხვა მაღალი თანამდებობის პირებმაც მიბაძეს და ახლა ბანკი მთავარი თავდასხმის ობიექტია. რა როლი აქვს ეროვნულ ბანკს ასეთ შემთხვევებში?

ეროვნული ბანკის მთავარი საზრუნავი არა კურსის დაჭერა, არამედ ფასების სტაბილურობაა. ვიდრე ფასების სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრებოდა, ეროვნულმა ბანკმა არ მიიღო ნაჩქარევი გადაწყვეტილება და კურსის ფორმირებაში არ ჩაერია. იმ ფონზე, როდესაც სავაჭრო დეფიციტი მეტისმეტად გაზრდილია, (5,7 მილიარდი დოლარით მეტი პროდუქცია შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს, და ამ დეფიციტის დამაბალანსებელ შიდა წყაროებში, ვთქვათ ტურიზმის განვითარებაში, პროგრესი არ არის. ამას დავამატოთ უკრაინის ბაზრის დაკარგვა, გადმორიცხვების შემცირება...) ამ უზარმაზარი ხვრელის შევსება ეროვნულ ბანკს თავისი მწირი რეზერვებით, ცხადია,

საქართველოს პარლამენტი ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეუძლია. მის მიერ განხორციელებული ნაჩქარევი ინტერვენციები უძირო ქვევრში ფულის ჩაყრა იქნებოდა. ბანკმა მხოლოდ მაშინ დაიწყო ინტერვენციები, როდესაც ლარმა წონასწორობის იმ ნიშნულს მიაღწია, სადაც მისი მეტ-ნაკლები ოდენობით დაფიქსირება შეიძლებოდა. ანუ ავადმყოფს ყავარჯნები შეუდგა მაშინ, როდესაც ამ ყავარჯნებით თავად შეძლებდა ფეხზე დგომას. წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი აზრი არ ექნებოდა.

ეროვნული ბანკის შეცდომები ყოველთვის ციფრებში ჩანს. ქვეყანაში ფულის მასა 5, 5 მილიარდი ლარია. ეროვნული ბანკის მთავარი მექანიზმი ფულის მასის კონტროლია. ინტერვენცია დოლარის გაყიდვას ნიშნავს, როდესაც 100 მილიონ დოლარს ყიდი, 200 მილიონ ლარს ამოიღებ, ანუ ფულის მასას ამცირებ. არსებობს მეორე ინსტრუმენტი – დარეზერვება. კომერციულ ბანკებს ანაბრების რაღაც პროცენტის სესხად გაცემას უკრძალავ, ანუ ისევ ფულის მასაზე ზემოქმედებ. ან სესხულობ კომერციული ბანკებიდან ფულს და მიმოქცევაში არ უშვებ, ან წევ საპროცენტო განაკვეთს, ფული ძვირდება, კომერციული სტრუქტურები ნაკლებს სესხულობენ, და ისევ ფულის მასაზე მოქმედებ.

თუ დავაკვირდებით, ეროვნულ ბანკს არსად დაუშვია შეცდომა. ლარის დევალვაცია ფულის მასის ზრდით გამოწვეული არ არის.

ყოფილი პრემიერი სომხეთისა და მოლდოვას მაგალითებზე მიუთითებდა. მათ რეზერვების მესამედი გაიღეს...

რა მოხდებოდა, საქართველოს ეროვნულ ბანკს, როგორც ურჩევდნენ, სომხეთისა და მოლდოვისათვის რომ მიებაძა?

სომხეთმა და მოლდოვამ საკუთარი ვალუტის გაუფასურების შესაჩერებლად ეროვნული ბანკის უცხოური ვალუტის რეზერვების 34 და 30 პროცენტი დახარჯეს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი სიდიდის დევალვაცია თავიდან მაინც ვერ აიცილეს, რეზერვები კი გაფლანგეს. გაუარესებული საგარეო ვაჭრობისა და სხვა სირთულეების გამო წინ მძიმე დრო ელით.

საქართველოს რეზერვები დაახლოებით 2,7 მილიარდი დოლარი იყო. ეროვნულ ბანკს მისი მესამედი ანუ 890 მილიონი დოლარი რომ დაეხარჯა, ალბათ კურსს ძველ ნიშნულთან ახლოს დაიჭერდა. ოღონდ დროებით. წინ, წლის ბოლომდე, 5 მილიარდ დოლარზე მეტი მოცულობის სავაჭრო დეფიციტი გველოდება. რომ არაფერი ვთქვათ საგარეო ვალების გასტუმრებაზე როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის მიერ.

შედეგი: სრული კოლაფსი!

ეს კიდევ არაფერი! საქართველოში მიმოქცევაში არსებული ფულის მასა M2 5,5 მილიარდი ლარია. იგი უმნიშვნელოდ გაიზარდა წინა წელთან შედარებით. 890 მილიონი დოლარის გაყიდვა ნიშნავს მიმოქცევიდან 1,6 მილიარდი ლარის ამოღებას. ანუ ფულის მასა დავიდოდა 3,9 მილიარდ ლარამდე. უკვე შეგვეძლო საქართველოს ეკონომიკისთვის საფლავი გაგვეთხარა და ზედ მისი მკვლელების ბიუსტებიც დაგვედგა.

ვიღაც იტყვის – რაღა სომხეთი და მოლდოვა მოგვყავს მაგალითადო. მისი ნახევარი მაინც გაგვეშვა ინტერვენციაშიო. მაშინ ნახევრადმკვდარი იქნებოდა – ხელოვნურ სუნთქვაზე, დეკემბრამდე. იქ კი ბიუჯეტი მოუღებდა ბოლოს.

რამდენად გრძელვადიან შედეგებს მოიტანს მთავრობის გადაწყვეტილება, გაყიდოს მთელი რიგი სახელმწიფო ქონება?

კარგი გადაწყვეტილებაა. მაგრამ ახლა გააახსენდათ? დღეს საქართველომ საინვესტიციო მიმზიდველობა დაკარგა. ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ დევალვაციაა. სადაც ეკონომიკური ვარდნა ხდება, ის ქვეყანა ინვესტორისთვის მიმზიდველი არ არის. ეს ქონება გაცილებით იაფად გაიყიდება, ვიდრე შეიძლებოდა გაყიდულიყო. თუმცა ესეც არ არის დიდი უბედურება. მთავარია, ინვესტორმა ბიზნესი დაიწყოს და როდესაც რომელიმე შენობას იყიდის, სასტუმროდ ან ოფისად გამოიყენოს და ა.შ.

ადმინისტრაციული ხარჯები უნდა შემცირდეს, თუმცა არა ხელფასების ხარჯზე. ჩინოვნიკს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს, თუმცა მოხელეების რაოდენობა ცოტა უნდა იყოს. დღეს ერთი კაცის გასაკეთებელ საქმეს ხუთი აკეთებს. რჩება ეს ხალხი ქუჩაში? კი, მაგრამ ჯანსაღ ბიზნესში ადამიანები სამსახურს აუცილებლად იპოვიან.

ბიუჯეტი დაახლოებით 400 მილიონით უნდა შემცირდეს. გაუგებარია, ორდღიანი ღონისძიებისთვის, ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის წლიური შეკრებისთვის 67 მანქანა იყიდო, როდესაც შეიძლება დაიქირაო და 100-ჯერ ნაკლები დაგიჯდეს.

■ ეროვნული ბანკის შეცდომები ყოველთვის ციფრებში ჩანს. ქვეყანაში ფულის მასა 5, 5 მილიარდი ლარია. ეროვნული ბანკის მთავარი მექანიზმი ფულის მასის კონტროლია. ინტერვენცია დოლარის გაყიდვას ნიშნავს, როდესაც 100 მილიონ დოლარს ყიდი, 200 მილიონ ლარს ამოიღებ, ანუ ფულის მასას ამცირებ. არსებობს მეორე ინსტრუმენტი – დარეზერვება. კომერციულ ბანკებს ანაბრების რაღაც პროცენტის სესხად გაცემას უკრძალავ, ანუ ისევ ფულის მასაზე ზემოქმედებ. ან სესხულობ კომერციული ბანკებიდან ფულს და მიმოქცევაში არ უშვებ, ან წევ საპროცენტო განაკვეთს, ფული ძვირდება, კომერციული სტრუქტურები ნაკლებს სესხულობენ, და ისევ ფულის მასაზე მოქმედებ.

საქართველოს პარლამენტი ეროვნული ბიბლიოთეკა

■ დაიხურება ბიზნესები, შესაბამისად შემცირდება სამუშაო ადგილები. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება პატარა საწარმოები, წვრილი ბიზნესი, ვაჭრობა. დაიკეტება უამრავი მაღაზია. გაუჭირდება მსხვილ ბიზნესსაც და დაიწყებს ხელფასების შემცირებას ან თანამშრომლების დათხოვნას. ბიზნესს შეუმცირდება გაყიდვები, ეს ნიშნავს რომ შეუმცირდება მოგება, აღარ ექნება ინვესტირების უნარი და დაეკარგება განვითარების პერსპექტივა. მეორე მხრივ, შემცირდება ბიუჯეტის შემოსავალი და საჭირო გახდება მისი კორექტირება. მოიმატებს ფასები, და არამარტო იმპორტულ საქონელზე, რაც გამოიწვევს ადამიანების გაღარიბებას. მთავარი ეკონომიკური დრამა წინ გველის.

ამ პერიოდში შექმნილი მარეგულირებელი ნორმები უნდა გაუქმდეს. თუმცა ახალ-ახალ კანონებს ქმნიან, შრომის ინსპექცია იქნება ეს თუ უცხოელი სპეციალისტების შემოსვლის შეფერხება და ა.შ.

რაც შეეხება შრომის ინსპექციას – თუ არ იარსებებს ორგანო, რომელიც დასაქმებული ადამიანის უფლებებს დაიცავს, როგორ გაკონტროლდეს მათი პირობები? ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციით, ბოლო წლებში ათობით ადამიანი მხოლოდ მაღაროებში დაიღუპა, და ძირითადი მიზეზი სწორედ არასათანადო პირობები გახლათ...

ყოველი ახალი ორგანო არის დამატებითი ხარჯი სახელმწიფოსთვის და ტვირთი ბიზნესისთვის.

გარდაცვლილ ადამიანებზე ვსაუბრობდი...

ჩვენ მივიღეთ შრომის ახალი კოდექსი, რომელიც ფორმალურად უკეთესად იცავს დასაქმებულთა ინტერესებს, მაგრამ რეალურად რა შედეგი მივიღეთ? ერთი სასამართლო პროცესი მაინც გახსენდებათ, როდესაც ზეგანაკვეთური შრომისთვის რომელიმე საწარმო დაეჯარიმებინოთ? ზეგანაკვეთური მუშაობა როგორც იყო, ისევე გრძელდება და არავინ არაფერს ანაზღაურებს. ზოგ ადგილას ადამიანები მართლა მონურად შრომობენ.

რატომ არაფერს შველის შრომის კანონმდებლობა? რაღაც კონტროლი ბუნებრივია, უნდა იყოს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ბიუროკრატიული ორგანო, რომელიც ზეწოლის ბერკეტების მეშვეობით კორუფციისკენ იქნება მიდრეკილი.

მარეგულირებელი ნორმები უცხო არ არის განვითარებული, მათ შორის, ევროპული ქვეყნებისთვის...

გეთანხმებით, ევროპაში რომ რეგულაციებია, აქ რომ შემოიტანო, ადამიანი ვერ გაინძრევა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. რისი შესრულებაც არ შეგიძლია, თავი უნდა დაანებო. კლასიკური მაგალითი ტექდათვალიერების საკითხია. კი ბატონო, ცუდია, რომ მანქანების ტექდათვალიერება არ არსებობს, მაგრამ ფორმალურს სჯობს, საერთოდ არ იყოს. როცა ქვეყანა და მოსახლეობაც მზად იქნება, როდესაც სახელმწიფოს ნორმის აღსრულების რეალური რესურსი ექნება, საზოგადოება ამას იგრძნობს და მხარსაც დაუჭერს.

ეკონომიკური მდგომარეობის საკითხს რომ დავუბრუნდეთ, როგორ იგრძნობს თითოეული მოქალაქე კრიზისს საკუთარ თავზე?

დაიხურება ბიზნესები, შესაბამისად შემცირდება სამუშაო ადგილები. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება პატარა საწარმოები, წვრილი ბიზნესი, ვაჭრობა. დაიკეტება უამრავი მაღაზია. გაუჭირდება მსხვილ ბიზნესსაც და დაიწყებს ხელფასების შემცირებას ან თანამშრომლების დათხოვნას. ბიზნესს შეუმცირდება გაყიდვები. ეს ნიშნავს, რომ შეუმცირდება მოგება, აღარ ექნება ინვესტირების უნარი და დაეკარგება განვითარების პერსპექტივა. მეორე მხრივ, შემცირდება ბიუჯეტის შემოსავალი და საჭირო გახდება მისი კორექტირება. მოიმატებს ფასები, და არამარტო იმპორტულ საქონელზე, რაც გამოიწვევს ადამიანების გაღარიბებას. მთავარი ეკონომიკური დრამა წინ გველის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

CELEBRATING

130 years

CONGRATULATIONS

Years

ANNIVERSARY

მიეცი ხმა ქალს

თათია ხალიანი

პრეზიდენტის მწვანედ განათებული რეზიდენციის, პარლამენტისა და მთავრობის კანცელარიის ყვითლად განათებულ შენობებზე მოციმციმე ციფრები ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის სტატისტიკას აჩვენებს. მოსახლეობის 53% ქალია, მათი ხმა პარლამენტში – 12%, თვითმმართველობებში 11%, ქალების პოლიტიკაში ჩართულობით – საქართველო 190 ქვეყნიდან 106-ე ადგილზეა.

მარტი. გენდერული კვირეული – „ძლიერი ქალი, ძლიერი საზოგადოება“. „მეტი ქალი პარლამენტში“ – მსვლელობა თბილისსა და სხვადასხვა ქალაქში.

„ჩვენ ამომრჩეველთა უმრავლესობა ვართ და მოვითხოვთ თანასწორობას დღეს. მიეცი ხმა ქალს“.

„2015 წელს ქალის წლად ვაცხადებ“, – საქართველოს პრეზიდენტი.

ირუზა კაკავა ქალთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, რომელმაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გაიმარჯვა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი გახდა. საკრებულოში ის საზღვრისპირა სოფელს, კოკის თემს წარმოადგენს

მანამდე, 2008 წლიდან აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა. ადგილობრივ დონეზე მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში ეხმარებოდა.

თემის და ოჯახის წევრების მხარდაჭერით, 2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა. ფიქრობდა, რომ ამ ნაბიჯით მეტი შესაძლებლობა ექნებოდა თემის საჭიროებები საკრებულოს სხდომებზე გაეტანა და საზღვრისპირა სოფელში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის უფრო მეტი რამ გაეკეთებინა.

ქალი კანდიდატისთვის წინასაარჩევნო კამპანია ადვილი არ ყოფილა.

„როცა ჩემი კანდიდატურა დამტკიცდა, რამდენიმე დღეში დამირეკეს ფრაქციიდან და მითხრეს, რომ ჩვენ სხვა კანდიდატებიც გვყავსო, კაცებს გულისხმობდნენ, თან შენ დევნილი ხარო. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, მაგრამ უკან არ დავიხიე და უარი არ ვთქვი არჩევნებში მონაწილეობაზე. 25 წელია აქ ვცხოვრობ, ჩემი შვილები აქ დაიბადნენ და გაიზარდნენ, მე თითოეული ოჯახის პრობლემა ვიცი“, – ამბობს ირუზა კაკავა.

მისი ყველაზე აქტიური მხარდამჭერები ქალები იყვნენ. მისი ოპონენტიც ქალი იყო – წინა არჩევნებში გამარჯვებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ერთადერთი ქალი დეპუტატი, ისიც სოფელ კოკიდან.

„არჩევნების შემდეგ, ჩვენი თემი გაიყო – კოკი და ხურჩა. ხურჩის წარმომადგენლად ქალი დაინიშნა, რომელსაც მე გავუწიე რეკომენდაცია. ვცდილობ, საზღვრისპირა სოფლიდან ლიდერი ქალები გავაძლიეროთ, რომ მომავალ არჩევნებში კიდევ უფრო მეტმა ქალმა მიიღოს მონაწილეობა“, – ამბობს ირუზა.

ქალები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ

ქალები აქტიურად მონაწილეობენ არჩევნებში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არიან აქტივისტები, იბრძვიან საკუთარი და სხვების უფლებებისთვის, აღწევენ წარმატებას, მაგრამ მათი ხმა თითქმის არასდროსაა გადამწყვეტი. ქალები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ, მაგრამ დემოგრაფიული განაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ თუ ადგილობრივ ხელისუფლებაში არათუ იმავე თანაფარდობით, ნახევარი პროპორციითაც კი არ არის ასახული.

15 ივნისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მისულ ამომრჩევლთა 50,2% ქალი იყო. თბილისის შემდეგ ქალები ყველაზე აქტიურები იყვნენ ახალქალაქში, ქუთაისში, რუსთავსა და სიღნაღში. თუმცა, არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული უთანასწორობა ისევ პრობლემაა. 12 თვითმმართველი ქალაქის მერიდან ყველა კაცია. 69 გამგებლიდან მხოლოდ ორია ქალი. სულ არჩეული 2083 დეპუტატიდან კი 242 ქალი მოხვდა საკრებულოში.

არჩევნებს ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი დიდად არ შეუცვლია. 2010 წელს საკრებულოებში 11,1% ქალი შევიდა, 2014 წელს კი ქალთა წარმომადგენლობამ 11,6% შეადგინა.

გენდერული დისბალანსია როგორც პარლამენტში (12%), ასევე აღმასრულებელ რგოლშიც, სადაც 19 მინისტრიდან მხოლოდ სამია ქალი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 1998 წლიდან ქალთა რაოდენობის დინამიკა კლებულობს. თუ მაშინ ქალების რაოდენობა 14% იყო, 2002 წელს ეს რიცხვი 11,9%-მდე შემცირდა, 2006 წელს – 11,5%, 2010 წელს კი 11,1% შეადგინა.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ (EMC) პროექტის „ქალი კანდიდატებისა და არჩეული თანამდებობის პირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის“ ფარგლებში არჩევნებში მონაწილე 35 ქალი კანდიდატი სხვადასხვა მიმართულებით მოამზადა, მაგალითად, როგორ ეწარმოებინათ წინასაარჩევნო კამპანია. 15 ქალი ადგილობრივ თვითმმართველობაში დეპუტატებად აირჩიეს. პროექტის მეორე ეტაპი კი სწორედ გამარჯვებულ ქალებთან გაგრძელდა, რათა მათ გენდერულად სენსიტიური სოციალური საკითხები საკუთარ თვითმმართველ ერთეულებში წინ წამოეწიათ. მოგვიანებით, დოკუმენტური ფილმიც მომზადდა, რომელიც ქალების პერსონალურ ისტორიასთან ერთად მათ დამოკიდებულებებს, გარემოსა და იმ ბარიერებს აჩვენებს, რომლებიც იმისათვის გადალახეს, რომ დეპუტატები გამხდარიყვნენ. ირუზაც ერთ-ერთი მათგანია. ის პროექტის ფარგლებში სტრასბურგში ევროსაბჭოს კომისიის სხდომასაც დაესწრო, სადაც არჩეული ქალი კანდიდატების შესაძლებლობების გაზიარებასა და გააქტიურებაზე იმსჯელეს.

ორგანიზაციის ადამიანის უფლებების პროგრამის ხელმძღვანელი ლინა ღვინიანიძე ამბობს, რომ რეგიონებში ქალებისთვის მთავარი ბარიერი ის კულტურული გარემო და გენდერული როლია, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

სავალდებულო კვოტირება, როგორც გამოსავალი

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, თუ პარტიების მიერ წარდგენილ სიაში კანდიდატთა ყოველ ათეულში განსხვავებული სქესი სულ მცირე 30%-ით იქნება წარმოდგენილი, ეს პარტია 30%-ით მეტ დაფინანსებას მიიღებს.

თუმცა გამოცდილებამ აჩვენა, რომ შიდაპარტიულმა კვოტამ არ გაამართლა და პარტიები თუნდაც ფინანსური წახალისების მიზნითაც კი კვოტირების სისტემას არ იყენებენ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე არც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და არც კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გენდერული კვოტები არ დააკმაყოფილა. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის კი ნებაყოფლობითი კვოტირების სისტემა, „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოიყენა. მაგრამ საინტერესოა, რომ

ნაციონალურ მოძრაობასაც ქალები ათეულში კრიტიკულ, არაგამსვლელ ადგილებში ჰყავდა, იქ, სადაც გამარჯვების შანსი ნაკლები იყო.

გენდერული კვოტა პოლიტიკურ ინსტიტუციებში ქალთა მონაწილეობის გასაძლიერებლად კანონით განსაზღვრული ნორმაა და უმეტეს შემთხვევაში მოიაზრება როგორც დროებითი ზომა, რომელიც გენდერულ თანასწორობას და წარმომადგენლობითი დემოკრატიის გაძლიერებას ემსახურება.

ვინაიდან საქართველოში პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემაა, ქალთა უფლებადამცველების აზრით, სავალდებულო გენდერული კვოტირების შემთხვევაში პროპორციული საარჩევნო სისტემა ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის კუთხით ყველაზე კარგ შედეგს მოგვცემს.

პროპორციული სიით არჩეული ქალები საქართველოს პარლამენტში 2004 წელს 12,6%-ს შეადგენდნენ 2008 წელს – 10.6%-ს, ხოლო 2012 წელს – 15%-ს, მაშინ როცა მაჟორიტარული სიით არჩეული ქალი დეპუტატები 2004 წელს 3%-ს, 2008 წელს 1.3%-ს, ხოლო 2012 წელს – 9%-ს შეადგენდნენ.

გაეროს განვითარების პროგრამის გენდერული თანასწორობის პროექტის მენეჯერი, ქეთი მახარაშვილი მიიჩნევს, რომ ქალთა საარჩევნო კვოტები არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სოციალური საკითხიცაა. გადაწყვეტილების მისაღებად საზოგადოებას სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს კვოტირების მექანიზმსა და მოსალოდნელ შედეგებზე.

„სავალდებულო გენდერული კვოტების შემოღების შემთხვევაში, პარტია, რომელიც არ დააკმაყოფილებს კანონის მოთხოვნას, რეგისტრაციას ვერ გაივლის. ნებაყოფლობითი კვოტები 2011 წლიდან მოქმედებს, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ პარტიულ სიაში ქალთა რაოდენობის გაზრდა დაფინანსების გაზრდას გულისხმობს, სასურველი შედეგი არ მოუტანია. საზოგადოებრივი აზრი სავალდებულო კვოტის შემოღებისკენ იხრება, რათა პოლიტიკურ პარტიებში არსებული რესურსი უკეთესად იყოს გამოყენებული“, – ამბობს ქეთი მახარაშვილი.

ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებში თანხმდებიან, რომ დღეს ქვეყანაში ქალებს მნიშვნელოვანი კულტურული, ეკონომიკური, სტრუქტურული ბარიერები აქვთ იმისათვის, რომ საჯარო პოლიტიკის ნაწილი გახდნენ და გადაწყვეტილების მიმღები პოზიციები დაიკავონ. ამიტომ სავალდებულო გენდერულ კვოტირებას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ნაცად მექანიზმს, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელოვნური წახალისებისთვის განიხილავენ.

„მეტი ქალი პარლამენტში“

უკვე მერვე წელია მარტის დასაწყისში თბილისსა და რეგიონებში გენდერული თანასწორობის კვირეული ტარდება, რომლის ინიციატორიც საქართველოში გაეროს წარმომადგენლობაა. წლევანდელი კვირეული გაეროს საერთაშორისო კამპანიას – „ძლიერი ქალი – ძლიერი საზოგადოება“ – გამოეხმაურა.

კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა, როგორც სათემო საკითხებზე სოფლად მცხოვრებ ქალებთან შეხვედრა, ისე საინფორმაციო აქცია პარლამენტში გენდერული კვოტების შესახებ. 6 მარტის საღამოს კი თბილისში სამი შენობა განათდა. პრეზიდენტის რეზიდენცია მწვანედ, პარლამენტის შენობა და მთავრობის კანცელარია – ყვითლად. აქციის მიზანი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდაჭერა იყო. ორგანიზატორები ამბობენ, რომ პრეზიდენტმა 2015 წელი ქალის წლად გამოაცხადა და ის ღიად უჭერს მხარს გენდერულ საკითხებს, ამიტომაც განათდა მისი შენობა მწვანედ, ხოლო პარლამენტს და მთავრობას ამ საკითხებზე ჯერ კიდევ არ აქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია.

ქეთი მახარაშვილი ამბობს, რომ გენდერული თანასწორობა ყველას ეხება და პირდაპირ უკავშირდება ქალისა და მამაკაცის სოციალური როლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას. ხოლო ასეთი სიღრმისეული სტერეოტიპების შეცვლა საკმაოდ რთულია. თუმცა საქართველომ უკვე გადადგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავების სფეროში. 2006 წელს მომზადდა გენდერული თანასწორობის კონცეფცია, რომელსაც მომდევნო წლებში საკანონმდებლო ცვლილებები და ეროვნული სამოქმედო გეგმაც მოჰყვა. კანონში გაჩნდა ჩანაწერი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ. ქეთი მახარაშვილის აზრით, ეს უკვე პირველი წარმატებაა.

გენდერული თანასწორობის კვირეულის პარალელურად 8 მარტს „ქალთა მოძრაობის“ ორგანიზებით თბილისსა და 25 ქალაქში მსვლელობა მოეწყო.

„მეტი ქალი პარლამენტში“ – აქციის მიზანი ქალთა პოლიტიკური აქტიურობის მხარდაჭერა იყო.

ექსპერტი გენდერის საკითხებში თამარ ბაგრატია ამბობს, რომ საზოგადოებრივი აზრი პრიორიტეტულად კვლავ ქალის ტრადიციულ გენდერულ როლს განიხილავს და ქალი პოლიტიკოსის, ასევე მამაკაცი პოლიტიკოსის მიმართ არსებული სტერეოტიპები კვლავ შემაფარხებელ ფაქტორად რჩება. საარჩევნო პროცესში სრულფასოვნად ჩართულობისათვის ქალებს არ გააჩნიათ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კაპიტალი.

„რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფი, მით უფრო ახლოს იქნება ის სამართლიან გადაწყვეტილებასთან. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად საღ გადაწყვეტილებას მიიღებს “პოლიტიკური ისტებლიშმენტი“ და რამდენად შეუწყობს ის ხელს წარმომადგენლობითი დემოკრატიული პრინციპების გატარებას“, – ამბობს ბაგრატია.

„ქალთა მოძრაობაში“ ფიქრობენ, რომ მომავალი არჩევნებისთვის მაინც შესაძლებელი გახდება სავალდებულო გენდერული კვოტირების შემოღება.

Empowered lives.
Resilient nations.

სტატია მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

აქცია
31 მარტამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ DREAM CARD?

საკრედიტო ბარათი **ყველაზე დაბალი** საპროცენტო განაკვეთით



15% | **17,2%** -დან ეფექტური

55 დღე - 0%

რატომ უნდა აირჩიოთ DREAM CARD?
- ეს არის საკრედიტო ბარათი ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით 15% (ეფექტური 17.2%-დან);
- იხდით 15% როგორც ბარათით ანგარიშსწორებისას, ასევე თანხის განაღდებისას, რაც გაძლევთ საშუალებას, მარტივად დაიანგარიშოთ და აკონტროლოთ დანახარჯები;
- შეგიძლიათ გადაფაროთ სხვა არსებული საკრედიტო ბარათები და ისარგებლოთ ბაზარზე არსებული საუკეთესო პირობებით.

DREAM CARD-ის შეძენა მარტივია:
შეავსეთ განაცხადი ჩვენს ფილიალებში, ტელეფონით 2 90 90 90, ვებ-გვერდზე BR.GE ან Facebook-ზე

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანქი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

290 90 90

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი



მოძრაობა ნესების გარეშე

გზა, რომელიც ყოველდღე აუცილებლად უნდა გაიარო, ბევრისთვის ბრძოლის ველს ჰგავს. ბრძოლა სასურველ ავტობუსში მოსახვედრად, საცობიდან თავის დასაღწევად, სამსახურში დროულად მისასვლელად, ბრძოლა რაც შეიძლება მეტი მგზავრის შესაგროვებლად და საგზაო წრის სწრაფად შესაკვრელად. მნიშვნელობა არ აქვს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრი ხარ, კერძო ავტომობილის თუ ავტობუსის მძღოლი – ქალაქში A-დან B პუნქტამდე მისვლა უმეტესობისთვის არც კომფორტულია, არც სასიამოვნო და არც უსაფრთხო.

თათია ხალიანი

ეკა მაღალდაძე

სიტუაცია №1

20:25 საათი. კოლმეურნეობის მოედანი. №85 მიკროავტობუსის გაჩერება.

„დიდი ხანია დგახართ? – 15 წუთია მოვედი – პასუხობს ბიჭი. თითქოს ამ კითხვას ელოდა, რიგში მდგარი ქალი ტრიალდება და აღელვებული იწყებს ლაპარაკს – 40 წუთია ვდგავარ და ჯერ კიდევ არ ჩანს, ველარ გავიგე როგორ მუშაობენ, სულ ასე როგორ გვაწამებენ. ლაპარაკში მეორე ქალიც ერთვება: ცხელ ხაზზე რამდენჯერ უნდა დავრეკო, აზრი არ აქვს, არაფერი იცვლება. არადა, აქედან გლდანში მხოლოდ ეს დადის, თავისუფლების მეტრომდე რომც ავიდე, მერე მაინც სხვა ტრანსპორტში უნდა გადავჯდე, რომ სახლამდე მივაღწიო. საუბარი იმით მთავრდება, რომ ერთ-ერთი ფულის შეგროვების და ტაქსით წასვლის ინიციატივით გამოდის. უკვე გვიანია, სხვა არჩევანი არ აქვთ. ორ-ორ ლარს აგროვებენ და ტაქსებში ნაწილდებიან.

სიტუაცია №2

21:40 საათი. ავტობუსის გაჩერება. ტაბლოზე მხოლოდ სამი ნომერი ანათებს. ავტობუსი, რომელსაც ელოდება, 30 წუთში უნდა მოვიდეს. მუშაობას გვიან ამთავრებს. მეტრო არც მის სამსახურთან და არც სახლთან ახლოს არაა. ყოველთვის ავტობუსით დადის. სიცივეა, ფეხებს აბაკუნებს, ცხვირზე კაშნე აუფარებია, ნახევარი საათის გასვლას ელოდება, თან ტაბლოს მალ-მალე ახედავს ხოლმე. მშვიდდება, როცა ხედავს, რომ მისი ავტობუსის ნომერი ისევ ანათებს. ხშირად ჰქონია შემთხვევა, როცა 40 წუთი ელოდება, მერე კი უცებ ტაბლოდან ავტობუსის ნომერი ქრება. დრო ნელა გადის. ამჯერად უმართლებს. ავტობუსში ადის, მაგრამ მძღოლი წასვლას არ ჩქარობს. ათი წუთის შემდეგ ავტობუსი ადგილიდან მძიმედ იძვრის. მუხიანში მიდის, ავტობუსმა ნახევარი ქალაქი უნდა გაიროს. წინ ერთსაათიანი მგზავრობა ელოდება.

სიტუაცია №3

22:30 საათი. რუსთაველის მეტრო. ჩქარი ნაბიჯით მიწისქვეშ ჩადის. სამსახურს გვიან ამთავრებს. ყოველთვის ცდილობს მეტროს მიუსწროს, სხვა გზა არ აქვს, ტაქსით ვერ წავა. მატარებლის ლოდინში, რომელიც უკვე 20 წუთის გასულია, კანტიკუნტად მოსიარულე მგზავრებს ათვალიერებს. ვარკეთილში მიდის. 28 წუთი, 29 წუთი, 30... ციფრები ქრება. ახლა უკვე საკუთარ საათზე იხედება. თავს იმით იმშვიდებს, რომ მეტროში ჩასვლა მოასწრო, ადრე თუ გვიან მატარებელიც გამოჩნდება.

თუ ავტობუსით, ან მეტროთი მგზავრობ

ქალაქში ყველაზე ადრე, დილის 6 საათზე, მუშაობას მეტრო და ავტობუსები იწყებს. ამ დროიდან მოყოლებული მგზავრების რაოდენობა ნელ-ნელა იზრდება და პიკს დილის 9 საათზე აღწევს, როცა უმეტესობას სამსახურსა და სკოლაში მიეჩქარება. ამ დროს რთულია, როგორც მატარებლის ვაგონში თავისუფლად დგომა, ისე გადაჭედილ ავტობუსებში ასვლა. იგივე მეორდება საღამოს 5 საათიდან, გაჩერებებზე ათეულობით ადამიანი ავტობუსებს ელოდება. ტრანსპორტი კი ქალაქის სხვადასხვა ნაწილში შექმნილი საცობების გამო იგვიანებს. საღამოს სამსახურიდან გასვლისას ზუსტად არასდროს იცი, სახლში რამდენ ხანში მიხვალ. მით უმეტეს, თუ ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში მოსახვედრად გზად რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლა გიწევს.

მეტროთი და ავტობუსებით მგზავრობათა რაოდენობა

2013 წელს მეტროთი 96.23 მლნ მგზავრობა დაფიქსირდა, ავტობუსებით – 105.76 მლნ მგზავრობა. 2012 წელთან შედარებით 2013 წელს მგზავრთა გადაყვანა საშუალოდ 24.1%-ით გაიზარდა. მეტრომ 2.63 მლნ. მგზავრით მეტი გადაიყვანა, ავტობუსებმა 36.55 მლნ-ით მეტი. 2013 წელს ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანა 52.8%-ით გაიზარდა.

მეტრო სადგურების მიხედვით, ყველაზე მეტი მგზავრობათა რაოდენობა 2013 წელს სადგურის მოედანზე დაფიქსირდა – 11,98 მლნ, სადგურ ახმეტელის თეატრთან – 9, 61 მლნ. მგზავრობა, შემდეგ მოდის სადგური ვარკეთილი – 8,72 მლნ. მგზავრობით.

ყოველდღიურად საზოგადოებრივი ტრანსპორტით 200 000-ზე მეტი მგზავრი სარგებლობს. 2013 წელს მეტროთი და ავტობუსით მგზავრობათა რიცხვი რეკორდული იყო – 200 მილიონს გადააჭარბა.

ქალაქის საზოგადოებრივ ტრანსპორტს 2009 წლიდან „საქართველოს სატრანსპორტო კომპანია" მართავს, რომელიც მთლიანად მერიის საკუთრებაშია. მართალია კომპანიას 685 ავტობუსი ჰყავს (148 დიდი და 537 პატარა „ბოგდანის" ტიპის), მაგრამ თბილისში ყოველდღიურად 509 ავტობუსი დადის. მათ 3 საავტობუსო პარკი და ერთი სპეციალიზებული ავტოსერვისცენტრი ემსახურება.

კომპანიაში აღიარებენ, რომ სიძველის გამო ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ავტობუსს სჭირდება კაპიტალური შეკეთება. ავტოპარკის ინფრასტრუქტურა თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს და გასაახლებელია.

კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ისინი მხოლოდ მერიის ტექნიკურ დავალებას ასრულებენ და დედაქალაქს მომსახურებას სთავაზობენ. თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკასა თუ ავტოპარკის განახლებაზე გადაწყვეტილების მიღება კი ქალაქის მთავრობის პრეროგატივაა.

2013 წელს თბილისის მერია „სატრანსპორტო კომპანიის" მიერ შეთავაზებული ტექნიკური მახასიათებლების მქონე ავტობუსების შეძენას გეგმავდა. მაგრამ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი რამდენიმე თვეში შეწყდა. ახალი ავტობუსების შეძენა 2014 წლისთვის გადაიდო, თუმცა 2015 წელსაც ქალაქში ისევ ძველი ავტობუსები დადის, რომლებიც არც კონდიცირების სისტემითაა აღჭურვილი და არც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვისაა ადაპტირებული.

ყვითელი ავტობუსები თბილისში 2005-2008 წლებში შემოიყვანეს. კომპანიის განმარტებით, ისინი სწორედ ამ წლებშია გამოშვებული. ტექნიკური შემოწმების კონკრეტული პერიოდულობა არ არსებობს, ავტობუსებს გავლილი კილომეტრაჟის მიხედვით ამოწმებენ.

მგზავრების რაოდენობის მარეგულირებელი სტანდარტი კომპანიას არ აქვს. ავტობუსის მწარმოებლის მიერ განსაზღვრული ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით, პატარა ავტობუსში სულ 41 ადამიანის ადგილია: 21 – დასაჯდომი, 20 – ფეხზე დასადგომი. დიდი ავტობუსები კი 81 ადამიანისთვისაა განკუთვნილი: 31 – დასაჯდომი, დანარჩენი – ფეხზე სადგომი.

თითოეული ავტობუსის გრაფიკი ინდივიდუალურია. უმეტესობა მუშაობას დილის 6 საათზე იწყებს და სხვადასხვა დროს ამთავრებს. ბოლო რეისი ზოგისთვის 23:45-ზე მთავრდება, ზოგისთვის – 22:00-ზე.

„საქართველოს სატრანსპორტო კომპანიის" მონაცემებით, ბოლო თვეებში ცხელ ხაზზე 3 000 ზარი შევიდა და მათი 80% საინფორმაციო ხასიათის იყო, რომლებიც ავტობუსის გრაფიკებს ან ონლაინ მომსახურებაში გარკვევას გულისხმობდა. „შენიშვნები და საჩივრები ძირითადად იმას ეხება, რომ რომელიმე ტაბლო არ მუშაობს, ან მძღოლმა გაჩერებაზე არ გააჩერა; კონტროლიორთან დაკავშირებული უკმაყოფილების გამოსახატად, ხშირია ზარები დაკარგულ ნივთებზეც".

კომპანიაში სულ 1300 მძღოლია დასაქმებული. ანაზღაურებას გამომუშავების მიხედვით იღებენ. მინიმალური ხელფასი 2013 წლიდან 900-1000 ლარია.

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი პაატა ჯაჭვლიანი ამბობს, რომ ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. მოძველებულია ავტოპარკი, შესაკეთებელია მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურაც.

„ავტობუსებმა თავისი რესურსი უკვე ამოწურა, ზომაზე მეტიც იმუშავა. ზოგიერთი მათგანის გარბენი 600 ათასიდან – 100 ათას კილომეტრამდეც კია. თუმცა ამჟამად ტრანსპორტი შეძლებისდაგვარად მაინც გამართულად მუშაობს", – ამბობს ჯაჭვლიანი.

კონკრეტულ თარიღს და რაოდენობას ტრანსპორტის სამსახურის უფროსი არ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ 2015 და მომდევნო წლებში თბილისს ახალი ავტობუსები ეყოლება.

სხვადასხვა ტარიფით მოსარგებლე მგზავრთა რაოდენობა

2013 წელს სტანდარტული ტარიფით (50 თეთრით) მგზავრთა 37%-მა ისარგებლა, ფასდაკლების სისტემით (90 წუთი უფასო) 21%-მა. 20-თეთრიანი ტარიფით -(სტუდენტები, პენსიონერები) 19%-მა იმგზავრა. უფასოდ მგზავრთა 14%-მა ისარგებლა, რომელსაც მოსწავლეები, სამხედრო ვეტერანები და სხვა შეღავათიანი კატეგორიები შეადგენენ. 10-თეთრიანი ტარიფით იმგზავრა 7%-მა, რომელსაც სოციალურად დაუცველი პირები შეადგენენ, დანარჩენი 2% კორპორატიული მგზავრობა დაფიქსირდა.

თუ მიკროავტობუსს არჩევ

სამი წლის წინ თბილისის ქუჩებში ყვითელი მიკროავტობუსები გამოჩნდნენ, რასაც უხმაუროდ არ ჩაუვლია. ახალი მიკროავტობუსების შემოსვლას მგზავრობის ტარიფის გაზრდა მოჰყვა. არაერთხელ გაიფიცნენ თავად ამ მიკროავტობუსების მძღოლებიც, რომლებიც ახალ სამუშაო პირობებს აპროტესტებდნენ – დღიური გეგმის შემცირებას და ტენდერის გაუქმებას მოითხოვდნენ.

ტენდერი, რომელსაც მძღოლების უკმაყოფილება მოჰყვა, თბილისის მერიამ 2011 წელს გამოაცხადა. ოთხი გამარჯვებული კომპანია შპს „თბილისის მიკროავტობუსში" გაერთიანდა და მან დედაქალაქში მგზა-

ვრთა გადაყვანის ოცწლიანი ნებართვა მოიპოვა.

კონკურსის პირობების შესაბამისად, კომპანიამ ახალი მიკროავტობუსები შემოიყვანა და ავტოპარკი მთლიანად განაახლა. დღეს დედაქალაქში სულ 2000-მდე ყვითელი მიკროავტობუსი მოძრაობს და ყოველდღიურად დაახლოებით 400 000-მდე მგზავრს ემსახურება.

კომპანიაში ამბობენ, რომ მიკროავტობუსებში 16 ადამიანის ადგილია და მხოლოდ 5-6 მგზავრის ფეხზე დგომაა დაშვებული. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როცა ფეხზე მდგომ მგზავრთა რაოდენობა, ნორმით დადგენილ ზღვარს მნიშვნელოვნად აღემატება.

მაშინ, როდესაც ღამის თერთმეტი საათისთვის ავტობუსებით სარგებლობაც კი პრობლემაა, „თბილისის მიკროავტობუსში" ამბობენ, რომ მიკროავტობუსების სამუშაო საათები საჭიროების მიხედვითაა დადგენილი: „მაგალითად, არის ხაზი რომელიც 04:00 სთ-ზე იწყებს სამუშაო დღეს და 00:00-ზე ამთავრებს. ასევე არის ხაზები, რომლებიც 08:00 სთ-ზე იწყებს მუშაობას და 22:00 სთ-ზე ასრულებს".

კომპანიაში ასევე განმარტავენ, რომ ყველა მარშრუტი ქალაქის სატრანსპორტო სამსახურთანაა შეთანხმებული და თუკი სადმე მიკროავტობუსები არ დადიან, ეს იმიტომ, რომ ამის საჭიროება არ არსებობს.

როგორც ირკვევა, რამდენიმე მიკროავტობუსს გაზის სისტემა აქვს ჩამონტაჟებული. მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში ამბობენ, რომ „თბილისის მიკროავტობუსი" კერძო კომპანიაა, რომელიც დედაქალაქს ემსახურება და მერია მის პოლიტიკაში ვერ ჩაერევა. მათი განმარტებით, ასეთი „მარშუტკების" რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ სახელმწიფო სამსახურების ჩარევა და ყოველდღიური შემოწმების საჭიროება არ დგას.

როგორც კომპანიაში ამბობენ, ყოველ 10 000 კმ-ზე მიკროავტობუსებს გეგმური შემოწმება უტარდება, ისე კი ავტომობილებს ტექნიკურად ყოველდღიურად ამოწმებენ.

როცა საზოგადოებრივ ტრანსპორტს ვერ გამოიყენებ

ქალაქის ის მცხოვრებლები, რომლებსაც გადაადგილება გვიან საღამოს ან ღამით უწევთ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვერ ისარგებლებენ. ხშირად საღამოს ათი საათის შესრულებამდეც კი შესაძლოა ვერც სასურველი სამარშუტო ტაქსი გააჩეროთ და ავტობუსიც ნახევარ საათზე ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ უბრალოდ „ტაბლოდან გაქრეს". ამ მხრივ მეტრო გაცილებით „პროგნოზირებადია", რადგან ზუსტად იცი, რომ დილის 6 საათიდან ღამის თორმეტ საათამდე მუშაობს. თუმცა ვისთვისაც მეტრო მოსახერხებელი არ არის, ერთადერთი არჩევანი ტაქსია, რომლით მგზავრობაც არც ფინანსურადაა ყველასთვის ხელმისაწვდომი და არც უსაფრთხოებაა გარანტირებული.

იმისათვის, რომ კერძო ავტომანქანის მფლობელი ტაქსის მძღოლი გახდეს, მხოლოდ ყვითელი ციმციმას ყიდვა, ან ხელნაკეთი ტრაფარეტის

უბილეთო მგზავრობა

2012 წელს უბილეთო მგზავრთა რაოდენობამ 74 436 შეადგინა, 2013 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა და უბილეთოდ 98 707 ადამიანმა იმგზავრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილზე მიმაგრებაც კმარა. 2005 წლამდე ტაქსის მძღოლებისთვის მუშაობის ნებართვებს მერია გასცემდა. მას შემდეგ, რაც ეს მექანიზმი გაუქმდა, ქვეყანაში კერძო ტაქსისტების გაჩენას არანაირი სტრუქტურა ან ნორმა არ არეგულირებს.

თბილისის ტრანსპორტის სამსახურის უფროსი ამბობს, რომ სულ ცოტა იმის ცოდნა მაინც არის აუცილებელი, რამდენი ტაქსი მოძრაობს ქალაქში და ამ მიმართულებით რამდენი ადამიანია დასაქმებული.

„საკრებულოსთან ერთად ვმუშაობთ. შესაცვლელია სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმა. ამ თემას ძალიან ფრთხილად ვუდგებით, რომ ამ საქმეში ჩართული ყველა ადამიანის უფლება დავიცვათ. თუმცა უდავოა, რომ ეს პრობლემაა და უნდა მოგვარდეს. არ შეიძლება დედაქალაქში ათასობით მანქანა ასე უკონტროლოდ მოძრაობდეს", – ამბობს პაატა ჯაჭვლიანი.

კერძო ტაქსებთან დაკავშირებით ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უსაფრთხოების საკითხია. „მაშინ, როდესაც ქალაქში ისეთ ტაქსებს შეხვდებით, როგორებიც „ვოლგა" და „24"-ია, უსაფრთხო მგზავრობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამას ისიც ემატება, რომ ყოველი მეორე ტაქსის მძღოლს მანქანაში გაზის ბალონი აქვს ჩამონტაჟებული", – ამბობს ლავრენტი ალანია.

მისივე თქმით, გაურკვეველია ვინ და როგორ აძლევს ლიცენზიას იმ კომპანიებს, რომლებიც ავტომობილებში გაზს ამონტაჟებენ. გაზის სისტემების გამართულობასაც არავინ ამოწმებს.

მაშინ, როდესაც დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გარკვეულწილად მაინც ექვემდებარება რეგულაციებსა და შემოწმებას, ამ მხრივ პრაქტიკულად სრულიად უკონტროლოა საქალაქთაშორისო მგზავრობა. სახელმწიფო ორგანოების არცერთი რგოლი არ ამოწმებს იმას, თუ როდის და რა რაოდენობის კერძო მიკროავტობუსსა თუ სხვა ავტომობილს გადაჰყავს მგზავრები.

სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური გაუმართაობა, მძღოლების გადაღლა და სხვა ფაქტორები საქალაქთაშორისო მაგისტრალებზე ხშირად ქვეითებისთვის, მძღოლებისა და მგზავრებისთვის დიდი საფრთხის შემცველია.

ლავრენტი ალანია ამბობს, რომ საქალაქთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტის გამართულობას არავინ ამოწმებს. ხშირად მეორადი, გაზზე მომუშავე,

მგზავრების რაოდენობის მარეგულირებელი სტანდარტი კომპანიას არ აქვს. ავტობუსის მწარმოებლის მიერ განსაზღვრული ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით, პატარა ავტობუსში სულ 41 ადამიანის ადგილია: 21 – დასაჯდომი, 20 - ფეხზე დასადგომი. დიდი ავტობუსები კი 81 ადამიანისთვისაა განკუთვნილი: 31 – დასაჯდომი, დანარჩენი – ფეხზე სადგომი.

გადაკეთებული, სავარძლებჩამატებული მიკროავტობუსებით მძღოლებს რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში შეუსვენებლად გადაჰყავთ მგზავრები ერთი ქალაქიდან მეორეში.

ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირი ტრანსპორტთან დაკავშირებული საფრთხეების შეფასებასა და უსაფრთხოების საკითხის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებას მოითხოვს.

ტრანსპორტის გზა

თბილისის ტრანსპორტის სამსახურის უფროსი პაატა ჯაჭვლიანი ამბობს, რომ დედაქალაქში ტრანსპორტის მართვის პოლიტიკა ან გაწერილი სამოქმედო გეგმა არ არსებობს. ამიტომ გადაწყვეტილებების მიღებისას საკანონმდებლო ნორმებით ხელმძღვანელობენ. რაც შეეხება ახალ გზებს ან ძველების ცვლილებას, ეს კეთილმოწყობის სამსახურის პრეროგატივაა და ამაზე ინფორმაცია არ აქვს.

ჯაჭვლიანის თქმით, 2017 წლამდე, ე. წ. ჭკვიანი შუქნიშნების პროგრამა დასრულდება და თბილისის მცხოვრებლები საცობებისგან შეღავათს იგრძნობენ.

საცობების პრობლემის საერთო კონტექსტს მიღმა განხილვა უშედეგოდ მიაჩნია არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისის ტრამვაის" ერთ-ერთ დამფუძნებელს, კახა მჭედლიძეს, რომელიც ფიქრობს, რომ ქალაქში გადაადგილება სატრანსპორტო სისტემის სრული რეფორმირების გარეშე ვერ გაუმჯობესდება. მისი აზრით, ქალაქში „მარშუტკების" ან ავტობუსების რაოდენობის გაზრდა პრობლემას არა თუ ვერ მოაგვარებს, პირიქით, გაამწვავებს კიდეც – ისინი კიდევ უფრო მეტ ადგილს დაიკავებენ ქუჩებში და მეტი საცობი გაჩნდება, ისედაც ქაოტური მოძრაობა, კიდევ უფრო ქაოტური და არაკომფორტული გახდება.

„არავის შეუფასებია მაგალითად, სამარშრუტო ტაქსების ოპტიმალურობა – რამდენად ეფექტურია მათი მუშაობა, როგორ გადაადგილდებიან მგზავრები. არ არსებობს გრაფიკები, რომლებიც მოთხოვნის მიხედვით იქნებოდა დაწესებული. მაგალითად, განსხვავებული მოძრაობა პიკის საათებში, შაბათ-კვირას ან ქალაქის ცენტრსა თუ გარეუბნებში", – ამბობს მჭედლიძე და დასძენს, რომ ადამიანზე მორგებული სატრანსპორტო ქსელის შესაქმნელად ამ ქსელის თითოეული კომპონენტის ერთობლივი კვლევა-შეფასებაა საჭირო.

თბილისში გახშირებული საცობების პრობლემა თბილისის საკრებულომაც განიხილა. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრები იანვრის ბოლოს

ფრანგული კომპანია ,,სისტრას" და შპს ,,სპექტრუმის'' ექსპერტებსაც შეხვდნენ. როგორც კომისიის თავმჯდომარე, გოჩა ბაბუნაშვილი ამბობს, ფრანგული კომპანია დედაქალაქში არსებული საცობების, პარკინგის, სამარშრუტო ტაქსებისა და მუნიციპალური ავტობუსების ახალ მარშრუტსა და მარეგულირებელი ნიშნების მოწესრიგებასთან დაკავშირებით დასკვნებსა და რეკომენდაციებს წლის ბოლოს წარმოადგენს. ივნისის ბოლოსთვის კი პირველადი შედეგები უკვე ცნობილი იქნება.

თუმცა „სისტრამ" თბილისის საგზაო ქსელი 4 წლის წინ ერთხელ უკვე გამოიკვლია. 2011 წელს მან პირველ ეტაპზე ტრანსპორტზე მოსახლეობის მოთხოვნა შეისწავლა, შემდეგ კი ტრამვაის ხაზის პირველადი დიზაინი წარმოადგინა. კვლევაში თავიდანვე იყო აღნიშნული, რომ ტრანსპორტზე არსებული მოთხოვნის და მოსახლეობის მაშინდელი და სამომავლო საჭიროებების შესახებ პრაქტიკულად არანაირი ოფიციალური მონაცემი არ არსებობდა. ამიტომ კოორდინირებული და მდგრადი განვითარების პროექტების დაწყება შეუძლებელი იყო.

მაშინდელი, 2011 წლის მონაცემების თანახმად, თბილისში ყველაზე მწვავე პიკის საათი დილის 8-იდან 9 საათამდეა. ამ პერიოდში ტრანსპორტზე დღიური მოთხოვნის 14% მოდის. შემდგომი დატვირთული საათები 14:00 — 15:00 (მოთხოვნის 9%) და 18:00-19:00 (8%) პერიოდებია.

რაც შეეხება მგზავრობის მიზანს, დილის რვიდან ათ საათამდე მგზავრთა 46% სამსახურში მიდის, 31 %-სკოლაში, 4 % კი – უნივერსიტეტში.

საავტომობილო გადაადგილების 75% საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მოდის. ზოგადად მგზავრთა 33% მეტროს ან ავტობუსს ირჩევს, 43% – „მარშუტკებს", 24% კი კერძო ავტომობილებით მგზავრობს. ყველაზე მაღალი 20-დან 50 წლამდე ასაკის ადამიანთა მობილობის მაჩვენებელია. 10 წლამდე ასაკის ბავშვებისა და 70 წელს გადაცილებული ადამიანების მობილობის მაჩვენელი დაახლოებით სამჯერ ნაკლებია.

ავტოსაბზაო შემთხვევები

საქართველოში 2013 წელს სულ 5510 ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან დაშავდა 8045, დაიღუპა 514 ადამიანი. 2014 წელს სულ 5992 შემთხვევა დაფიქსირდა, დაშავდა 8536, გარდაიცვალა 511 ადამიანი.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, რომლის მონაწილეც საზოგადოებრივი ტრანსპორტია, 2013 წელს 319 შემთხვევა დაფიქსირდა, დაშავდა – 592 ადამიანი, გარდაიცვალა -27. 2014 სულ 336 შემთხვევა იყო, დაშავდა – 557, გარდაიცვალა – 28 ადამიანი.

ნასვამობით 2013 წელს 228 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, დაშავდა 327, გარდაიცვალა 27 ადამიანი. 2014 წელს სულ 262 შემთხვევა დაფიქსირდა, დაშავდა -394, გარდაიცვალა -16.

2013 წელს სიჩქარის გადაჭარბების 1397 შემთხვევა დაფიქსირდა, დაშავდა – 1991, გარდაიცვალა – 121 ადამიანი. 2014 წელს – 1391 შემთხვევა მოხდა, დაშავდა – 1992 ადამიანი, გარდაიცვალა – 119.

2013 წელს ფეხით მოსიარულის დაზიანების სულ 1687 შემთხვევა იყო. დაიღუპა 125 ადამიანი. 2014 წელს ასეთი 1993 შემთხვევა დაფიქსირდა, დაიღუპა 145 ადამიანი.

რაც შეეხება კერძო ავტომობილებს, მათი მხოლოდ 6 %-ია 5 წლამდე, 37% – 11-15 წლის ავტომობილებია, 13 %-ს წელს აჭარბებს.

„სისტრას" წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თბილისს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელს გაფართოება სჭირდება და აუცილებელია იმ ადგილების „მოცვა", რომლებსაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ემსახურება. ფრანგი ექსპერტების აზრით, 2011 წელს თბილისისთვის ტრამვაის შექმნაზე ფიქრი უკვე დროული იყო და ამიტომ „სისტრამ" ქალაქის მთავრობას 15-კილომეტრიანი ტრამვაის ხაზის შექმნა შესთავაზა. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან ორთაჭალის სადგურამდე ტრამვაის ხაზის პროექტი 150 მილიონი ევროს ინვესტიციას მოითხოვდა. პროექტის მიხედვით, ამ ერთ ხაზს დღეში 100 000 მგზავრის გადაყვანა შეეძლო. ეს იმ ფონზე, როდესაც თბილისის მეტროს მთელ ქსელს დღეში საშუალოდ 250 000 ადამიანი გადაჰყავს. ინვესტიციის თანხა საგზაო ხაზით დაწყებული, მოძრავი შემადგენლობის, ვაგონებისა თუ დეპოს მშენებლობის ჩათვლით, მთელი ინფრასტრუქტურის შექმნას ითვალისწინებდა.

ტრამვაის დიდი თუ საშუალო ზომის ქალაქებისთვის საუკეთესო ალტერნატივად რამდენიმე ფაქტორი აქცევს. მეტროსთან შედარებით ტრამვაის ინფრასტრუქტურის შექმნა მინიმუმ 10-ჯერ ნაკლები ჯდება, ეფექტურობა კი იმდენივე და ხშირად მეტიც კია. მიწისზედა ტრანსპორტი, რომელსაც საკმაოდ დიდი რაოდენობის მგზავრების გადაყვანა შეუძლია, ენერგომოხმარების კუთხით ეფექტური და უფრო ეკონომიურია.

საქართველოს კონტექსტში მომგებიანია ისიც, რომ ტრამვაი ელექტროენერგიას მოიხმარს, შესაბამისად, ტრამვაის ენერგოდანახარჯები ერთ მგზავრზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ავტობუსის ან „მარშუტკის".

ამასთან, მათთან შედარებით ტრამვაის ექსპლოატაციის ხანგრძლივობა 2-ჯერ მეტია. თუკი ავტობუსის შეცვლა 10-15 წელიწადში ერთხელ მაინცაა აუცილებელი, ტრამვაის ვაგონების გამოყენება საშუალოდ 30-40 წლის, მოდერნიზაციის შემდეგ კი, 50-60 წლის განმავლობაშიც კი შეიძლება.

ეკოლოგიური კუთხით ტრამვაი უალტერნატივოა. მით უფრო მაშინ, როდესაც საქართველოში ჰაერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბინძურების 71% სწორედ ავტოტრანსპორტზე მოდის და საწვავის ხარისხს სახელმწიფო დღემდე არ აკონტროლებს.

კახა მჭედლიძე ფიქრობს, რომ იმ პირობებში, როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფი ისედაც გარკვეულწილად დოტაციური და ქალაქის მთავრობის მიერ სუბსიდირებულია, ტრამვაის დანერგვა სულაც არ არის რთული და ძვირი, თუნდაც იმის ფონზე, რომ გმირთა მოედნის ესტაკადა და, ე.წ. „ახალი გზა" – იპოდრომის მიმდებარედ გვირაბის მშენებლობასთან ერთად, ქალაქს 300 მილიონი ლარი დაუჯდა.

ორგანიზაცია „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის" გამგეობის თავმჯდომარე გელა კვაშილავა ამბობს, რომ ქვეყანას, ისევე როგორც თვითმმართველ მუნიციპალიტეტებს, ტრანსპორტის მართვის, განვითარებისა და გაუმჯობესების არანაირი პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა არ გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება კანონმდებლობის ჰარმონიზაციასთან ერთად, სწორედ ასეთი გეგმების, სამომავლო ნაბიჯების შესახებ, სულ მცირე, ინფორმაციას მაინც ითხოვს.

„არ შეიძლება თანამედროვე ქალაქს არ ჰქონდეს ურბანული მობილობის გეგმა, რომლითაც გავიგებდით ვინ, როდის, რა მიმართულებითა და სიხშირით გადაადგილდება. არ შეიძლება ქვეყანაში, რომელშიც არც ტექნიკური დათვალიერება მოქმედებს და არც სხვა გონივრული შეზღუდვები, 0-დან 7 წლამდე ასაკის ავტომობილები, რომლებიც გაცილებით გამართულია, უფრო მეტად იბეგრებოდეს, ვიდრე 20 წელზე მეტი ხნის მანქანები", – ამბობს კვაშილავა და აღნიშნავს, რომ გზა, რომელიც რეალურად საზოგადოებრივი სიკეთეა, სულაც არ არის „მოქალაქეების სამსახურში".

ქალაქმგეგმარებელი ზურაბ ბაქრაძე ამბობს, რომ თბილისის მთავრობა ჯერ კიდევ 50-60-იანი წლებში გავრცელებული მიდგომით მოქმედებს. ეს მიდგომა კი ფაქტობრივად „ქუჩების მაგისტრალებად ქცევას" გულისხმობს.

„ეს მიმართულება 50-60-იანი წლების ევროპაშიც აღიარებული იყო. საზოგადოებრივი სივრცეები ტრანსპორტმა დაიკავა, მაგრამ ევროპამ ბოლოსდაბოლოს დაინახა, რომ ეს გამოსავალი არ არის. რაც უფრო იზრდება მანქანებისთვის გამოყოფილი ფართი, მით უფრო მატულობს მათი რაოდენობაც. ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთს ვერაფრით გაუთანაბრეს და მიხვდნენ, რომ ამას ვერასდროს შეძლებდნენ. ამიტომ უნდა შეეცვალათ მთლიანად დამოკიდებულება ტრანსპორტთან და მობილობასთან მიმართებით", – ამბობს ბაქრაძე და

ბერლინის მაგალითს ჰყვება, რომელსაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოთხსაფეხურიანი სისტემა აქვს: საგარეუბნო მატარებელი, მეტრო, ტრამვაი და ავტობუსები. ინდივიდუალური ტრანსპორტით სიარული კი წამგებიანად ითვლება და მოსახლეობის საკმაოდ მცირე ნაწილი იყენებს. ბერლინის მსგავსად, სხვა ევროპულ ქალაქებშიც უამრავი მექანიზმია იმისთვის, რომ ინდივიდუალური ავტომობილების რიცხვი შემცირდეს.

„ამგვარი მიდგომა სულაც არ ნიშნავს, რომ კერძო ავტომობილებისთვის გარემო არაკომფორტული გავხადოთ; აუცილებელია წონასწორობის დამყარება საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ველოსიპედით თუ ფეხით სიარულსა და ინდივიდუალურ ტრანსპორტს შორის. ბევრი გამოცდილი სქემა და ხერხი არსებობს, მთავარი სურვილი და პირველი ნაბიჯების გადადგმაა", – ამბობს ბაქრაძე.

ქალაქმგეგმარებლის აზრით, თბილისში კერძო ავტომობილების რაოდენობის გაზრდას, საცობების გახშირებას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის „არაპოპულარულობას" აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. ერთი მხრივ, ჯერ კიდევ გავრცელებულია შეხედულება, რომ პირადი ავტომობილის ქონა კეთილდღეობის სიმბოლო და ნიშანია, მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, ობიექტურად, ხშირად საკმაოდ მოუხერხებელი და არაკომფორტულია. ზურაბ ბაქრაძე მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომლის კონცეფციის ცენტრშიც ადამიანი დგას, პირველ ყოვლისა, კომფორტული და პროგნოზირებადი უნდა იყოს და იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი ადამიანზე იქნება მორგებული, შესაძლებლობისა და კეთილდღეობის დონის მიუხედავად, მოქალაქეები მეტწილად სწორედ მას აირჩევენ.

ზურაბ ბაქრაძე მიიჩნევს, რომ ინტეგრირებული სატრანსპორტო დაგეგმვის, ტრანსპორტის ყველა ტიპისა და მთელი ქსელის ერთობლივი გაანალიზების გარეშე პრობლემის მოგვარება შეუძლებელია. რადგან ამგვარი მიდგომით თბილისის ცენტრში აშენებულმა ესტაკადებმა და პროექტებმა უკვე გვაჩვენა, რომ საცობების პრობლემა არათუ არ მოგვარდა, ზოგან დამძიმდა კიდეც.

„ქალაქის ინტეგრირებული სატრანსპორტო სქემა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ნაწილი უნდა იყოს და შესაბამისად სამართლებრივი, სავალდებულო ხასიათი უნდა ჰქონდეს", – ამბობს ბაქრაძე და განმარტავს, რომ 2009 წელს დამტკიცებულ თბილისის, ე.წ. გენგეგმაში ტრანსპორტის შესახებ არაფერია ნათქვამი გარდა იმისა, რომ დამტკიცებულია არსებული სატრანსპორტო ქსელი.

„ქალაქში მოუწესრიგებელია, ე.წ. განივი კავშირები, საბოლოოდ კი გრძივ მოძრაობაზე აწყობილი ქალაქი მობილობის თვალსაზრისით ძალიან ბევრ სირთულეს ქმნის"

კიდევ ერთი საკითხი, რაშიც ურბანისტი და ქალაქმგეგმარებელი ტრანსპორტის გადამწყვეტ მნიშვნელობას ხედავს, გარეუბნების ურბანული განვითარებაა. ბაქრაძე ამბობს, რომ დღეს გარეუბნად არამარტო ცენტრისგან მოშორებული ადგილები, არამედ ის უბნებიც შეიძლება ჩაითვალოს, რომლებიც სატრანსპორტო ქსელში ცუდადაა ჩაბმული. მაგალითად, რკინიგზის გადაღმა მდებარე უბნები: ელია, კუკია, სვანეთის უბანი, ნაძალადევი. უბნები, რომლებიც ფაქტობრივად ქალაქის ცენტრშია, მაგრამ იმიტომ, რომ სატრანსპორტო ქსელში არასწორადაა ჩაბმული, ხშირად მიუდგომელია, შორს გვეჩვენება და დღემდე ბოლომდე არ არის ათვისებული.

„თუკი მათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით დანარჩენ უბნებთან სწორად დავაკავშირებთ, ეს ქალაქს თანაბრად გადანაწილებულ სიმძლავრეებს მოუტანს, აღარ მოაწყდება ყველაფერი ვაკეს, რუსთაველისა და აღმაშენებლის გამზირებს. ქალაქში მოუწესრიგებელია, ე.წ. განივი კავშირები, საბოლოოდ კი გრძივ მოძრაობაზე აწყობილი ქალაქი მობილობის თვალსაზრისით ძალიან ბევრ სირთულეს ქმნის".

ჯერ კიდევ „სისტრამდე", 2006-2007 წლებში თბილისის მაშინდელ მთავრობასთან ერთად სატრანსპორტო სქემაზე გერმანული კომპანია „ტოპი" მუშაობდა. სამუშაოები ბოლომდე არ მისულა, თუმცა პირველად დასკვნებში ეწერა, რომ „თბილისს არ სჭირდება ახალი გზების მშენებლობა. თბილისს სჭირდება სატრანსპორტო ქსელის ინტეგრირებული დაგეგმვა".

„ქალაქს დღემდე არ გააჩნია სატრანსპორტო პოლიტიკა. ამ პროექტის ბოლომდე მიყვანა და სქემის აწყობა გმირთა მოედნის ესტაკადების მეოთხედიც არ დაჯდებოდა, მაგრამ ქალაქის მიმართ ასეთი უყაირათო და დაუფიქრებელი მიდგომის გამო, ხალხი ყოველდღიურად ისევ მწარდება და შეცდომებიც ისევ და ისევ მეორდება", – ამბობს ბაქრაძე.

იმ ფონზე როდესაც, მეტრო, ავტობუსები და მარშუტკები ქალაქში მგზავრთა კომფორტულ, სწრაფ და მოსახერხებელ გადაყვანას ვერ ახერხებენ, თბილისს კი, „მერების შეთანხმების" მიხედვით, 2020 წლამდე ჰაერში CO_2-ის გაფრქვევების 20%-ით შემცირების საერთაშორისო ვალდებულება აქვს, „სისტრას" და „ტოპის" რეკომენდაციები საკვანძო შეიძლებოდა ყოფილიყო, თუმცა დღემდე დედაქალაქში, ისევე როგორც ქვეყანაში, სატრანსპორტო ქსელის ერთიანი, ინტეგრირებული ქსელი არ არსებობს და დედაქალაქის ხელისუფლება გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას არ ჩქარობს. საზოგადოებრივი ტრანსპორტით ყოველდღე სარგებლობა კი კვლავ უსიამოვნო პროცესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელისუფლების "უზენაესი" გამოწვევა



საქართველოს სასამართლო სისტემისთვის ახალი და შესაძლოა გარდამტეხი პერიოდი იწყება. 23 თებერვალს ან უკვე ყოფილ თავმჯდომარეს, კოტე კუბლაშვილს უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა ამოეწურა. ხელისუფლება, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობასა" და კოტე კუბლაშვილს ხშირად აკრიტიკებდა, ახლა თავად დადგა გამოცდის წინაშე – აირჩევს თუ არა პარლამენტი პრეზიდენტის რჩეულ კანდიდატს, რომელმაც 2005 წელს ხელისუფლება ზეწოლაში ამხილა.

ქეთევან ღვედაშვილი

სასამართლო სისტემამ სახე ბევრჯერ იცვალა. მისი რეფორმირების პროცესი ჯერ კიდევ 1997 წელს დაიწყო, როცა იმჟამინდელი ხელისუფლება სასამართლოს რეფორმირების აუცილებლობის წინაშე დადგა. ყველაზე მნიშვნელოვანი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიღება იყო. ეს ერთგვარი რებრენდინგიც იყო, რადგან მესამე ხელისუფლებას ბევრი ახალი მოსამართლე შეემატა. ისინი თანამდებობას ყოველგვარი კრიტერიუმების გარეშე, მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე იკავებდნენ.

ძირეული ცვლილებები 2005 წელს დაწყებული რეფორმირების პროცესს მოჰყვა. რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში მოსამართლეები სპეციალიზაციის მიხედვით დაიყვნენ, შეიქმნა მაგისტრი მოსამართლის ინსტიტუტი, უზენაესი სასამართლო საკასაციო ინსტანციის სასამართლოდ ჩამოყალიბდა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სამართლის ნორმათა განმარტება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა.

რეფორმები იუსტიციის უმაღლეს საბჭოსაც შეეხო – 2007 წელს განხორციელებული ცვლილებებით, ის პრეზიდენტის სათათბირო ორგანოდან დამოუკიდებელ სტრუქტურად იქცა.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, სასამართლოსადმი მართლმსაჯულების აღსრულებისთვის ყველზე მნიშვნელოვან კომპონენტთან – მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კრიტიკა არ ცხრებოდა. მოქალაქეები, ადვოკატები და სხვა დაინტერესებული მხარეები მიიჩნევდნენ, რომ სასამართლო პროკურატურის ყველა შუამდგომლობას დაუფიქრებლად აკმაყოფილებდა.

პროკურატურის უპირატესობაზე გამამართლებელ განაჩენთა სტატისტიკაც მეტყველებს: უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2007 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებმა სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული 11 073 პირიდან 13 გაამართლა. თითქმის ანალოგიური მაჩვენებელია 2008 წელსაც, როცა 9619 ბრალდებულიდან სასა-

„საპროცესო გარიგების ინსტიტუტით რაც შეიძლება მეტი თანხა უნდა შესვლოდა სახელმწიფო ბიუჯეტს. თუკი სასამართლო განურჩევლად ყველას ჯერ წინასწარ პატიმრობას, ხოლო შემდეგ თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიდა, მაშინ საზოგადოებაში დამკვიდრდებოდა აზრი, რომ სასამართლოში დავას აზრი არ ჰქონდა და ჯობდა, საპროცესოს დასთანხმებოდა. ამის გამო სასჯელის დანიშვნის აბსოლუტური პრეროგატივა პროკურატურის ხელში იყო“.

მართლომ 30 გაამართლა. მაშინ როცა 2013 წელს თითქმის ოთხჯერ ნაკლები დანაშაულის შემთხვევაში გამამართლებელ განაჩენთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა (2206 ბრალდებული და 70 გამართლებული).

საინტერესოა, რამ გამოიწვია პროკურატურის უპირატესობა – პროკურორების პროფესიონალიზმმა და დასაბუთებულმა ბრალდებებმა, თუ სასამართლოზე ზეწოლამ. ამჟამინდელი ვითარებით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სახელმწიფო ბრალდებას იგივე ადამიანები წარადგენენ, ვინც მანამდე. მაგრამ გამამართლებელმა განაჩენებმა იმატა. დღეს არსებული კანონმდებლობით, პოლიტიკური ნების ქონის შემთხვევაში, მოსამართლეზე ზეწოლა საკმაოდ ადვილია. მის წინააღმდეგ დისციპლინური საქმის წარმოების დაწყება ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეიძლება.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე მერაბ ტურავა, რომელიც სასამართლო სისტემაში 1999 წლიდან მუშაობდა, ამბობს, რომ რეფორმირების დასაწყისში მოსამართლეები ხელისუფლების მცირე ჩარევებს ადვილად უმკლავდებოდნენ, მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ზეწოლა გაძლიერდა. მისივე თქმით, ხელისუფლება გახმაურებული და ჩვეულებრივი სისხლის სამართლის საქმეებით თანაბრად ინტერესდებოდა, მიზანი – საზოგადოებაში სასამართლოსადმი უიმედო განწყობის დამკვიდრება იყო:

„საპროცესო გარიგების ინსტიტუტით რაც შეიძლება მეტი თანხა უნდა შესვლოდა სახელმწიფო ბიუჯეტს. თუკი სასამართლო განურჩევლად ყველას ჯერ წინასწარ პატიმრობას, ხოლო შემდეგ თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიდა, მაშინ საზოგადოებაში დამკვიდრდებოდა აზრი, რომ სასამართლოში დავას აზრი არ ჰქონდა და ჯობდა, საპროცესოს დასთანხმებოდა. ამის გამო სასჯელის დანიშვნის აბსოლუტური პრეროგატივა პროკურატურის ხელში იყო“.

ამ პროცესებს გამკაცრებული სასჯელებიც დაემატა, როცა 2006 წელს პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე იმდროინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ყოველგვარ დანაშაულს „ნულოვანი ტოლერანტობა“ გამოუცხადა. შედეგად ძალაში სასჯელთა შეკრებითობის პრინციპი შევიდა.

მერაბ ტურავა ამბობს, რომ პროკურატურამ მოსამართლეთა დანიშვნაც საკუთარ თავზე აიღო და სამართალდამცავ უწყებებში ნამუშევარი არაერთი ადამიანი სასამართლო სისტემაში გადმოიყვანა. უზენაესი სასამართლოს მონაცემების თანახმად, საერთო სასამართლოებში 2005 წლიდან ძველი წესით, ანუ კრიტერიუმებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გარეშე, 127 მოსამართლე დაინიშნა. სასამართლოში მოსვლამდე შსს-ში, პროკურატურასა და ეროვნული უშიშროების საბჭოში 46 მოსამართლე მუშაობდა. იუსტიციის საბჭოს ამჟამინდელი მდივანი ლევან მურუსიძეც 2005 წელს სწორედ პროკურატურიდან მოვიდა.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე აღნიშნავს, რომ კოტე კუბლაშვილიცა და მთლიანად, სასამართლო სისტემაც მხოლოდ იუსტიციის მაშინდელ მინისტრს, ზურაბ ადეიშვილს ექვემდებარებოდა. ტურავა ვარაუდობს, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კოტე კუბლაშვილსაც ისევე ჩამოაშორებდნენ მესამე ხელისუფლებას, როგორც ჩამოაშორეს 2005 წელს რამდენიმე „მეამბოხე“ მოსამართლე. თუმცა კოტე კუბლაშვილს ეს პასუხიმგებლობისგან არ ათავისუფლებს, რადგან სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დაცვა მისი მოვალეობა იყო.

„მან პირადი კომფორტი სასამართლოს დამოუკიდებლობაზე მაღლა დააყენა. შეიქმნა, ე.წ. მორჩილი სასამართლო სისტემა, რომელიც პროკურატურის ხელში ინსტრუმენტი და პოლიტიკური ხელისუფლების მითითებების შემსრულებელი იყო“.

დროთა განმავლობაში სასამართლოსადმი ნდობა სულ უფრო იკლებდა. ამაზე საერთაშორისო პარტნიორებიც ბევრს საუბრობდნენ. ხელისუფლებამ გამოსავლის ძებნა დაიწყო. ამ მიმართულებით გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება იყო. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩვეულებრივი მოქალაქეების ჩართვით სასამართლოს საზოგადოების ნდობა უნდა მოეპოვებინა. თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ინსტიტუტის უარყოფითი მხარეები დადებითს სჭარბობდა – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, ჩვეულებრივთან შედარებით, ბევრად მეტი მატერიალური რესურსი და დრო სჭირდება.

ამჟამინდელი ხელისუფლება სასამართლო სისტემასა და მის ხელმძღვანელს ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნის დროს აკრიტიკებდა და მოსამართლეებზე ზეწოლაში ადანაშაულებდა. დაპირისპირება 2012 წლის არჩევნების შემდგომაც გაგრძელდა, მაგრამ ეს პოლიტიკურ ბრძოლას უფრო ჰგავდა, ვიდრე სამართლებრივს.

სასამართლოზე განხორციელებულ ზეწოლაზე უზენაესი სასამართლოს ან უკვე ყოფილი თავმჯდომარეც საუბრობდა, ოღონდ უკვე ხელისუფლების შეცვლის შემდეგ და კონკრეტული პირების დასახელების გარეშე. როგორც მან 2014 წლის 19 მარტს ჟურნალისტებს განუცხადა, „სასამართლოზე ზეწოლა წინა ხელისუფლების დროსაც იყო და ახლაც არის“.

აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის არსებული დაძაბულობა და ფარული პაექრობა ყველაზე ნათლად „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებათა შეტანისას გამოიკვეთა. ჯერ იყო და კოტე კუბლაშვილმა იუსტიციის სამინისტრო კანონპროექტის ერთპიროვნულად, სასამართლოს გვერდის ავლით შექმნაში დაადანაშაულა, შემდეგ კი უზენაესმა მოსამართლემ აღნიშნული კანონპროექტი ვენეციის კომისიას იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე გაუგზავნა.

“დღეს სასამართლო პოლიტიკური ოპოზიციონერის როლს თამაშობს“, – ასე შეაფასა თეა წულუკიანმა კოტე კუბლაშვილის ქმედება და მას თანამშრომლობისა და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების გამოჩენისკენ მოუწოდა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა მხრიდან მოსამართლეების კრიტიკა მომავალშიც გაგრძელდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ყოფილ მაღალჩინოსანთა გამამართლებელ განაჩენებს ეხებოდა.

ხელისუფლებამ სასამართლოსთვის ახალი სულის შთაბერვა გადაწყვიტა და მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადის შესახებ საკონსტიტუციო ჩანაწერი კანონად აქცია. თავად მოსამართლეებიცა და არასამთავრობოებიც ასეთი ნორმის არსებობას ხელისუფლებისთვის „ურჩ“ მოსამართლეზე ზეწოლის ბერკეტად აღიქვამენ. სამწლიანი მუშაობის შემდეგ მოსამართლეების საქმიანობას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები შეაფასებენ და მათ მომავალსაც ისინი გადაწყვეტენ. სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ დროის განმავლობაში მოსამართლეებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება გაუჭირდებათ.

ხელისუფლება ამ მოსაზრებას არ ეთანხმება, თუმცა ხშირად გვესმის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებები, სადაც ისინი სასამართლო სისტემის ბნელ წარსულსა და გამოუცდელი, მაგრამ სუფთა წარსულის მქონე მოსამართლეების დანიშვნის დადებით მხარეებზე საუბრობენ.

ეს პროცესები 2005 წელს მიმდინარე მოვლენებს ჰგავს, როცა ხელისუფლებამ სასამართლოში, ე.წ. წმენდა განახორციელა და პირადი განცხადებებისა თუ დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველზე სისტემა ბევრ მოსამართლეს დაატოვებინა.

„ჩვენ ვახორციელებთ კამპანიას, რათა გავწმინდოთ სასამართლო სისტემა იმ მოსამართლეებისგან, რომლებიც წლების განმავლობაში უგულვებელყოფდნენ კანონებს; იმ მოსამართლეების წინააღმდეგ, რომლებიც მოსამართლეები კი არა, მომრიგებლები იყვნენ პროკურორსა და დაცვის მხარეს შორის“, – აცხადებდა გიგა ბოკერია 2005 წელს.

თუმცა განსხვავება ისაა, რომ მაშინ სასამართლო ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მოსამართლეები გაათავისუფლეს. დღეს კი არავინ იცის, რომელი მოსამართლის წინააღმდეგ გამოიყენებენ 3-წლიან გამოსაცდელ ვადას.

ადვოკატი სოსო ბარათაშვილი სასამართლოში არსებულ რთულ ვითარებაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ მოსამართლეთა ნაწილი ახალ ხელისუფლებას ექვემდებარება, ნაწილი – ძველს და ნაწილიც დამოუკიდებლად დარჩენას ცდილობს.

ბარათაშვილი გახმაურებულ, გარკვეული პოლიტიკური სარჩულის მქონე საქმეებზე 1997 წლიდან მუშაობს. მათ შორისაა ზვიად გამსახურდიას მომხრეების, სულხან მოლაშვილის, საქველმოქმედო ფონდ „ქომაგის“, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი – ე.წ. ტრაქტორებისა და „კაბელების“ საქმეები. ამასთან ერთად ის მკვლელობაში, სამოხელეო და სხვადასხვა ტიპის დანაშაულში ბრალდებული რიგითი მოქალაქეების უფლებებსაც იცავდა.

ადვოკატი სულხან მოლაშვილის საქმეს იხსენებს და განმარტავს, რომ პროცესი ძალზე სწრაფად, საპროცესო ნორმების უხეში დარღვევებით მიმდინარეობდა. როგორც შემდგომში გაირკვა, განაჩენში დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის ვრცელი დასკვნა არ ყოფილა, ისევე როგორც არ ყოფილა ნახსენები არცერთი მოწმის სახელი და გვარი. მოგვიანებით ამაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც აპელირებდა.

„ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პირობებში, სახელმწიფოს წარმომადგენელმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ოფიციალურად აღიარა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ სულხან მოლაშვილის მიმართ დაირღვა სამართლიანი სასამართლოსა და უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპები. სახელმწიფომ ასევე აღიარა, რომ მოლაშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას პოლიტიკური ნიშნით, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას. შემდგომში აღნიშნული დარღვევის ფაქტები ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადასტურა“.

მისივე თქმით, გახმაურებულ თუ რიგითი სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სახელმწიფო ერთი სტრატეგიით იქცეოდა – იგი ერეოდა სასამართლოს საქმიანობაში, საქმის წარმოებაში, ხელს უშლიდა დაცვის მხარეს მტკიცებულებების მოპოვებაში და მედიის საშუალებით საზოგადოებაში წინასწარ ქმნიდა განწყობას, რომ ბრალდებულები დამნაშავეები იყვნენ.

„წინა ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ სასამართლო აღმასრულებელი ხელისუფლების ნების უპირობო გამომხატველი უნდა იყოს. ისინი სასამართლოს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოს, მხოლოდ ფორმალურად უყურებდნენ“.

ადვოკატი ამბობს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სასამართლოში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. მაგალითად, ბრალდებულთათვის აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებისას არასაპატიმრო სასჯელი უფრო მეტად გამოიყენება, მცირედითაა გაზრდილი განაჩენების დასაბუთებულობის ხარისხიც.

თუმცა, როგორც ჩანს, ეს ცვლილებები სასამართლო სისტემის გამართულად ფუნქციონირებისა და მართლმსაჯულების აღსრულებისთვის არასაკმარისია – სოსო ბარათაშვილი ამჟამად თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების უფლებებს

იცავს და მიიჩნევს, რომ მტკიცებულებათა მოპოვების დროს ბრალდებისა და დაცვის მხარეები სრულიად არათანაბარ პირობებში იმყოფებიან.

„მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ სასამართლოს არაერთხელ მივმართეთ, თუმცა მან დაუსაბუთებელი უარით გვიპასუხა. ერთადერთი დადებითი, რაც სასამართლოში განხორციელებულ რეფორმებს მოჰყვა კორუფციის აღმოფხვრაა, თუმცა ამან სამართლიანი განაჩენების რიცხვი გაზრდის ნაცვლად შეამცირა.

თავად უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, კოტე კუბლაშვილი თავის 10-წლიან მუშაობას 100-ბალიან შკალაზე 80-90 ქულით აფასებს. მისი თქმით, სისტემაში ჯერ კიდევ რჩება ხარვეზები, ერთ-ერთი ასეთი კი მოსამართლეთა 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნაა. გამოწვევები, რომლებიც უზენაესი სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს დახვდება, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის საკითხი და მოსამართლეთა რაოდენობრივი ზრდაა.

გამოწვევების პირისპირ, სავარაუდოდ, ნინო გვენეტაძე აღმოჩნდება. კუბლაშვილის ვადის ამოწურვამდე თვენახევრით ადრე პრეზიდენტმა დაინტერესებულ მხარეებს კანდიდატების წარდგენის ინიციატივით მიმართა და დრო 9 თებერვლამდე მისცა. 36 კანდიდატიდან 8-მ უარი თავად განაცხადა, 28 პრეტენდენტიდან კი ქვეყნის პირველმა პირმა უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ ნინო გვენეტაძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც 2005 წელს სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ზეწოლაში დაადანაშაულა. იგი სასამართლოში 1999-2006 წლებში მუშაობდა. ხელისუფლების მხილების შემდეგ მას, მერაბ ტურავასა და დავით სულაქველიძეს ბრალი პროცედურულ დარღვევებში დასდეს და სასამართლო დისციპლინური სამართალწარმოებით დაატოვებინეს.

ნინო გვენეტაძის დასახელებამ პოლიტიკურ წრეებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. „ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ მის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერენ, რადგან იგი პოლიტიკურ ძალასთან, კერძოდ კი „რესპუბლიკურ პარტიასთან" ასოცირდება. იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა კი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატს პროფესიონალიზმი და პრინციპულობა მოუწონა.

„ეს იქნება ბრძოლა, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლება, მისი პოლიტიკური ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლოზე გავლენის მოპოვებას

„სასამართლოზე განხორციელებულ ზეწოლაზე უზენაესი სასამართლოს აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარეც საუბრობდა, ოღონდ უკვე ხელისუფლების შეცვლის შემდეგ და კონკრეტული პირების დასახელების გარეშე. როგორც მან 2014 წლის 19 მარტს ჟურნალისტებს განუცხადა, „სასამართლოზე ზეწოლა წინა ხელისუფლების დროსაც იყო და ახლაც არის".

შეეცდება და ასეთ შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ქვეყნის ხელმძღვანელთა იმაში დარწმუნებაა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ამგვარი სწრაფვა ქვეყნის ინტერესებს დააზიანებს".

საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე მოვლენები არცთუ დამაიმედებელ პროგნოზს იძლევა – ნინო გვენეტაძისთვის პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს 23 თებერვალს უნდა მოესმინა, მაგრამ ქვორუმის არარსებობის გამო დილით და შემდეგ უკვე საღამოსთვის ჩანიშნული სხდომებიც ჩაიშალა. კომიტეტის სხდომამ, სადაც მას საბოლოოდ მხარი დაუჭირეს, არეულობისა და დაპირისპირებების ფონზე ჩაიარა.

მასალაზე მუშაობის პროცესში უზენაესი სასამართლოს შესაძლო თავმჯდომარის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია. წინ კიდევ უფრო საინტერესო პროცესებია – მოინდომებს თუ არა საკანონმდებლო ხელისუფლება მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი და პრინციპული კანდიდატის არჩევას, თანაც იმ ფონზე, რომ ის პრეზიდენტის რჩეულია. (საზოგადოებამ ქვეყნის პირველი პირისა და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების დაძაბული ურთიერთობის არაერთი მაგალითი იხილა, მათ შორისა გაურკვეველი ვადით გადადებული პრეზიდენტის წლიური მოხსენება და მის მიერ ვეტოდადებული კანონპროექტები.

ნინო გვენეტაძეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციის დასაკავებლად პარლამენტში სულ მცირე 76 ხმა სჭირდება. თუკი მან კანონმდებელთა მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, პრეზიდენტს სხვა კანდიდატის დასახელება მოუწევს. თუკი ხმების საჭირო რაოდენობა ვერც მეორე კანდიდატმა მიიღო, პრეზიდენტს ახალი კანდიდატის წარდგენა მხოლოდ 2 წლის შემდეგ შეეძლება. კანონმდებლობის თანახმად, ასეთ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობას კოტე კუბლაშვილის მოადგილე ზაზა მეიშვილი დაიკავებს.

ცხადია, აღნიშნულის შესახებ საკანონმდებლო ორგანოში კარგად არიან ინფორმირებულნი. თუკი პარლამენტი პრეზიდენტის მიერ დასახელებულ კანდიდატებს მხარს არ დაუჭერს, ეს ზაზა მეიშვილისთვის – „ქართული ოცნების" წარმომადგენლებისგან არაერთგზის გაკრიტიკებული მოსამართლისთვის მხარდაჭერის ავტომატურად გამოცხადებას ნიშნავს.

მიმდინარე პროცესები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის ფონზე. ხელმოწერით საქართველო კანონის უზენაესობის გამყარების, მართლმსაჯულების რეფორმის გაგრძელების, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების ვალდებულებას იღებს.

ცხინი იკა, ჭიხი აკა

ანკა გუდაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ინტერესის საგანს ოდესღაც „RMG GOLD"-ის საკუთრებაში არსებული შენობის მობინადრეები წარმოადგენენ (ეს შენობა წლების წინ სახელმწიფოს გადაეცა).

აქ კაზრეთის „RMG GOLD"-ის ოქროს საბადოს ყოფილი მუშები, სოციალურად დაუცველი ადამიანები, (რომლებსაც ხშირად აქვთ ჯანმრთელობის პრობლემები), ბავშვები (რომელთაც არ აქვთ სწავლის შესაძლებლობა) და აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ. ამჯერად ჩემი ფოტოკამერის ვიზირში სწორედ ისინი მოხვდნენ. ფოტოპროექტი ამ ადამიანების გაუსაძლის ყოფას აღწერს. ეფექტის გასამძაფრებლად უკანა პლანზე ყოველდღიური ლამაზი ცხოვრების ამსახველი ბანერები მოჩანს, რაც კიდევ უფრო აშკარას ხდის კონტრასტს ამ ადამიანების ყოფასა და ბანერებზე ასახულ ცხოვრებას შორის.

მინდა პროექტი ერთგვარ გამოწვევად იქცეს მნახველში ემპათიისა და სინდისის ქენჯნის გასაღვიძებლად. ფონებად გამოყენებული ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელი, ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად ქცეული ლამაზი და მსუყე ცხოვრების ამსახველი სარეკლამო ხასიათის ბანერები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადამიანების სურვილებისა და მისწრაფებების ფორმირებაში. ისინი შირმად აჰფარებიათ რეალურ, დუხჭირ ცხოვრებას. პრიალა და ჰიპერრეალური ხატები (იქნება ეს განათებული ეიფელის კოშკი თუ ბედნიერი ოჯახი) კაზრეთის მკვიდრების ცხოვრებისგან დიამეტრულად განსხვავებულ ცხოვრებას გვიჩვენებს. ჩემი მიზანია, ამ წინააღმდეგობით მნახველმა იგრძნოს დისკომფორტი და არა ესთეტიკური კმაყოფილება; გაუჩნდეს პროტესტი და მოქმედების სურვილი არსებული რეალობის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


5×2
10:2=
7+12=
15:3=
24:6=
AUTHENTIC

ADIDAS

ანტიტოტალიტარული ლიტერატურა

პირდაპირ ვთქვათ – ლიტერატურის თემატურად განსაზღვრა რეალურად შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის, როგორც ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორისთვის, კარგადაა ცნობილი აღწერის მეთოდები, როგორიცაა, ე.წ. უნივერსალური დეციმალური კოდი – UDC, BBK, დიუი, მისი წინამორბედები და მისი მომდევნო სისტემები. ეს სისტემები წიგნების რიცხვებით აღწერას გულისხმობს, მაგალითად, მხატვრული ლიტერატურა მინიჭებული რიცხვით განსხვავდება ფილოსოფიისგან. შემდეგ თითოეულ წიგნს ერთი რიცხვი გააერთიანებს და თემატურად განისაზღვრება – რას ეძღვნება, რის წინააღმდეგაა და სხვ.

ლევან ბერძენიშვილი



ანტიტოტალიტარულ ლიტერატურაში შეგვიძლია ვიგულისხმოთ ნებისმიერი რამ ვაჟა ფშაველას „არწივით“ დაწყებული, რომელიც შეიძლება მე ანტიტოტალიტარულად დავინახო. ერთი მხრივ, აქ ერთიანდება, ე.წ. გულაგის ლიტერატურა – ყველგან, სადაც ტოტალიტარიზმმა ძეგლი ააგო, იქნება ეს საკონცენტრაციო ბანაკი, საბჭოთა გულაგი, თუ სხვა; მეორე მხრივ კი, უბრალო ნაწარმოებები, რომელშიც საუბარია, რომ ვიღაცას ვიღაც უყვარდა და ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, იმიტომ რომ სისტემაში თურმე ნათქვამია – მას ის არ უნდა უყვარდეს...

ამ ნიუანსებიდან გამომდინარე, ანტიტოტალიტარულ ლიტერატურაში თავი მოიყარეს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულმა მწერლებმა, რომელთაც მხატვრული პრინციპების მიხედვით საერთო არაფერი აქვთ. აქ არიან მებრძოლი მწერლები, მაგალითად, ჟურნალისტები, რომელთაც აშკარა მებრძოლი სულისკვეთება ჰქონდათ; ფილოსოფოსი მწერლები და ბოლოსდაბოლოს ანტიტოტალიტარული ლიტერატურა შეიძლება იყოს უმაღლესი ხარისხის ლიტერატურა, რომელსაც შესაძლოა პირველად მე, ლევან ბერძენიშვილმა, ვუწოდო ანტიტოტალიტარული. ასეთია ალბერ კამიუს „შავ ჭირი“, რომელსაც ამ კუთხით არ განიხილავენ, იმიტომ რომ ამ სქემაში თითქოს ვერ თავსდება.

რა თქმა უნდა, უამრავი ავტორის დასახელება შეგვიძლია. დავიწყოთ თუნდაც რუსებით: ევგენი ზამიატინის შესანიშნავი რომანი – „ჩვენ“. მიმაჩნია, რომ ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაწარმოებია, რადგან სწორედ იმ სამყაროში დაიწერა, სადაც ტოტალიტარიზმმა გარკვეულ სიმაღლეებს მიაღწია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მშვენიერი რომანი კარგად ერგება ანტიტოტალიტარული ლიტერატურის სპეციფიკას და კლასიკადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, ის კონკურენციას ვერ უწევს საბჭოთა პერიო-

დის სხვა ანტიტოტალიტარულ ნაწარმოებებს.

ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტაც“, თუმცა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოებების მთავარი ავტორი სულ სხვა მწერალია. სამწუხაროა, რომ მსოფლიო მას ნაკლებად იცნობს იმ დახვეწილი და უცნაური ენის გამო, რაც შეუძლებელს ხდის მის თარგმნას. ქართველ მკითხველს მინდა მივულოცო - თითქმის ყველაფერი, რაც ანდრეი პლატონოვმა დაწერა, გივი კიკილაშვილმა თარგმნა, მაგრამ ეს უცნაურენოვანი ავტორი ვერც ქართულად და ვერცერთ სხვა ენაზე ვერ ჟღერს თვინიერ რუსულისა.

პლატონოვის რომანების სათაურების თარგმნა ზოგ შემთხვევაში საკმაოდ მარტივია, მაგალითად: „ჩევენგური“, ან „იუვენილური ზღვა“, ანუ ახალგაზრდული ზღვა. თუმცა ზოგიერთი ისეთია, როგორც კი თარგმნას შეეცდები, იმ წუთას ყველაზე მთავარს კარგავ. „Котлован“– ალბათ ყველაზე ანტიტოტალიტარული ნაწარმოებია დედამიწის ზურგზე და თან მისი მხატვრული სიმაღლე ისეთია, რომ ენობრივადაა ყველაფერი გარკვეული. ამ ნაწარმოებში იხილავთ გულწრფელ ადამიანებს, რომლებიც ახალ სამყაროს აშენებენ. ამ ახალ სამყაროს შენებას კი სოფლის მოსახლეობის ტივზე თავმოყრა და მათი მსოფლიო ოკეანეში გაშვება სჭირდება. იმისათვის, რომ პროლეტარიატის ინტერესი დაიცვა, პატარა ბავშვს უნდა სცემო, ან მოკლა და ა.შ. კითხულობთ „Котлован“-ს და გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანებს ავტორი არ კიცხავს, თითქოს თანაუგრძნობს კიდეც. ზემოქმედების ძალით ეს უსაშინლესი ნაწარმოებია და დარწმუნებული ვარ, რომ სხვადასხვა ენაზე თარგმნის შემთხვევაში მას კიდევ აქვს მომავალი.

ეს რაც შეეხებოდათ რუსებს, რომელთაც მოქმედი ტოტალიტარიზმი თვალწინ ჰქონდათ და მათთვის ეს არსებულ სისტემასთან ბრძოლის გზა იყო. იყვნენ სხვებიც, რომელთაც ტოტალიტარიზმი არ უნახავთ, მაგრამ ეშინოდათ და ამიტომაც წერდნენ ამ ტიპის ლიტერატურას.

ვინც ტოტალიტარიზმთან ბრძოლა ანტიტოტალიტარული ლიტერატურით ტოტალიტარიზმის პირობებში დააპირა, უკეთ გამოუვიდა, ვიდრე მათ, ვინც ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მაშინ დაწერა, როცა მათ ქვეყანაში მისი მხოლოდ ელემენტებიღა შეიმჩნეოდა. ამ ტიპის საზოგადოებების აბსოლუტური უმრავლესობა გადარჩა. რა თქმა უნდა, ეს მწერლები „იტყვიან“, რომ ეს მათი დამსახურებაა, მათ ამაზე წინასწარ იზრუნეს. ეს ამბავი ჭიჭიკიას ცნობილ ანეკდოტს ჰგავს:

რატომ არ არიან ლომები, ვეფხვები ან ნიანგები ქუთაისში? მათ ჭიჭიკია აშინებს და სწორედ ამიტომ.

სამწუხაროდ, ლიტერატურას ასეთი ძალა არა აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი წიგნები დაიწერა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ ჯორჯ ორუელი, ჟურნალისტი, როგორც შემდეგ გაირკვა, მზვერავი, რომელიც საკუთარ ქვეყანას საკმაოდ საინტერესოდ წარმოადგენდა და მშვენიერი მწერალი, ანტიტოტალიტარული ლიტერატურის მიმართულებით სულ ცოტა ორი კარგი ნაწარმოების ავტორი.

დიდი გულშემატკივარი არ ვარ ნაწარმოებისა, რომელშიც ჩვენი თანამემამულე სახელგანთქმული ღორის სახითაა გამოყვანილი. „ცხოველების ფერმა“ცუდი წიგნი არ არის, მაგრამ ასეთი ნაწარმოების დაწერას დიდი გენიოსი არ სჭირდება. რაც შეეხება „1984“-ს, ეს, რა თქმა უნდა, დიდი წიგნია, რომელმაც სხვა წიგნები შვა, მაგალითად, ანდრეი ამალრიკის „იარსებებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?“ 1985 წლის იანვარში გამომძიებელმა ცინცაძემ დამიბარა და მითხრა – „ხომ გავძელით!“ ვუპასუ-

■ რაც შეეხება „1984“-ს, ეს, რა თქმა უნდა, დიდი წიგნია, რომელმაც სხვა წიგნები შვა, მაგალითად, ანდრეი ამალრიკის „იარსებებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?“ 1985 წლის იანვარში გამომძიებელმა ცინცაძემ დამიბარა და მითხრა – „ხომ გავძელით!“ ვუპასუხე, - ეს ორუელის რომანის სათაურია. ბუნებრივია, თარიღი სიმბოლურია და რაღაც დრომდე გაძლებთ-მეთქი... სულ ცოტა ხანში საბჭოთა კავშირი შემოენგრათ და მოვლენები ზუსტად იმ სცენარით განვითარდა, როგორც ამალრიკმა აღწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



■ **არსებობს სტერეოტიპი, რომ ტოტალიტარიზმის სამსახურში „ჩამდგარი“ ლიტერატურა აუცილებლად დაბალი ხარისხის იქნება. ეს არ არის სიმართლე. გაბრიელე დ'ანუნციო ფაშისტი ავტორია და თუკი მას ვინმე შეეჯიბრება, შეეჯიბროს ჰუმანიზმში, კაცთმოყვარეობაში, მაგრამ არა ოსტატობაში – ამ ბრძოლას წააგებს. ასევე, ფაშისტი იყო შესანიშნავი ავტორი ეზრა პაუნდი, რომელთანაც შეჯიბრება საერთოდ აზრს არის მოკლებული. ისეთი დიდი პოეტი, როგორიც ტომას ელიოტია, მის მთავარ პოემას ასეთი მიძღვნით იწყებს – „ჩემზე უკეთეს ოსტატს, ეზრა პაუნდს“.**

ხე – ეს ორუელის რომანის სათაურია. ბუნებრივია, თარიღი სიმბოლურია და რაღაც დრომდე გაძლებთ-მეთქი... სულ ცოტა ხანში საბჭოთა კავშირი შემოენგრათ და მოვლენები ზუსტად იმ სცენარით განვითარდა, როგორც ამალრიკმა აღწერა.

„იარსებებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?“ მხატვრული ნაწარმოები არაა, მაგრამ მან ისტორია გამოიცნო, თქვა, რომ დიდი ომი იქნება და მას საბჭოთა კავშირი ვერ მოიგებს. ყველამ ჩინეთთან დაპირისპირებაზე იფიქრა, მაგრამ ეს აღმოჩნდა ომი ავღანეთში, რომელშიც საბჭოთა კავშირმა ვერ მიაღწია მისხალ წარმატებასაც კი -ამერიკის შეერთებულ შტატებში მოიძებნა ერთი სენატორი, ჩარლი უილსონი, რომელმაც ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს უზარმაზარი დაფინანსება მოუპოვა. თანხა მოჯაჰედების ხელში აღმოჩნდა და ავღანელებმა, ჩამორჩენილი საზოგადოების წარმომადგენლებმა, წინწაწეულ საბჭოთა ჯარს კუდით ქვა ასროლინეს. ასეთი სამარცხვინო ამბები რუსეთს XIX საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ, ყირიმის ოპერაციის შემდეგ არ შემთხვევია, პორტ-არტურის ისტორია მონაგონია იმასთან შედარებით, რაც რუსეთს ავღანეთში მოუვიდა.

ამალრიკის წიგნი არ ყოფილა წიგნი გაფრთხილება, წიგნი წინასწარმეტყველება. ის იყო სწორი ანალიზი, რა თქმა უნდა, არეული თარიღებითა და ქვეყნებით. რაც შეეხება წიგნ-გაფრთხილებებს, გარკვეული აზრი მათაც აქვთ და, ჩემი აზრით, სწორედ ამით სჯობს „1984“„ცხოველების ფერმას“. „ცხოველების ფერმის“ამბები მომხდარი მოვლენებია. იქ არის სტალინი, ტროცკი, კომუნისტური პარტია, იქ გვხვდებიან საწყალი, მშრომელი ადამიანები, მზაკვარი ღორები კომუნისტური ელიტის სახით, მაგრამ ეს მაინც მომხდარი ამბავია.

“1984“ მნიშვნელოვანი წიგნია იმით, რომ მასში აღწერილი მოვლენები კი არ მოხდა, ან კი არ მოხდება, არამედ ახლა, ამწუთას ხდება – მაშინ, როდესაც ნებისმიერ საზოგადოებაში ნებისმიერი სახის ტოტალიტარიზმი იმარჯვებს. ტოტალიტარიზმის ელემენტები სხვადასხვა ფორმით დემოკრატიულ საზოგადოებებშიც გვხვდება. მონოპოლიაც, მისი შესაძლო ბუნებრიობის მიუხედავად, ტოტალიტარული ელემენტია და სახელმწიფოს ამოცანა მასთან ბრძოლაა. „1984“განსაკუთრებული ნაწარმოებია, ის არ არის ოპტიმისტური წიგნი, მან ადამიანის დამარცხება აჩვენა, მაგრამ ისიც დაგვანახა, რომ ადამიანი ჰარმონიაში მოდის საკუთარ თავთან, თავს ურიგდება და ასე მარცხდება, ანუ გულწრფელად დაიჯერებს, რომ „დიდი ძმა“ უყვარს. ეს განსაკუთრებული ტრაგედიაა, ადამიანების ტრაგედია. საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტიის წევრების აბსოლუტური უმრავლესობა თავს კომუნისტად არ გრძნობდა. სულით და გულით კომუნისტი შესაძლოა დაახლოებით 1% ყოფილიყო, მაგალითად, ჰიპოკრატე შევარდნაძე, ან რომელიმე უპატიოსნესი კაცი, რომელსაც კომუნიზმის სჯეროდა და მისი წესების მიხედვით ცხოვრობდა. უჭირდა და „პრიმას“ ეწეოდა. შემდეგ კომუნისტებმა მოიფიქრეს და იმ ჯიხურში, სადაც თამბაქოს ყიდულობდა, სპეციალურ „პრიმას“ახვედრებდნენ. ასეთ ადამიანებს იშვიათად ნახავდით. ისინი კომუნიზმს, ისე იყენებდნენ, როგორც განცხრომის საშუალებას.

„1984“-მა გვაჩვენა, რომ შესაძლოა მთელი სისტემა გულწრფელად კომუნისტურად იქცეს, ანუ დაგვანახა სრული კატასტროფა. ტოტალიტარიზმის უბედურება სწორედ ის არის, რომ ადამიანებს, რომლებიც მას ემსახურებიან, ტოტალიტარიზმის არ სჯერათ. გერმანულ ფაშიზმს ემსახურებოდა ის ხალხი, რომელთაც არ სწამდათ ფაშიზმის, მაგრამ სჯეროდათ, მაგალითად, ჰიტლერის. უზარმაზარი კაცი, ისეთი დიდი ფილოსოფოსი,

როგორიც იყო მარტინ ჰაიდეგერი, თანაუგრძნობდა ჰიტლერს. თავისი დროის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა მწერალმა – კნუტ ჰამსუნმა ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ფიურერს საფლავში ჩაჰყვა და საკუთარი რეპუტაციაც თან ჩააყოლა. ამ დროისთვის ჰამსუნი ღრმად მოხუცებული იყო და შინაპატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტოტალიტარიზმის საქებარი არცერთი ნაწარმოები არ დაუწერია.

არსებობს სტერეოტიპი, რომ ტოტალიტარიზმის სამსახურში „ჩამდგარი“ ლიტერატურა აუცილებლად დაბალი ხარისხის იქნება. ეს არ არის სიმართლე. გაბრიელე დ'ანუნციო ფაშისტი ავტორია და თუკი მას ვინმე შეეჯიბრება, შეეჯიბროს ჰუმანიზმში, კაცთმოყვარეობაში, მაგრამ არა ოსტატობაში – ამ ბრძოლას წააგებს. ასევე, ფაშისტი იყო შესანიშნავი ავტორი ეზრა პაუნდი, რომელთანაც შეჯიბრება საერთოდ აზრს არის მოკლებული. ისეთი დიდი პოეტი, როგორიც ტომას ელიოტია, მის მთავარ პოემას ასეთი მიძღვნით იწყებს – „ჩემზე უკეთეს ოსტატს, ეზრა პაუნდს“.

იმის თქმა მინდა, რომ ტოტალიტარული ლიტერატურაც კი შეიძლება იყოს მაღალი ხარისხის, ისევე როგორც ანტიტოტალიტარული ლიტერატურა – პროპაგანდისტული და დაბალი მხატვრული ღირებულების. მათ რიგებში იშვიათად ნახავთ პლატონოვისა და ბულგაკოვის მსგავს გენიოსებს. უფრო ხშირად საშუალო დონის ლიტერატურას ვხვდებით, მაგრამ აქაც არსებობს გამონაკლისი. ძალიან მაღალი ხარისხით, მხატვრულობით გამორჩეული ლიტერატურა, ვიტყოდი, ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მიმართული ლიტერატურის მწვერვალია – ოლდოს ჰაქსლის „საოცარი ახალი სამყარო“.

დღეს მსოფლიოში ამ ნაწარმოების პოპულარობა დაცემულია. მაგრამ ვიცი, რომ ეს წიგნი საქართველოში კარგად იყიდება. ჰაქსლიმ ადამიანის შინაგანი სისუსტე, მისი მერყეობა დაიჭირა და ეს ფაქტობრივად გენეტიკურ დონეზე აიყვანა. ჩვენი მარტოობის, უსუსურობის ანალიზით გვაჩვენა, თუ როგორი სახიფათოა ჩვენი გამორჩეული თვისებები, და როგორ იბრძოლებს საზოგადოება, რომ ფრთები მოგვაჭრას პრინციპით – უკიდურესობები არ გვინდა. თუკი განსხვავებულს ვერ შეეგუები, მაგალითად, ისე, როგორც ეს საბჭოთა კავშირში ხდებოდა – როდესაც თუნდაც გრძელ თმებსა



და შლაქსებს ებრძოდნენ, ან როდესაც შარვლის ბოლოსა და შუა ნაწილებს შორის გასათვალისწინებელ დაშორებას ადგენდნენ – რა გასაკვირია, რომ ასეთ ქვეყანას ძალიან გაუჭირდებოდა.

ანტიტოტალიტარული ლიტერატურა, უპირველესად იყო ლიტერატურა და შემდეგ იყო ანტიტოტალიტარული. ამიტომ ყველაფერი, რაც წმინდა იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა – დამარცხდა; ყველაფერი, რაც მხატვრული იყო – გადარჩა. ამიტომაცაა, რომ უამრავი ბრწყინვალე მაგიური რომანი დაიწერა. ევროპულისგან განსხვავებით, გადარჩა სამხრეთ ამერიკული ანტიტოტალიტარული ლიტერატურა, მაგალითად ლიოსას, მარკესის რომანები, განურჩევლად იმისა, პოლიტიკურად მარჯვენაა თუ მარცხენა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში უამრავი ანტიტოტალიტარული ნაწარმოები დაიწერა, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი ნაწარმოები გადარჩა – ალბერ კამიუს „შავი ჭირი“ არ მიება ეპოქას. მასში შეგიძლიათ იგულისხმოთ ფაშიზმიც, ისევე, როგორც ვაჟა ფშაველას „არწივში“– ნებისმიერი რამ. მასში მე შესანიშნავად ვხედავ იმ უკანასკნელ 20 წელიწადს, რომელშიც საქართველო ცხოვრობს, უბრალოდ ვეძებ და ჯერჯერობით ჩვენს რიგებში ვერ ვპოულობ ბერნარ რიეს.

■ ანტიტოტალიტარული ლიტერატურა, უპირველესად იყო ლიტერატურა და შემდეგ იყო ანტიტოტალიტარული. ამიტომ ყველაფერი, რაც წმინდა იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა – დამარცხდა; ყველაფერი, რაც მხატვრული იყო – გადარჩა. ამიტომაცაა, რომ უამრავი ბრწყინვალე მაგიური რომანი დაიწერა. ევროპულისგან განსხვავებით, გადარჩა სამხრეთ ამერიკული ანტიტოტალიტარული ლიტერატურა, მაგალითად ლიოსას, მარკესის რომანები, განურჩევლად იმისა, პოლიტიკურად მარჯვენაა თუ მარცხენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლაუ და გაზეთები

აი, სარვამარტოდ, მაშინ ხომ ასე უნდა მოგველოცა: საბავშვო ბაღში, მასწავლებლის ინსტრუქციით, ხელში ენძელა გვეჭირა და ხელები აუცილებლად ზურგსუკან გვქონდა და რაღაც ლექსს ვამბობდით, თავჩაღუნული, რაც შეიძლება სწრაფად და ლამის ყვირილით. და ლექსის ბოლოს უცებ „დააძრობდი“ ენძელას. ენძელა იყო მშობლების მოძებნილი ჩაის პლანტაციების ნაპირებზე. ენძელას მაგივრად შეიძლებოდა იაც ყოფილიყო, ან ის ყვითელი ყვავილი, ყველა ეზოში რომ მოჰყავდათ. განითლებული გაურკვევლად ჩხუბობდი: „ია-ია მოგიძებნეეეეეე, ლურჯი, კოპწინننცჰჯდდ აჯსჰცდჰდჰბაჰ, მიკოცნიიაა!“



გიორგი კეკელიძე

მე რომ გოგო მიყვარდა, ქრისტინა მირიანაშვილი, იმისთვის თქმა ყოველთვის მრცხვენოდა და სულ სხვა გოგოს ვეუბნებოდი. ახლა არც ის ლექსები მახსოვს და ის ქრისტინაც სადღაც არის. ვერც იმ სხვას, შემთხვევით იანაჩუქებს ვიხსენებ. აღარც გოგოებთან ლაპარაკისას მიმაქვს ხელები უკან. რომც მოვინდომო ველარც ვიზამ – სხვა ხელოვნების საქმეა. ბავშვობის ხელოვნების. არის ჩვევები, რომელიც სამუდამოდ მოგყვება, არის – რაც იქ რჩება. მარტო იქაურობამ იცის. „მოხუცების ადგილი იქ არ არის“.

ერთხელ ბაბუამ მომაკითხა. ჩემი ბაღი მთავრდებოდა. საბჭოთა კავშირიც. ხელში წიგნი ეჭირა. რეზოიას ძვლივს წავართვიო. მე რომ იები მქონდა, შეყვარებული არ მოვიდა და მასწავლებლისთვის მიცემა შემრცხვა, ჯიბეში ჩავიდე და ნაჯიბარი ბაბუაჩემს ვანახე. „ვერვქენივეფერი“, „მაიკიარამომეიაგერამაშიჩავდობსანიშნეთ“, – მითხრა და იქ ჩადო, სადაც ლექსი 25 თებერვალი დაებეჭდათ. კოლაუს ხელნაწერით. ახლა ხელმეორედ გამოეცათ. ბაბუაჩემს უხაროდა – „ხომაინცუტირესყოფაიმტყლიპიანგარბაჩოვს“.

მერე უფრო მეტი გავიგე. და მივხვდი, თუ რამე სიმბოლური საქმე გვჭირდება საქართველოში საბჭოთა კავშირის დასრულების საცნობოდ, ეს 1985 წელს გამოცემული „პოეტის ათასი სტრიქონია“. ამ ამბავს რედაქცია და ტირაჟი შეენირა. რედაქცია – დათხოვნით, ტირაჟი – ამოღებით. მაგრამ ოციანი წლების ცენზურასთან შედარებით, რომელიც რედაქციის „ამოღებასაც“ გულისხმობდა, საკითხი უკვე კომიკურად გამოიყურებოდა. საბჭოთა კავშირი ქართულ წიგნში აქ დამთავრდა. გაბედვის გამოც. და გაბედვაზე პასუხის გამოც. ასე რომ, ეს

დიდი წიგნია. კოლაუ ნადირაძის მნიშვნელოვანი ლექსით, რომელიც თითქოს გაფორმებად გაუშვეს, ხელნაწერად. მაგრამ იცოდნენ, რომ ცენზორს არ გამორჩებოდა. და ისიც – ცენზორი უკვე სცენიდან გადიოდა.

სცენიდან, რომელიც 1921 წელს მოეწყო. ჩვენ შეგვიძლია გაზეთებს დავაკვირდეთ. ოღონდ ამჯერად არალიტერატურულს. ისე ლიტერატურისა და პოლიტიკის გარჩევა ამ დროს ერთმანეთისგან ცოტა რთული საქმე იყო. არც სურვილი ჰქონდა არავის. ლექსი-სტატია. მოთხრობა-რეპორტაჟი.

საბჭოთა პერიოდის პირველი საინტერესო ფენომენი ლიტერატურაში გახლდათ მუშათა გაწვევა მწერლობაში. ფაბრიკა-ქარხნებიდან მოყვანილ ადამიანებს, რომლებიც, იდეურად უფრო სანდონი იქნებოდნენ, მასტერ-კლასებს ცნობილი ავტორები უტარებდნენ. მაგალითად, 1935 წლის გაზეთი კომუნისტი, სტატიაში – ტფილისის ლიტწრეების საქალაქო შეკრება – წერდა:

„8 ივნისს მწერალთა სასახლეში გაიხსნა ტფილისის ლიტერატურული წრეების საქალაქო შეკრება-კონფერენცია. მწერალთა კავშირის მდივნის, ამხ. ბესო ჟღენტის შესავალი სიტყვის შემდეგ საანგარიშო მოხსენებით საქ. მწერალთა კავშირის მასობრივი სექტორიდან ამხ. ვ. წულუკიძე გამოვიდა. ამის შემდეგ შეკრებამ მოისმინა პლეხანოვის კლუბთან არსებული ლიტწრის ხელმძღვანელის, მწერალ იასამნის თანამომხსენებლები. მოხსენებებში გამოირკვა, რომ ამ წრეებში ლიტერატურის სწავლება და მუშაობა კარგად მიდის, განსაკუთრებით აღსანიშნავია პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული ლიტერატურული წრის მუშაობა. გარდა იმისა, რომ წრეში მეცადინეობენ ენაში და სწავლობენ თანამედროვე მწერლობას, მათ განზრახული აქვთ იმუშაონ ფაბრიკა-ქარხნების ისტორიაზე. ამ მხრივ წრეს მეტად სერიოზული მუშობა მოუხდება და მისთვის ეს არც ისე ძნელი საქმე იქნება, რადგან წრეში მუშაობენ ტფილისის რკინიგზის დეპოებისა და სახელოსნოების მუშები და მათი შვილები. შემდეგ კონფერენციამ მოისმინა პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის მოხსენება დამწყებ მწერალთა შემოქმედების და მათთან მუშაობის შესახებ. მან გაარჩია რამდენიმე ახალგაზრდა მწერლის მხატვრული ნიმუში და ხაზგასმით აღნიშნა ცნობილ და გამოცდილ მწერალთა დახმარების აუცილებლობის შესახებ.

გაფრინდაშვილის მოხსენების შემდეგ, საკუთარი ლექსებით გამოვიდნენ სხვადასხვა ლიტწრის წევრები - ქაისტაური და ტალაშვილი (ჰასაკოვანთა ათწლედი), აბიაშვილი და ხეველი (ვოროშილოვის კლუბი), ტაბატაძე, გაგოშიძე და ჯავრეიშვილი (პლეხანოვის კლუბი), რატიშვილი (ნავთლუღის რკინიგზის კლუბი) და ფერაძე (პოლიგრაფ-სკოლა).

განსაკუთრებით საინტერესო იყო მწერლობის მომავალი კადრების გამოსვლა. ეს გამოსვლა ხელმძღვანელ მწერალთა ენერგიული და სწორი მუშაობის ცოცხალ დემონსტრაციად იქცა. მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და აუდიტორიის მქუხარე ტაში დაიმსახურეს პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებულ ლიტწრის წევრებმა ტაბატაძემ და რკინიგზელი მუშის შვილმა, 12 წლის გაგოშიძემ.

მოსმენილ მოხსენებათა და ახალგაზრდა ავტორების ნაწარმოებთა გარშემო გაიმართა ცხოველ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა – ნიკო ლორთქიფანიძემ, ლეო ქიაჩელმა, იოსებ ტატიშვილმა, დუტუ მერგელმა, მწერალმა ქალმა ცქვიტმა, დანარჩენი მწერლების ხელმძღვანელებმა და ტფილისის ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლებმა. კამათში გამოირკვა სხვათა შორის ერთი მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ლიტწრეების მუშაობისა, ესაა პროფორგანიზაციების მიერ მუშათა ლიტწრეების მნიშვნელობის აშკარა შეუფასებლობა. ეს იმით გამოიხატა, რომ არ გაუნაღდებიათ წრეებისთვის გამოყოფილი თანხები. ეს მომენტი განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა თავის შემაჯამებელ სიტყვაში მწერალთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა დემეტრაძემ. შეკრება-კონფერენციამ დ.დემეტრაძის დასკვნითი სიტყვით დაასრულა მუშაობა“.

როგორც აღმოჩნდა, პროფორგანიზები უნებლიეთ, მაგრამ როდი „ცდებოდნენ“, ვერა და ვერ ისწავლეს ამ პატიოსანმა ადამიანებმა ლექსის წერა, ამიტომაც მათგან ახალი ფენომენის მუშკორის (მუშაკორესპოდენტის) ძერწვა დაიწყეს. მათ უკვე გარითმვას იშვიათად ავალებდნენ, მაგრამ წერის სტილი აუცილებლად მხატვრული უნდა ყოფილიყო – პათეტიკური და მეტაფორული, ასე აგიტაციას მეტი ძალა ჰქონდა „იმიტომ რომ იგი მართალია, იმიტომ რომ იგი

ერთხელ ბაბუამ მომაკითხა. ჩემი ბაღი მთავრდებოდა. საბჭოთა კავშირიც. ხელში წიგნი ეჭირა. რეზოიას ძვლივს წავართვიო. მე რომ იები მქონდა, შეყვარებული არ მოვიდა და მასწავლებლისთვის მიცემა შემრცხვა, ჯიბეში ჩავიდე და ნაჯიბარი ბაბუაჩემს ვანახე. „ვერვქენივეფერი“, „მაიკიარამომეიაგერამაშიჩავდობსანიშნეთ“, - მითხრა და იქ ჩადო, სადაც ლექსი 25 თებერვალი დაებეჭდათ. კოლაუს ხელნაწერით. ახლა ხელმეორედ გამოეცათ. და ბაბუაჩემს უხაროდა – „ხომაინცუტირესყოფაიმტყლიპიანგარბაჩოვს“.

ემყარება მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებას"(პრავდა, 1935 წელი).

თუ რა სტილით მოღვაწეობდნენ მუშკორები და რა ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული, ამ ორი ამონარიდიდან ცხადად შეიტყობთ:

„კომუნისტი", 5 მაისი, 1937 წელი
მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი
წერილი სასამართლოს ბლაკატ ყაველაშვილზე

„გასაკვირი ისაა, რომ ეს კაცი ასე დაუსჯელად დადის დღემდე და მას საშულება ეძლევა „იბლაკატოს" საბჭოთა სასამართლოში. ყივის ყაველაშვილი საჯიშეთ შემონახულ მამალივით. ყივის და საკენკსაც ბლომად შოულობს. როდის უნდა დადგეს ამ მამლის „განკითხვის დღე?" ნუთუ ამისთვისაც ყველიერია საჭირო?" -სამნი.

„პირველად მიმიღეს, თბილისის ტრამვაის მეურნეობაში. ეს იყო 12 წლის წინათ. მაშინ წერა-კითხვის მცირედ მცოდნედ ვითვლებოდი, მაგრამ ტრამვაის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზების დახმარებით გავიარე მცირედმცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლა, სადაც საკმაოდ შევისწავლე წერა-კითხვა, ანგარიში, ხაზვა და სხვ... ჩემი საოცნებო გახდა მეთანამშრომლნა გაზეთებში და დამემსახურებინა მუშკორის საპატიო სახელწოდება... დღეს პრავდას დაარსების 25 წლისთავზე მუშკორულ პირობას ვიძლევი, კიდევ უფრო გავამახვილო შეტევითი რევოლუციური სიფხიზლე და მედგრად ვიბრძოლო პარტიის მითითებათა ღირსეული შესრულებისთვის", – სტახანოველი მუშკორი რეზო ცხვედაძე.

■ მუშკორები (და პიკორები) აქტიურად იყვნენ ჩართული ანტირელიგიურ კამპანიაში. ამ კამპანიისას არსებული რელიგიური სისტემების (ქრისტიანობა, ისლამი და სხვა) ჩანაცვლება ახალი რელიგიური პანთეონით ხდებოდა, რომელსაც საკუთარი ღმერთები (მაგ: ლენინი, სტალინი), ნახევარღმერთები (მაგ: ბერია, მოლოტოვი), კერპები (მაგ: ჰიდრო-ჰესი, სილოსი) ჰყავდა.

მუშკორები (და პიკორები) აქტიურად იყვნენ ჩართული ანტირელიგიურ კამპანიაში. ამ კამპანიისას არსებული რელიგიური სისტემების (ქრისტიანობა, ისლამი და სხვა) ჩანაცვლება ახალი რელიგიური პანთეონით ხდებოდა, რომელსაც საკუთარი ღმერთები (მაგ: ლენინი, სტალინი), ნახევარღმერთები (მაგ: ბერია, მოლოტოვი), კერპები (მაგ: ჰიდრო-ჰესი, სილოსი) ჰყავდა. ამ ამბის აღსასრულებლად ასეთი პროცესებიც კი იმართებოდა:

1928 წელი, 13 აპრილი №86
ლენრაიონის კომკავშირელების „სააღდგომო"

უკვე ორი კვირაა, რაც ლენინის რაიონში დაიწყო ანტირელიგიური კამპანია. კომკავშირის უჯრედებში დაისვა მოხსენებები სააღდგომო დღესასწაულის მავნებლობის შესახებ. უჯრედების საერთო კრებებმა ერთხმად გამოიტანეს დადგენილებები აღდგომის დღესასწაულის წინააღმდეგ. იმ მიზნით, რომ ანტი სააღდგომო კამპანიამ ფართო და მასიური ხასიათი მიიღოს, კვირას, 15 აპრილს ა.ლ.კ.კ. ლენრაიკომი აწყობს მასიურ ექსკურსიას ზაჰესის მიდამოებში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 4 ათასამდე კომკავშირელი, მათი მშობელი, ოჯახის წევრები და უპარტიო ახლაგაზრდები. ადგილობრივ მოეწყობა კომკავშირელის გასამართლება, რომელმაც ჯვარი დაიწერა ეკლესიაში. გაიმართება ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრი, ჯირითი, რბენა-წარმოდგენა და სხვ. გარდა ამისა, ექსკურსიის ადგილას გაიხსნება მიტინგი ანტირელიგიურ კამპანიასთან დაკავშირებით.

და ისეთი ლექსები იწერებოდა, სადაც ახალ ღმერთზე მინიშნება უკვე ცხადი ალეგორიის ამოცნობით შეგეძლოთ:

რუბრიკიდან ანტისააღდგომო კამპანია-

დღეს ჩვენ ახალი ზეიმი გავხსნათ,
ახალს რწმენაზე დაყრდნობით მტკიცედ
ცრუმორწუნეთა კვერცხი და პასკაც
და ცრუ აღდგომაც არქივში მივცეთ!
შორს ღრეობა და ნაყროვანება
და მასთან ერთად ცრუ ადათები,
სამაგიერო აღფრთოვანებას
ახალ დევიზით შევუთანხმდებით.
ჩვენს თვალწინ უკვე მარცხდება ძველი
და ასპარეზი რჩება მომავალს,
ჩვენც საზეიმო ავსება გველის,
გამარჯვებულნი კვარცხლებკს რომ ავალთ!
მაშ დღეს ახალი ზეიმი გველის,
ახალს რწმენაზე დაყრდნობით მტკიცედ
ცრუმორწმუნეთა კვერცხი და პასკაც
და ცრუ აღდგომაც არქივში მივცეთ!

ბაბილინა

საინტერესო იყო ღია დავალებების პოლიტიკა, როცა რომელიმე ხელმძღვანელი პირი რამე მოვლენის გამო ტექსტებს შეუკვეთდა ხოლმე. მაგალითად: მოგეხსენებათ, ესპანეთის სამოქალაქო ომში საბჭოთა კავშირი მხარს რესპუბლიკელებს უჭერდა. შესაბამისად, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაც. გაზეთი „კომუნისტი" ყველა მოვლენაზე უფრო აქტიურად აშუქებდა ამ მოვლენას.

მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავჯდომარემ, დ.დემეტრაძემ, საგანგებო მანიფესტში („ახალი მიღწევებისკენ“) მიანიშნა, რომ ვერავინ გამოაქვეყნებდა პოეზიას, თუ ამ თემაზე არ დაწერდნენ. ეს ნაწარმოებები მაშინდელ პერიოდულ პრესაში პირველ გვერდზე იბეჭდებოდა. ასე აყალიბებდა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა ახალი ტიპის ქართველ მწერალს. ამ საქმეში მას არც ტაშისმცემელთა გუნდი და არც "თავგანწირული" თანამზრახველები აკლდა.

სიმბოლურად დავასრულოთ კონსტანტინე მელაძის წერილით „მდგომარეობა ლიტერატურის ფრონტზე“, რომელიც, სხვათა შორის, ახალგაზრდული გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა: „კლასობრივი ბრძოლა გრძელდება თეატრის, კინოს, მხატვრობის, ლიტერატურის, მეცნიერების სფეროში. მომაკვდავი კლასის ნარჩენები ისევ გაბედულად აწარმოებენ ბრძოლას ჩვენ წინააღმდეგ. ისინი თავიანთი კლასის მხატვრული ავტორიტეტები არიან. ამ ნიშნის ქვეშ მუშაობს დღესაც ს.თავაძე, ს.აბაშელი, ვ.რუხაძე და სხვები, რომელთა შემოქმედებაც უიდეო, უდღეური და ისტორიას მიბარებული ქართული მენშევიზმის აგიტაციაა! არც სხვები ისვენებენ – კერძოდ კ.გამსახურდია. იგი კვლავ მზადაა იოცნებოს ფეოდალურ, არისტოკრატულ საქართველოზე, თამარ მეფის სილამაზე-სიმშვენიერეზე. ამ ჯურის კალმოსნებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ მათ წინააღდეგ, როგორც რეაქციონური განწყობილების მწერლებისა, დაუნდობელ ბრძოლას ვაწარმოებთ, ვიდრე არ მოხდება მათი აბსოლუტური ლიკვიდაცია. რა თქმა უნდა, ამ პლეადის ორდენთაგანი, მ.ჯავახიშვილიც არ იქნება მივიწყებული, რომელმაც ბოლო დროს თავი შეაფარა „არსენა მარაბდელი“-ს თემატიურ მასალას, ეს სრულიადაც არ ხსნის ბრძოლის წარმოების აუცილებლობას მის წინააღდეგ... ყოვლად შეუძლებელია თანამგზავრად ვაღიაროთ პაოლო იაშვილი ან ტ.ტაბიძე, რომლებმაც ვითომდა ამ ბოლო ხანებში დაიწყეს თანამგზავრული ლექსების წერა. ეგ შეცდომა იქნება, რადგან მათი ვითომდა თანამგზავრული ტენდენციების გამტარებელი ლექსები არის ნიღაბი, რომლის შიგნითაც მოთავსებულია დეკადენტური და დაცემულობის განწყობილებები...



ჩამოიგლიჯეთ ნიღაბი, გვაჩვენეთ თქვენი ნამდვილი სახე – აი, რას მოვითხოვთ ჩვენ თქვენგან... ჩვენ მოკავშირე თანამგზავრად გვყავს ისეთი მძლავრი მწერალი, როგორიცაა გალ. ტაბიძე. გ.ტაბიძე გულწრფელი მომღერალია სოციალიზმის დღეებისა... აქვე აღსანიშნავია ირ. აბაშიძის მუშაობა, რომელიც კონკრეტულად პასუხობს ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ ამოცანებს... საერთოდ პროლეტარულ მწერალ აბაშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ:

„კლასს ვუმღეროთ, რადგან გაგვზარდა მან,

კლასს ვუმღეროთ, რადგან კლასის შვილი ვართ!“

გაზეთი „ნორჩი ლენინელი“, 1931 წელი

მართალია, მერე საქმე გარბილდა. დიდი ტექსტებიც დაიწერა და ლიტერატურამ საკუთარი ტყავი მოირგო, მაგრამ „პარაოზი“ ლექსები ლენინზე და სხვა მსგავსი ლაქუცი საბჭოთა დროის გარდაუვალი საქმეა. კიდევ უფრო გარდაუვალია დუმილი ტკივილზე. თებერვლის ტკივილზე, რომელმაც დღემდე დაგვაჩნია ბოლშევიზმის ძნელადწასაშლელი კვალი. ამ ტკივილზე ჩუმად სტატიის თავში ნახსენებ წიგნში ამოიჩურჩულეს. ამიტომაც მგონია ეს ამბავი წერტილი.

მართალია, მერე საქმე გარბილდა. დიდი ტექსტებიც დაიწერა და ლიტერატურამ საკუთარი ტყავი მოირგო, მაგრამ „პარაოზი“ ლექსები ლენინზე და სხვა მსგავსი ლაქუცი საბჭოთა დროის გარდაუვალი საქმეა. კიდევ უფრო გარდაუვალია დუმილი ტკივილზე. თებერვლის ტკივილზე, რომელმაც დღემდე დაგვაჩნია ბოლშევიზმის ძნელადწასაშლელი კვალი.

ფოტო: სერგო ავსაჯანოვი

"სიძველედ ყოფნის უფლება"

როგორია ისტორიული ევროპული ქალაქების თავისებურება, როგორ თანაარსებობენ ქალაქში სიძველე და სიახლე? და საბოლოოდ, როგორია ადამიანზე ორიენტირებული ქალაქის კონცეფცია – ამ თემებზე „ლიბერალი" პროფესორ ჰარალდ ბოდენშაცს ესაუბრა. გერმანელი სოციოლოგი და ურბანისტი თბილისში ჩამოსვლის მეორე დღესვე, სწორედ თბილისის ძველი უბნების დათვალიერების შემდეგ შეგვხვდა.

ინტერვიუ პროფესორ ჰარალდ ბოდენშაცთან

ეკა მაღალდაძე

როგორია პირველი შთაბეჭდილება თბილისის არქიტექტურასა და ურბანულ გარემოზე?

ჩემი წარმოდგენები ჯერ მაინც შეზღუდულია, რადგან საკმარისი დრო არ მქონია, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ძალიან შთამბეჭდავი ევროპული, ისტორიული ქალაქი, რომელიც აუცილებლად შესანარჩუნებელია. ვნახე მთავარი ქუჩები, რომლებიც კარგად ფუნქციონირებენ. ვნახე მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის სხვადასხვა პერიოდის ძალიან მნიშვნელოვანი განაშენიანება. როგორც ჩანს, თბილისს სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიის წარმომადგენელთა თანაცხოვრების შესანიშნავი ისტორია აქვს.

რა ურბანული გამოწვევები აქვთ დღეს თბილისის მსგავს ქალაქებს?

ასეთი ქალაქების მთავარი გამოწვევა მომავლის შესაფერისი მობილობის უზრუნველყოფაა. ვგულისხმობ „მომავლისუნარიან ტრანსპორტირებას". ეს პირველ რიგში ფეხით და ველოსიპედით მოსიარულეთა ინტერესების დაცვას ნიშნავს. მათ შორის მთაგორიან ქალაქებშიც, რადგან მათ ყოველდღიურობაში ელექტროველოსიპედები მკვიდრდება.

ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელშეწყობა და მისთვის უპირატესობის მიცემა, ასევე ინდივიდუალური ავტოტრანსპორტისა და, ე.წ. „საზიარო" ტრანსპორტის ხელშეწყობა.

ასევე ნელ-ნელა შემოდის და სამხრეთ ამერიკის გამოცდილებიდან კარგად ჩანს, რომ ისეთ ქალაქებში, რომლებშიც სიმაღლეთა განსხვავება ძალიან დიდია, საბაგირო საგრძნობლად განტვირთავს ქუჩებს. მაგრამ ასევე ძალიან საყურადღებო თემაა – ჩამოყალიბებული ქალაქის შენარჩუნებადი განახლება. ეს განსაკუთებით მნიშვნელოვანია იმ დედაქალაქებისთვის, რომლებიც ქვეყნის სახეს წარმოადგენენ და აუცილებელია, რომ ამ ქალაქების ისტორია შენარჩუნდეს და ვიზუალურადაც არ დაიკარგოს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, ე.წ. სოციალური ქალაქის თემაც. გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებისთვის, ისევე როგორც ბევრი განვითარებული ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანია ისეთი ქალაქის აშენება ან შენარჩუნება, რომელშიც არ იქნება სივრცული სეგრეგაცია და მდიდრები და ღარიბები ერთმანეთისგან განცალკევებით არ იცხოვრებენ.

გამოწვევების შემდეგი საფეხური გარემოს დაცვაა – ქალაქებში ენერგოდაზოგვისკენ და გამონაბოლქვის შემცირებისკენ მიმართული ცხოვრების ხელშეწყობა. ეს ყველაფერი დიდწილად ტრანსპორტის ფუნქციონირებას და არა მხოლოდ მას უკავშირდება.

იმისთვის, რომ ეს ყველაფერი შესრულდეს, საზოგადოებრივი მმართველობაა საჭირო – ქალაქის ფუნქციონირებადი, უნარიანი მმართველობა, რომელსაც ამ პროცესების სწორედ ამ პრინციპებით მართვა შეუძლია. ეს ყველაფერი ჩვენთვის თითქოს თავისთავად ცხადი იყო, რადგან ქალაქების საზოგადოებრივი მმართველობის ძლიერი ტრადიცია გვქონდა, მაგრამ ნეოლიბერალური ხაზის გაძლიერების გამო სამოქმედო არეალი ასეთ სოციალურ მმართველობას ჩვენთანაც შეუმცირდა. ახლა ჩვენი მიზანია ასეთი მმართველობის ისევ ძველ დონეზე აყვანა.

მთავარია, ხაზი გავუსვათ, რომ როდესაც ვსაუბრობთ მდგრადი ქალაქგანვითარების გამოწვევებზე, ვგულისხმობთ განვითარების ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ასპექტებზე.

და ამ ოთხი ასპექტის გათვალისწინებით მოქმედი მმართველობა შეგვიძლია „კარგ მმართველობად" მივიჩნიოთ?

რა თქმა უნდა, ასეთია მდგრადი ქალაქგანვითარების ხელშემწყობი მმართველობა. მაგრამ საზოგადოების ჩართულობის გარეშე არაფერი გამოვა. თუმცა, მეორე მხრივ, ილუზია იქნება იმის ფიქრი, რომ თუ ქალაქის მმართველობამ სპეციალური ინსტრუმენტები არ შეიმუშავა, შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი აქტივობით მივაღწიოთ ასეთ შედეგებს.

როგორი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ინსტიტუციური მექანიზმები და რა ეტაპზე უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში საზოგადოება?

ძალიან რთული საკითხია და ჩემი გამოცდილებით, ყველაზე ქმედითი და ეფექტური ისეთი ჩართულობა აღმოჩნდებოდა ხოლმე, როდესაც ადამიანები თვითორგანიზებით ახერხებენ რაღაცების მოთხოვნას. ქალაქმშენებლობის სხვადასხვა ღონისძიებაზე საუბრისას ინსტიტუციურმა ჩართულობამ შეიძლება ცუდადაც კი იმოქმედოს. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოთხოვნას – მოისმინონ ჩვენი ხმა. სულაც არ ვფიქრობ, რომ ფორმალიზებული, ინსტიტუციური ჩართულობა უმნიშვნელოა, მაგრამ გადამწყვეტი, როგორც ვთქვი, საკუთარ ინიციატივაზე დაფუძნებული ჩართულობაა.

ზოგადი პასუხის გაცემა კი შეუძლებელია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოების ჩართულობა სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება აუცილებელი იყოს. ქალაქის მმართველობა ვალდებულია შეიმუშაოს საკითხის თუ პრობლემის გადა-

როდესაც ვხედავთ, რომ განვითარების შედეგად ძველი შენობაც შეიძლება ისეთივე კომფორტული და თანამედროვე ცხოვრებისთვის შესაბამისი იყოს, როგორც ახალი, ეს სულ სხვა ატმოსფეროს ქმნის ქალაქების მდგრადი განახლებისთვის.

წყვეტის სხვადასხვა ვარიანტი და შემდეგ ჰკითხოს ხალხს, რას ფიქრობენ და რომელს აირჩევდნენ ამ ალტერნატივებიდან. ყველა კერძო ინიციატივის ოფიციალური და საჯარო განხილვა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

რას პასუხობთ მათ, ვინც ფიქრობს, რომ კულტურული მემკვიდრეობის, სიძველეების კონსერვაცია ეკონომიკურ განვითარებას ეწინააღმდეგება?

როდესაც ეკონომიკაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა დავაკონკრეტოთ, არის თუ არა საუბარი კერძო მეურნეობაზე. ძალიან ხშირად ის, რაც კერძო პირისთვის მომგებიანია, მთელი გარემოსთვის წამგებიანი და დამღუპველიც კია. ამიტომ კერძო პირის ეკონომიკური საქმიანობა საზოგადოების მხრიდან სწორი პოლიტიკისა და მარეგულირებელი ნორმების საშუალებით უნდა იმართებოდეს.

თუკი სამშენებლო კოდექსი ნებას იძლევა, რომ არსებული განაშენიანების მოცულობა ორჯერ გავზარდოთ, ეს, რა თქმა უნდა, მიმზიდველია კერძო ინვესტორებისთვის, მაგრამ ფასეულობების შენარჩუნებისა და სახალხო მეურნეობისთვის, შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. თუკი ქალაქგეგმარების ნორმები უშვებს განაშენიანების ძალიან მაღალ კოეფიციენტებს. ეს პირდაპირ უწყობს ხელს ერთ საკადასტრო ერთეულზე დიდი მოგების ნახვას, და ამავე დროს დამანგრეველ ზეგავლენას მთელი დანარჩენი ქალაქის ცხოვრებაზე.

გერმანიაში არქიტექტორების ჰონორარი მშენებლობის ფასის მიხედვით გამოითვლება. შესაბამისად, არქიტექტორი დაინტერესებულია, რომ მშენებლობა რაც შეიძლება მეტი დაჯდეს. გვქონია მაგალითები, როდესაც კონკრეტული შენობების ფუნქციის შეცვლისას მას მთლიანად ანგრევენ და სულაც არ ცდილობენ არსებული კედლების ფარგლებში შეიტანონ ცვლილებები. ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, როგორ არასწორად შეიძლება იმართოს პროცესები.

რამდენად სწორი მიდგომა აქვთ თანამედროვე ქალაქებში სიძველეების მიმართ?

ეკონომიკურ საკითხებზე მეტად მნიშვნელოვანი მართლაც საზოგადოების ცნობიერების საკითხია. მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით ჩვენთან ყველაფერი ძველი ცუდთან და არაჯანმრთელთან ასოცირდებოდა. მაგრამ შემდეგ სიძველესთან დამოკიდებულება შეიცვალა და შესაძლებელი გახდა, ე.წ. შენარჩუნებადი განახლების დაწყება. ეს ნიშნავს ქალაქის ისეთ განახლებას, რომელიც შენარჩუნებას ეყრდნობა. ამ მდგომარეობამდე მარტივად არ მივსულვართ. ახლა კი უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოებას ძველი ურჩევნია ახალს. და შემდეგი კითხვაა, რა არის ეკონომიკურად მომგებიანი. როცა საზოგადოებას სიძველის შენარჩუნებადი განახლება ურჩევნია, შემდეგ წყვეტს, როგორ მიიღოს ის სარგებელი, რაც უნდა. როდესაც ვხედავთ, რომ განვითარების შედეგად ძველი შენობაც შეიძლება ისეთივე კომფორტული და თანამედროვე ცხოვრებისთვის შესაბამისი იყოს, როგორც ახალი, ეს სულ სხვა ატმოსფეროს ქმნის ქალაქების მდგრადი განახლებისთვის.

შეფასება რომ გამოვრიცხოთ და არ ვისაუბროთ გემოვნებაზე, სად გადის ობიექტური ზღვარი სიძველისა და სიახლის სუბიექტურ აღქმას შორის? შესაძლებელია თუ არა იმის განსაზღვრა, როგორია ისეთი სიახლე, რომელიც არ არღვევს ძველი უბნების ჰარმონიას?

ცხადია, რომ რადგან გვაქვს ძველი ნაგებობა, მას აქვს არსებობის უფლება. ჩვენი მთავარი ფასეულობა სწორედ ისაა, რომ ეს ძველი დგას და გვინდა, რომ იდგეს. ყოველთვის შეიძლება მის გვერდით ახალი გაჩნდეს, მაგრამ ყოველთვის, როდესაც ეს ახალი ჩნდება, სწორედ მან უნდა დაასაბუთოს, რომ იქ ყოფნის უფლება მასაც აქვს და არა პირიქით. ძველმა კი არ უნდა დაიცვას თავი და ამტკიცოს, რომ იქ მისი ადგილია. ეს თავისთავად ცხადია, ის დგას და მხოლოდ ამითაც აქვს უფლება, რომ გააგრძელოს დგომა. ახლის შემოტანა უნდა იყოს გონივრული და დასაბუთებული. მან უნდა დაამტკიცოს, რომ აზრიანია ქალაქისთვის, საზოგადოებისთვის და ქვეყნისთვის და აქვს ძველთან თანაარსებობის უფლება.

ყველა იმ ადგილას, სადაც ახალი ნაგებობა უნდა გაჩნდეს, ის მოვალეა მოერგოს ძველს, ჩაეწეროს კონტექსტში. მას არ აქვს უფლება გააფუჭოს და დამანგრევლად იმოქმედოს ძველზე.

ძველმა კი არ უნდა დაიცვას თავი და ამტკიცოს, რომ იქ მისი ადგილია. ეს თავისთავად ცხადია, ის დგას და მხოლოდ ამითაც აქვს უფლება, რომ გააგრძელოს დგომა. ახლის შემოტანა უნდა იყოს გონივრული და დასაბუთებული. მან უნდა დაამტკიცოს, რომ აზრიანია ქალაქისთვის, საზოგადოებისთვის და ქვეყნისთვის და აქვს ძველთან თანაარსებობის უფლება.

ამ პრინციპებზე ყველა ხმამაღლა საუბრობს, მაგრამ ცხადია გვაქვს მაგალითები, რომ ყველაფერი ასე არ ხდება, თუმცა ამით პრინციპების ჭეშმარიტება არ იცვლება.

რა როლი აქვს გამწვანებულ ტერიტორიებს განვითარებული ურბანული ქალაქების მცხოვრებთათვის?

დიდი ქალაქებისთვის ყოველთვის ძალიან აქტუალური იყო მწვანე ტერიტორიების არსებობა და ამ კითხვამ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა ბოლო წლებში, რადგან ეს საკუთრივ ქალაქური მოვლენაა. ჩვენ გვაინტერესებს რამდენად ბევრია გამწვანებული ტერიტორია და რამდენად კარგადაა ისინი მოწყობილი.

თანამედროვე ქალაქები დღეს სწორედ იმდენად არიან მიმზიდველნი, რამდენად მიმზიდველი მწვანე სივრცეებიც აქვთ. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის ხარისხი სწორედ ამით განისაზღვრება.

ბოლო წლებში ბერლინში ახალი პარკებიც დავაარსეთ, რომლებიც ხალხს ძალიან უყვარს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ასეთი პარკები იყოს კარგად დაგეგმილი და გაფორმებული. აუცილებელია ლანდშაფტის არქიტექტორების და დიზაინერების მუშაობა. ეს არაა მხოლოდ ტექნიკური საკითხი, ისინი სასიამოვნო უნდა იყოს კულტურული თვალსაზრისითაც.

60-იან წლებში, როდესაც სუბურბანიზაციის პროცესი აქტიური გახდა, ოჯახები ქალაქგარეთ დასახლდნენ, მაგრამ შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკით მდგომარეობა შეიცვალა. ამიტომ სწორედ დიდ ქალაქებში პარკების არსებობასა და კეთილმოწყობას არსებითი მნიშვნელობა მიენიჭა არამარტო ბავშვებიანი ოჯახებისთვის, არამედ ხანდაზმულებისა და მარტოხელა ადამიანებისთვისაც. კონკრეტულ უბანში მცხოვრებ ადამიანებს ახლოს უნდა ჰქონდეთ საქალაქო პარკი, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს ქალაქის ხარისხს. ადამიანს არ უნდა სჭირდებოდეს სუფთა ჰაერისა და დასვენებისთვის 5 კილომეტრის მოშორებით წასვლა.

50-იან წლებში ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთი მახასიათებელი სწორედ ის იყო, რომ შენობებს შორის დიდი დაშორებები სიმწვანით იყო შევსებული, თუმცა ეს არ აღმოჩნდა გამართლებული. გაცილებით სწორია, როდესაც არსებობს კომპაქტური კვარტლები, რომელთა სიახლოვესაც კარგი პარკია.

ქალაქებში დასახლების სიმჭიდროვეც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგ შემთხვევაში ეს დამანგრეველია, როგორიცაა მაგალითად, მაიამი ბიჩის ახლო-ახლოს აშენებული მაღალი ნაგებობები. არაფერი ვიცი უფრო არაქალაქური, ვიდრე ეს ადგილებია. მაგრამ არსებობს სხვაგვარი სიტუაციაც. მაგალითად, ბერლინში არის მე-19 საუკუნის 70-იანი წლების განაშენიანების, საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული უბნები, რომლებიც თავისებურ ქალაქურ ატმოსფეროსაც კი ქმნის და ყველაზე მიმზიდველი დასახლებაა. ასეთი ადგილების „გასაწონასწორებლად“ კი მათ სიახლოვეს სწორედ კარგი, დიდი პარკების გაშენება და მოწყობაა აუცილებელი.

როგორია ადამიანზე მორგებული ქალაქი? ურბანული სივრცე, რომელში ცხოვრებაც სასიამოვნო და კომფორტულია?

ასეთი ქალაქი არა მარტო დღევანდელ, არამედ „მომავლის ადამიანზეც“ უნდა იყოს ორიენტირებული.

ადამიანზე ორიენტირებულია ქალაქი, რომელიც საზოგადოებრივი სივრცეებით მდიდარია – ქუჩები, მოედნები, მწვანე ადგილები, სადაც ადამიანებს შეუძლიათ ძალადობის გარეშე, ერთმანეთის პატივისცემით, თანასწორად ერთმანეთთან ურთიერთობა; სადაც აქვთ შესაძლებლობა – არა მხოლოდ გამოიყენონ ასეთი სივრცეები, არამედ გაიხარონ იქ ყოფნით. აი ასეთია ნამდვილი ქალაქი. საცხოვრებელი ადგილი ყველგან არსებობს, მაგრამ ის, რითიც ჩვენი, ევროპული ქალაქის კულტურაა გამორჩეული და მნიშვნელოვანი, სწორედ საზოგადოებრივი სივრცეებია. კარგი საზოგადოებრივი სივრცეების სისტემა კარგ ქალაქს ნიშნავს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომავალ თაობებს დავუტოვოთ და გადავცეთ ის ისტორია, რომელიც ჩვენ გვერგო, და ის ქალაქური სივრცეები, რომლებიც ამ ისტორიას „ატარებენ“, რომ მათაც განიცადონ ის ისტორია, რომელშიც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ.

საცხოვრებელი ადგილი ყველგან არსებობს, მაგრამ ის, რითიც ჩვენი, ევროპული ქალაქის კულტურაა გამორჩეული და მნიშვნელოვანი, სწორედ საზოგადოებრივი სივრცეებია. კარგი საზოგადოებრივი სივრცეების სისტემა კარგ ქალაქს ნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონსტრები ქალაქში

უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ერთ-ერთ ქართულ საიტზე გამოჩნდა ნაგებობა, რომელიც მცირე განსხვავებებით ანდრეა პალადიოს ცნობილი რენესანსული შედევრის – ვილა როტონდას – გამეორებაა. რა თქმა უნდა, ეს ექსცენტრული პროექტი არანაკლებ ექსცენტრული დამკვეთის უცნაური ამბიციების გამოხატულებაა და რადგან კერძო საკუთრებას წარმოადგენს ასეთივე ტერიტორიაზე, ვერაფერში შევედავებით.

ხათუნა ხაბულიანი

თუმცა, ეს ფაქტი შეიძლება იმ მასალაში გავითვალისწინოთ, რაც პოსტსაბჭოთა პერიოდის არქიტექტურის პროცესების ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და კულტუროლოგიური კვლევებისთვის იქნება საინტერესო. პრივატულისა და საზოგადოებრივის ურთიერთობა თავისი რთული ნიუანსებითა და პრობლემებით სხვა მასშტაბის არქიტექტურულ პროექტებსაც შეეხო, რომლებიც არ ეკუთვნიან პრივატულ სივრცეს, პირიქით, საჯარო სივრცეში განხორციელდნენ და ზოგჯერ ასევე კონკრეტული პერსონების უცნაურ ამბიციებს წარმოადგენენ.

„ლიბერალისთვის" მიცემულ ინტერვიუში არქიტექტურის ისტორიკოსმა მაია მანიამ თბილისის ამჟამად უკვე დარღვეული ორიგინალური, ისტორიული სახე აღწერა, როგორც ქალაქისა, რომელიც „უნიკალური სივრცითი სტრუქტურის მქონეა და მისი რელიეფი ძველი ქალაქის განაშენიანებასთან ერთად ერთიან მხატვრულ მთლიანობას ქმნის. XIX საუკუნეში მას დაემატა ეზოების სისტემა, რამაც ის კიდევ უფრო უნიკალურ მოვლენად აქცია, რომლის მთლიანი ფასეულობის მნიშვნელოვან ნაწილს დანამდვილებით რელიეფი შეადგენს".

ამ მოცემულობასთან შეუთავსებელმა პროექტებმა შექმნა ის პრობლემური სურათი, რაც დღეისთვის მსჯელობის საგანია და ისეთ დახასიათებებში განისაზღვრება, როგორიცაა „ქალაქის ავთენტურობის დაკარგვა", „კულტურული კატასტროფა", „ისტორიის დამახინჯება", „მონსტრი შენობები"... ეს უკანასკნელი მეტაფორა ყველაზე მძაფრად და ესქატოლოგიური ჟღერადობით გამოხატავს კრიტიკულ მიდგომებს და გვაიძულებს კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ თემაზე, რა აქცევს შენობებს მონსტრებად.

ზემოთ სრულიად პარადოქსულ კონტექსტში იყო ნახსენები პალადიო და შეიძლება მონსტრი შენობების თემაზე საუბრისას ასევე პარადოქსულად გამოიყურებოდეს პალადიოსა და აღორძინების ხანის სხვა არქიტექტორების მიერ დაფასებული და აღიარებული ანტიკური ეპოქის რომაელის – ვიტრუვიუსის – მოსაზრებების გახსენება. ვიტრუვიუსი ამბობდა, რომ „არქიტექტორი უნდა იყოს განათლებული ადამიანი, კარგი მხატვარი, იცოდეს გეომეტრია, ყოველმხრივ კარგად იცნობდეს ისტორიას და ყურადღებით უსმენდეს ფილოსოფოსებს". ეს მოთხოვნები სრულიად ბუნებრივად გამოიყურებოდა ანტიკურ პერიოდსა და აღორძინების ეპოქაშიც და, პირველ რიგში, არქიტექტორის პასუხისმგებლობასა და მისი აზროვნების მასშტაბებს გულისხმობდა. ეს დღეისთვის დიდ იშვიათობად შეიძლება ჩავთვალოთ და პოსტსაბჭოთა რეალობის პირობებში მის სრულ იგნორირებაზეც ვისაუბროთ.

თუ თბილისის თემას დავუბრუნდებით, აქ ბოლო ათწლეულმა სრულიად ახალი არქიტექტურული კონფიგურაცია გამოავლინა და ბევრი შეკითხვაც გააჩინა, რომელიც შეიძლება ხელისუფლების კრიტიკის ფარგლებს მიღმაც გავიდეს და აბსტრაგირებულ კითხვებად იქცეს: საით მივდივართ? რას გამოხატავს ეს პროცესი? რას მივიღებთ ბოლოს?

არც ისე რთული ასახსნელია, რის გამო ვიღებთ, ე.წ. მონსტრ შენობებს. პირველ რიგში, ეს არის სწორედ კონტექსტის იგნორირება, იქნება ეს კულტურულ-ისტორიულ-სოციალური, თუ გეოგრაფიულ-ლანდშაფტური.

ისტორიული თბილისის ავთენტური არქიტექტურის სახე, რომელზეც მაია მანია საუბრობდა და რომელმაც ქალაქი საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ორგანულ სტრუქტურად განსაზღვრა, გათვალისწინებული იყო მისი ევროპული ნაწილის მშენებლობისას, რომლებსაც ძირითადად უცხოელი არქიტექტორები აპროექტებდნენ და რომელთა მშენებლობა ნაწილობრივ სოციალისტურ პერიოდშიც მიმდინარეობდა.

ერთ-ერთი პირველი ნაგებობა, რომელიც თავის დროზე თბილისის ცენტრალურ-ისტორიულ ნაწილში კონტექსტიდან ამოვარდნილად შეფასდა და საბჭოთა რეჟიმის პირობებში არაოფიციალური მითქმა-მოთქმის საგანი გახდა, იყო ყოფილი ცეკას შენობა (1979 წ. არქიტექტორები: ვ. აბრამიშვილი, ლ. ჯანდიერი, გ. მირიანაშვილი) – დღევანდელი კანცელარია. ძირითად არგუმენტად სახელდებოდა ნაგებობის აგრესიული ვერტიკალი, რომელიც კონტრასტულად არღვევდა ისტორიული ნაწილის ტერასულად განლაგებული ზომიერი სიმაღლის შენობებით განსაზღვრულ გარემოს. შეიძლება ითქვას, რომ მკაფიო განაცხადით ქალაქის ცენტრის ორიგინალური მასშტაბის შეცვლა ამ მომენტიდან დაიწყო. პოსტსაბჭოთა პერიოდში მასშტაბის ცვლილება უფრო ინტენსიური დინამიკით გაგრძელდა. თავისუფლების მოედნის ზომიერ დაგეგმარებას თუ საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური სიმბოლო – ლენინის მონუმენტი არღვევდა, არანაკლებ შეუსაბამო პროპორციებისა გამოდგა ახალი ისტორიის ასევე იდეოლოგიური ნიშანი – მონუმენტური სვეტი წმინდა გიორგის ქანდაკებით და იქვე აგებული ქორთიარდ მერიოტის შენობა, რომელიც მოუხეშავად გამოჩნდა მიმდებარე ისტორიული შენობების ანსამბლთან მიმართებაში.

■ თავისუფლების მოედნის ზომიერ დაგეგმარებას თუ საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური სიმბოლო – ლენინის მონუმენტი არღვევდა, არანაკლებ შეუსაბამო პროპორციებისა გამოდგა ახალი ისტორიის ასევე იდეოლოგიური ნიშანი – მონუმენტური სვეტი წმინდა გიორგის ქანდაკებით და იქვე აგებული ქორთიარდ მერიოტის შენობა, რომელიც მოუხეშავად გამოჩნდა მიმდებარე ისტორიული შენობების ანსამბლთან მიმართებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხარო ფაქტად რჩება ასევე ის ტენდენციაც, რომ არც ოფიციოზი და არც ბიზნესმენი ინვესტორები ღრმად არ ინტერესდებიან არქიტექტურული იდეებითა და ურბანული პროცესების პრობლემებით. ხშირად მათთვის პროექტში სახელის მქონე ავტორიტეტული არქიტექტორის თუნდაც ფორმალური ჩართვა ან მოდერნიზაციის ნიშნად მხოლოდ შუშის ნაგებობების მხარდაჭერაც კი საკმარისია.

მომდევნო წლების ყველაზე ხმაურიანი პროექტების რიცხვში მშვიდობის ხიდი და რიყეს დაგეგმარება აღმოჩნდა. დიზაინერ მიკელე დე ლუკის ხიდების დაგეგმარების გამოცდილება არ ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს მისი დებიუტი იყო თბილისის ცენტრში. თავისთავად ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ხიდი ძალიან კარგი იდეა იყო და, სავარაუდოდ, ავტორი ინსპირირებული იყო ცნობილი ინჟინერ-არქიტექტორის სანტიაგო კალატრავას აღიარებული ნამუშევრებით. იდეა, რომ ხიდი მსუბუქი, გამჭვირვალე უნდა ყოფილიყო, ასევე რაციონალური გადაწყვეტილება იყო, რადგან არსებული ლანდშაფტის ფონი ითხოვდა ისეთ კონსტრუქციას, რომელიც ეფემერული ხასიათით, უპრობლემოდ შეერწყმებოდა გარემოს. თუმცა ეს ასე არ მოხდა. ავტორისთვის, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი ხიდის სიმბოლური დიზაინი იყო და უკანა პლანზე გადადიოდა კონსტრუქციულ-საინჟინრო მხარე. გამოყენებული მასალა, რომელსაც „აჟურული" დიზაინი უნდა შეექმნა, საკმაოდ უხეში და მძიმეა, დღის სინათლეზე ხიდის სილუეტი მთების სილუეტებთან შეუსაბამოა. ღამით კი ხელოვნური განათება მას ბევრად უკეთესს ხდის და საკმაოდ ეფექტურად გამოიყურება. ზოგადად დიზაინი, რომლის მთავარ ბაზას განათება წარმოადგენს, გასართობი ინდუსტრიული ცენტრებისთვის, ე.წ. ღამის ქალაქებისთვის არის სახასიათო. ის ანსამბლი, რომელსაც რიყის მიმდებარე ტერიტორიის ახალი შენობები ქმნიან გასართობი ბიზნესის სიმბოლოებით, იქნება ეს „შანგრილა" თუ მასიმილიონო ფუქსასის მიერ დაპროექტებული საკონცერტო დარბაზი, სწორედ ამ ტიპს მიეკუთვნება.

ეს ნაგებობები სხვა, ნეიტრალურ სივრცეში, რომელიც არ იქნებოდა დატვირთული ისტორიული შრეებითა და მრავალფეროვანი კულტურული ინფორმაციით, ბევრად უფრო ადეკვატურად გამოჩნდებოდა და ფუნქციური გამართლებაც შესაბამისი ექნებოდა. ამ შემთხვევაში შენობებს ზუსტად არაადეკვატურმა კონტექსტმა განუსაზღვრა ის ხასიათი, რომელიც მათ შეიძინეს. საჯარო სივრცეში განხორციელებულმა შენობებმა, რომელთაც ახალი ისტორია უნდა ეჩვენებინათ, ამ მხრივ მარცხი განიცადეს: ისინი ისტორიის გამანადგურებლად და მთლიანი ქსოვილის აგრესიულ დამრღვევებად გამოჩნდნენ. თავდაპირველი განაცხადი, რომ რიყეზე პარკი გაშენდებოდა, სასიხარულო იყო ქალაქის მაცხოვრებლებისთვის. ქალაქის ცენტრში, სადაც მწვანე ნაწილი საერთოდ დეფიციტურია, ნამდვილად კარგი ინიციატივა იქნებოდა „მწვანე კუნძულის" განვითარება. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და „პარკი" პირობით სახელად დარჩა.

სამწუხარო ფაქტად რჩება ასევე ის ტენდენციაც, რომ არც ოფიციოზი და არც ბიზნესმენი ინვესტორები ღრმად არ ინტერესდებიან არქიტექტურული იდეებითა და ურბანული პროცესების პრობლემებით. ხშირად მათთვის პროექტში სახელის მქონე ავტორიტეტული არქიტექტორის თუნდაც ფორმალური ჩართვა ან მოდერნიზაციის ნიშნად მხოლოდ შუშის ნაგებობების მხარდაჭერაც კი საკმარისია.

ამ ფონზე აღმოცენებული ფაქტებიდან ერთ-ერთი ყველაზე კურიოზული მინგ პეის შუშის პირამიდის „რეპლიკაა", რომელსაც ისანი-სამგორის სამმართველოს მეორე განყოფილების ოფისის ფუნქცია აკისრია. აღიარებული არქიტექტურული ნიმუშის დიზაინის მექანიკური გამეორება სრულიად არაადეკვატური ფუნქციით ამ მოვლენას პაროდიის სახეს აძლევს, თუ არ ჩავთვლით „ცუდი ტონის" თემას.

ოფიციალური შენობების გარდა, გარემოში აგრესიული ინტერვენციის გამოხატულებას ქმნიან საცხოვრებელი კომპლექსების საეჭვო ისტორიები, რომლის მაგალითად ვაკის პარკის ტერიტორიაზე მოსაშვილის ქუჩის მხრიდან შეჭრილი მაღლივი შენობა ან 9 აპრილის პარკის უკან აგებული ხმაურიან სკანდალებთან დაკავშირებული სახლი შეიძლება ჩაითვალოს. ასევე „ძალადობრივი" ხასიათით გამოირჩევა თბილისის ცენტრალურ უბნებში ბოლო წლებში ინტენსიურად მიმდინარე მშენებლობები, სადაც არ არის შეთანხმებული პროგრამა, რომლის გათვალისწინებითაც ქალაქის სახეცვლილება უნდა ხდებოდეს, და ოფიციოზიცა და ბიზნესმენი ინვესტორებიც სრულ თვითნებობას გამოხატავენ, თითქოს საერთოდ არ ხედავდნენ ისტორიულსა და კულტურულ მოცემულობას.

დღევანდელი თბილისის ურბანული პროცესის მეტაფორულ განსაზღვრებად ყველაზე მეტად ალბათ „ქაოსი" გამოდგება, ხოლო მის მთავარ მიზეზად სამოქალაქო პასუხისმგებლობის არარსებობა ჩანს.

ამ მიზეზით არის განპირობებული მომდევნო „ტექნიკური" პრობლემებიც, როგორიცაა კონტექსტის გაუთვალისწინებლობა და ლანდშაფტის მიმართ ვანდალური დამოკიდებულება.

ქალაქში არაერთი ნაგებობაა, რომელიც საკმაოდ ძვირადღირებული და არქიტექტურულად საინტერესოა, თუმცა არასწორი და შეუსაბამო მდებარეობის გამო მონსტრად იქცა.

პირველი რიგი, მარცხნიდან მარჯვენა: ორახელაშვილი, მოგილევსკი, კიროვი, მიასნიკოვი

"იუნკერსის 13-ის" შეწყვეტილი ხეისი

ლეგენდის თანახმად, როდესაც ავიაკონსტრუქტორმა ჰუგო იუნკერსმა კომისიას მთლიანად ლითონისაგან შექმნილი აეროპლანის პროექტი წარუდგინა, ერთ-ერთმა წევრმა ირონიულად ჰკითხა: „კი მაგრამ რაიმე მაინც იქნება თქვენს თვითმფრინავში ისეთი, რაც იწვის?" „რა თქმა უნდა – ბენზინი!" – ღიმილით მიუგო იუნკერსმა.

1925 წლის 22 მარტს მსოფლიოში პირველი სრულად მეტალის კონსტრუქციის სამოქალაქო თვითმფრინავის JUNKERS F 13-ის ბენზინის ავზების აფეთქების ხმამ თბილისს გადაუარა და მთელი საბჭოეთი შეაშფოთა. დიდუბის იპოდრომთან მზიანი დილით სამი „ძვირფასი ამხანაგის" სიცოცხლე და რეისი თბილისი-სოხუმი შეწყდა.

23 მარტს სოხუმში აფხაზეთის საბჭოების ყრილობა უნდა ჩატარებულიყო. საპატიო სტუმრებმა თბილისიდან – სერგო ორჯონიკიძემ, სოლომონ მოგილევსკიმ, ალექსანდრე მიასნიკოვმა და გიორგი ათარბეგოვმა სრული ეფექტისა და სხვა წვრილმანი მიზეზების გამო მგზავრობა „ზაკავიას" ახლადამოქმედებული რეისით გადაწყვიტეს.



ირაკლი ხვადაგიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ 1925 წლის 22 მარტს მსოფლიოში პირველი სრულად მეტალის კონსტრუქციის სამოქალაქო თვითმფრინავის JUNKERS F 13-ის ბენზინის ავზების აფეთქების ხმამ თბილისს გადაუარა და მთელი საბჭოთა შეაშფოთა. დიდუბის იპოდრომთან მზიანი დილით სამი „ძვირფასი ამხანაგის“ სიცოცხლე და რეისი თბილისი-სოხუმი შეწყდა.

ნვრილმანი მიზეზები კი, რამაც ჯგუფის სოხუმში გამგზავრება დაგვიანა, ბევრი იყო - საგაზაფხულო წყალდიდობების გამო დაზიანებული რკინიგზის ხაზი დასავლეთ საქართველოში, თბილისში ჩაბარებული საკავშირო ცენტრალური აღმასკომის სესიის სარეგანზაციო საკითხების კუდები, „პოლონეთი ფაშისტების“ მიერ დაპატიმრებული კომუნისტი დეპუტატის სტანისლავ ლანცუცკის გათავისუფლების მოთხოვნით მმრომელთა დემონსტრაციების ორგანიზება და ა.შ. ყველაფერი კი 20 მარტს მოულოდნელმა ტრაგიკულმა ცნობამ დაადგირგვინა – მოსკოვში მოულოდნელად გარდაიცვალა საკავშირო ცაკის თავმჯდომარე, „აღმოსავლეთის განმანათლებელი“ ნარიმან ნარიმანოვი და მის მმობლიურ ქალაქ თბილისს 22 მარტს 12 საათზე სამგლოვიარო დემონსტრაცია სათანადო პატივით უნდა რაეტარებინა.

სრული ეფექტი კი საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის პირად მაგალითს უნდა მოეხდინა „ზეცის დაყურობის“ საყოველთაო კამპანიის ფარგლებში. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირს სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის მმენებლობის გამაფიებული პრობაგანდა ჰქონდა გაჩაღებული მიყოლებულ სოფლებშიც კი მიტინგებს მართავდნენ და „თავდაცვა ავიაქიმი“ ანეერეფდნენ მასებს. ყველგან იქმნებოდა „საჰაერო ფლოტის მეგობრთა საზოგადოებები“, რომლებიც რიგითი მოქალაქეებისგან თუ სახელმწიფო დაწესებულებებისა და სანარმოების კოლექტივებისგან ახალი თვითმფრინავების შესაძენად და სამშენებლო სამუშაოებისთვის ფულს კრებდნენ. 1922 წლიდან სსრკ-მა ხელშეკრულება გააფორმა გერმანულ ფირმა „ოუნკერს ლუფტფეკერეთან“ და ერთობლიკი ნარმოება აანყო. მსოფლიო ომში დამარცხებული და სანქციებით შებოჭილი გერმანული მხარისთვის ეს სხვის ტერრტორიაზე ტექნოლოგიების განვითარების კარგი შანსი იყო. საბჭოთა კავშირი კი მზა, თანამედროვე აეროპლანების დიდი პარტიის შესყიდვა-დამშადებით ავიაციაში მსოფლიო ლიდერებს ნამოწინა. გამოცდილი გერმანელი პილოტების მეწვეულობა სამოქალაქო ავიაციის მფრინავთა ახალი თაობების აღზრდას უფრო აადვილებდა. ფარდის მიღმა კი ორივე მხარე სამხედრო ავიაციის ინდუსტრიას ავითარებდა.

სამოქალაქო ავიაციის სამი ვეშაპი კი რუსული „დობროლიოტი“, უკრაინული „უკრეზფლოტაუი“ და კიკკასიური „ზაკავია“ გახდნენ, რომლებმაც წარმატებით დაინყეს JUNKERS F 13-ის მოდელის აეროპლანებით საფოსტო გადაზიდვებისა და სამოქალაქო რეისების განხორციელება.

ამასობაში ზოგიერთმა გაბედულმა პოლიტიკურმა ლიდერმა რკინის ფრთების თთამმექანდამა საკუთარ ქარიზმასაც შეუფრთა. 1924 წლის ზაფხულში ანსატას მიქოიანმა საჰაერო ტურნე – სტავროპოლიდან ესენტუკამდე ეტაპობრივი გადაფრენა მოანყო. ყოველ დასახლებულ პუნქტში დაშეებისას აეროპლანის გამოჩენით გაბარებული ხალხი იკრიბებოდა და მიქოიანიც სახელდახელო მიტინგს მართავდა ხოლმე. „მფრინავი მიტინგის“ ამ ახალი ტექნიკის ათვისება ბუხარინმაც დაამარა, მაგრამ ცნობამ კომპარტიის ვენმდივან სტალინთან მიაღნია, რომელმაც სპეციალური განკარგულებით ბუხარინს და მიქოიანს აეროპლანით მგზავრობა აუკრძალა. გენმდივნის სიფრთხილე და სიმკაცრე არც იყო გასაკვირი. ავიაციის მიღნეულებით ტკბობა ჯერ კიდევ მაგარი გულის პატრონთა პრივილეგია იყო, ვინაიდან ცნობები საჰაერო კატასტროფების შესახებ არც თუ იშვიათად ჩნდებოდა პრესის ფურცლებზე.

22 მარტს, დილის თორმეტის ნახევარზე, ნათლულის აეროდრომზე სამი მგზავრი – მიისნიკოვი, ათარბეგოვი და მოგილევსკი უკვე ჩასხდომას ელოდებოდნენ და დრო ოხუნჯობაში გაპვედათ. ერთ კვირაში უკვე ამიერკავკასიის საჰაერო საზოგადოება „ზაკავიას“ ოუბლე – დაარსებიდან 3 წლის ზემი უნდა ჩაბარებულიყო. საბჭოთა ამიერკავკასიის ლიდერებს საამაყო ნამდვილად ჰქონდათ – პირველი სამოქალაქო რეისი საბჭოთის მსაზებათი 1923 წლის 10 მაისს სწორედ „ზაკავიამ“ შეასრულა – თბილისი-მანგლისი, დღეისთვის კი უკვე ბაქო-თბილისის, თბილისი-სოხუმის რეისები სტაბილურად მუშაობდა და თბილისი-მოსკოვის მოსაშუადებელი სამუშაოებიც გაჩაღებული იყო. გასაუბრებდად დაქოქილ „ოუნკერსთან“ პირველი რეისის დამსაზურებული პილოტები – გერმანელი იოსიბ შპილი და ამბაკო საღარაძე ფუსფუსებდნენ.

ვესერბურგში (ბავარია) დაბადებული შპილი მეგად გამოცდილ მფრინავად და „ოუნკერსის“ თვითმფრინავების საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა. იგი 1912 წლიდან მსაზურობდა გერმანულ არმიაში და მსოფლიო ომის შემდეგ „ოუნკერსის“ ფირმაში გადაბარეგდა, საიდანაც 1923 წელს მოსკოვში გაგზავნეს. „ზაკავიაში“ კი 1924 წლიდან დაინყო მუშაობა, სადაც მალეეე გერმანელი პროფესიონალიზმის ცოცხალ სიმბოლოდ იქცა. აგერ უკვე 33 წელი უსრულდებოდა და „მძიმე“ პროფესიის გამო დაქორწინებას ვერ ახერხებდა. საკუთარი ხელფასით კი გერმანიაში დედას, ძმასა და ორ დას ინახავდა. მარშან „ზაკავიაში“ მისი 100 000 კილომეტრიანი სტაჟის შესრულება აღნიშნეს და ახლა კიდევ 30 000 კილომეტრამდე უსრულდებოდა. შპილს უხაროდა – პირველ პპრილს მისი ხელშეკრულების ვადა ინურებოდა და მოსკოვში პპირებდა დაბრუნებას, საიდანაც, შესაძლოა, სამშობლოში გადაყვანაზეც დაეყოლიებინა უფროსობა.

მგზავრებმა იცოდნენ, რომ ორსაათნახევრიანი უკვე სოხუმში იქნებოდნენ – ზოგ მათგანს აფხაზეთთან ძველი მოგონებები აკავშირებდა – სერგოს მოღელვარე რევოლუციური ცხოვრება გუდაუთიდან დაინყო; გიორგი ათარბეგოვმაც პირველი ნათლობა სოხუმის „ბოლშეევიკურ აფკანყებაში“ 1918 წელს მიიღო. ძმედან გაქცევის შემდეგაც ნარმოუდგენელი სისასტიკით გაითქვა სახელი ჩრდილოკავკასიაში, რომელიც ნიიურმა ჩეკისტმა ნითელი ტერორის სახელით დაიესა მთიელთა აულებში. შემდეგ „ზურაბოვანასა და მშობლიურ სოხუმში, ბოლოს კი საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისიაში ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ შედარებით ნყნარ პოსტზე – კომუნიკაციების სფერონი ფოსტა-ტელეგრაფის სახკომის რწმუნებულად გადაიყვანეს და ახლა რადიომაუწყებლობის ქსელის ამუშავებას კურირებდა. ალექსანდრე მიასნიკოვს (მიასნიკიანი) სოხუმთან სხვა ანგარიშები ჰქონდა – რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი რეალურად ცენტრის პოლიტიკის მთავარი ბურჯი იყო კაკკასიაში. 1921 წლიდან ლენინის უმფალო „მეკავშირის“ რეპუტაციით სარგებლობდა და მარქსიზმ-ლენინიზმის თეორეტიკოსობაზეც ჰქონდა პრეტენზია. სოხუმში კი მას ლეგ ტროცკისთან ნაკლებად სასიამოვნო შეხვედრა ელოდა – ამასწინანდელ პარტიულ ფორუმზე ტროცკის სასტიკ კრიტიკას აღრესატი უპასუხოდ არ დატოვებდა. მოსალოდნელი პოლემიკის ნინ მიასნიკოვს მორალური უპირატესობის გრძნობას სწორედ საპჰარო რეისი აძლევდა – 1924 წლის იანვარში, როდესაც ლენინი მიიცვალა, ტროცკი სოხუმში ისვენებდა და აეროპლანით გადადფრენას მოსკოვამდე მატარებლით მგზაურობა არჩია და დაკრძალვასაც ვერ ნაუსწრო.

სოლომონ მოგილევსკის სოხუმთან ასევე საკუთრობა-სამმანი მოგონებები – ფელიქს ძერჟინსკის სარისკო საკურორტო მოგზაურობა (ამიერკავკასიის საგანგებო კომისიაში – „ზაკჩეკას“ შეფს კარგად მოეხსენებოდა ინფორმაცია, რომ ქართველმა იატაკქვეშელებმა მხლოდ საპასუხო რეპრესიების – მშვიდობიანი მოსახლეობის დაზარალების მოლოდინის გამო გადაიფიქრეს ძერჟინსკიზე ტერაქტის აკაშორებდა. ამჯერად კი აფხაზჩეკასთვის მას პირადად უნდა განემარტა ახალი სამოკავრობო კურსის – „პირით სოფლისკენ“ – 1924 წლის ანტიისაბჭოთა აჯანყების შემდეგ გლეხობის დამშვიმინების და მიმნოობის მნიშვნელობა და ნიუანსები.

თორმეტის რომ თხუთმეტი წუთი დაკალკულა, როგორც იქნა, მგზავრებმა ჩასხდომა დაინყეს. სერგო ორჯონიკიძემ აერიდერომს ბოლი წუთებზე შეატყობინა, რომ სოხუმში ნასვლას ვეღარ აბერხებდა. ამასობაში ამბაკო საღარაძეც მორრა მეგობრებთან გამომშვიდობებას – ყოფილ სამხედრო პილოტ საღარაძეს ყველა მზკიცე ხასიათისა და გაბედულ ადამიანად იცნობდა და დღეკვანდელი გადაჭარბებული სენტიმენტალობა, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოეჩვენათ.

დილიდანვე სამხრეთ-აღმოსავლეთის ძლიერი ქარი ქრიდა. „ოუნკერსი“ ზუსტად 11:50 წუთზე აფრინდა, სიმაღლე აკრიფა, ქარს გაპყვა და ქალაქის გარშემო წრის შემოხაზვას შეუფდა. ზემო ტტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუნკერს F13

ბის (ამჟამად თბილისის ზღვის) მხარეს იგი უკვე ცის სილურჯეში ჩაიკარგა. აქედან აეროპლანს აღმოსავლეთით უნდა შემოეხვია, თბილისის გასასვლელიდან კი რკინიგზის ხაზს უნდა გაჰყოლოდა დასავლეთისაკენ.

12:05 წუთზე აეროდრომში რკინიგზის მთავარი სახელოსნოებიდან დარეკეს, რომ „იუნკერსი" მათ სიახლოვეს ჩამოვარდა. მალევე, პირველის ნახევარზე, შემაშფოთებელმა ცნობამ მუშათა სასახლეშიც (დღევანდელი „თბილისი-მარიოტი") მიაღწია, სადაც ნარიმანოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო სხდომა უნდა გახსნილიყო. სერგო ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი და შალვა ელიავა სხვებთან ერთად დიდუბის იპოდრომისკენ გაქანდნენ. კატასტროფის ადგილზე მისულებს უამრავი ხალხი და შემზარავი სურათი დახვდათ: ფერფლსა და გაშავებულ ნამსხვრევებში გულაღმა ეგდო საშინლად დამწვარი ორი გვამი, რომელთა სახის გარჩევა შეუძლებელი იყო. ნამსხვრევებისაგან ოდნავ მოშორებით რაღაც უფორმო მასა ბოლავდა, რომლიდანაც ძნელად თუ შეიძლებოდა ადამიანის ამოცნობა. იქვე ცეცხლშეუხებელი, მაგრამ სასტიკად დასახიჩრებული ორი გვამი ეგდო, რომელთა ამოცნობა მხოლოდ ტანისამოსის მიხედვით მოხერხდა: სოლომონ მოგილევსკის ხელ-ფეხი ჰქონდა დამტვრეული და სახე გადაშლილი, ხოლო ათარბეგოვის თავის ქალა კი ნამსხვრევებად იყო ქცეული. აეროპლანის ნაშთებში ნაპოვნ ერთ გვამზე პილოტის ტანისამოსით საღარაძე ამოიცნეს, მეორე მიასნიკოვად მიიჩნიეს, ხოლო იოსებ შპილის გვამს საერთოდ დაკარგული ჰქონდა ადამიანის ფორმა.

თვითმხილველების (ზაჰესიდან მომავალი თბილისის აღმასკომის თანამშრომლების, გერმანელი კოლონისტების დასახლების ბავშვების, მწყემსების და შემთხვევითი გამვლელების) ჩვენებით, აეროპლანი ღრმაღელის მხრიდან გამოჩნდა, ოდნავ დაბლა დაიწია, შემდეგ კი მკვეთრად დაუშვა ცხვირი და პერპენდიკულარულად დაექანა მიწისკენ, ამ მომენტში აეროპლანიდან ორი ადამიანი გადმოხტა, ზედ მიწასთან შეჯახებამდე რამდენიმე წამით ადრე კი – მესამეც. მიწაზე დაცემისას ბენზინმა იფეთქა და „იუნკერსის" კორპუსი ცეცხლში გაეხვა.

25 მარტი ყველასთვის, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დაწესებულებისა და საწარმოების თანამშრომლების გარდა, დასვენების დღედ გამოცხადდა და ხალხი დაკრძალვაზე მირეკეს. საღამოსკენ ხუთივე კუბო „მუშათა სასახლიდან" პირადად ამიერკავკასიის ხელმძღვანელებმა გამოასვენეს და იქვე, ყოფილი „დიდების ტაძრის" (ცისფერი გალერიის) წინ გადაიტანეს, სადაც ხელმარცხნივ, შემაღლებულ ადგილას, ოთხი პირღია საფლავი იცდიდა. სერგეი კიროვის საბოლოო გამოსამშვიდობებელი სიტყვის შემდეგ ოთხი კუბო საფლავებში ჩაუშვეს. „იუნკერსის" მოსკოვის წარმომადგენლობამ „ზაკავიას" დეპეშით აცნობა, რომ შპილის ცხედარი სამშობლოში გადასაგზავნად მოემზადებინათ. ცერემონიალიდან იგი კვლავ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიტანეს. იქიდან კი 29 მარტს მატარებლით გაგზავნეს მოსკოვში.

კატასტროფის შემდეგ, 22 მარტსვე, საღამოს, ამიერკავკასიის ჩეკას უფროსის მოადგილე ეპიფანე კვანტალიანი „ОГПУ"-ს თავმჯდომარის მოადგილე ჰენრიხ იაგოდას პირდაპირი ხაზით ესაუბრა და კატასტროფის იმ დროისათვის ცნობილი გარემოებები შეატყობინა. იაგოდამ „ოგეპეუს" სახელით სამძიმარი გამოუცხადა ამიერკავკასიის ხელმძღვანელობას და, თავის მხრივ, დამატებითი ცნობები და კატასტროფის მიზეზების შესწავლა მოითხოვა. მეორე დღეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი წითელი არმიის სარდლის ავგუსტ კორკის თავმჯდომარეობით სამთავრობო საექსპერტო კომისია ჩამოყალიბდა. კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა იუნკერსის ნამსხვრევები და 24 მარტს გაზეთ „კომუნისტში" დასკვნა გამოაქვეყნა:

"ჰაეროპლანს არ წაჰკიდებია ცეცხლი მოტორის და მისი ნაწილების მოუწყობლობის გამო. მუშაობის მთელი სისტემა აღმოჩნდა კარგ მდგომარეობაში. ამის მიხედვით შეიძლება დასკვნა, რომ შეხლა-შემოხლა არ მომხდარა ავარიის დროს მმართველი ნაწილების გაფუჭების გამო. არ არის შემჩნეული აგრეთვე არავითარი ნაკლი ბენზინის სადენებში და იმ ადგილებში, სადაც ისინი უერთდებიან ბაკებს.

7. კომისიის დასკვნა: 1) ჰაეროპლანის ცეცხლის წაკიდება მოხდა არა მოტორისაგან და არც დაზიანებისაგან ან მმართველი ორგანოების ნაკლულევანებათაგან. 2) ვარაუდით ცეცხლი თვითმფრინავზე გაჩნდა სამგზავრო კაბინის შიგნით (შესაძლოა თამბაქოს წევის დროს ცეცხლთან გაუფრთხილებლობის გამო), საიდანაც ცეცხლი შესაძლებელია მოხვედროდა 18-ლიტრიან რეზერვუარს (რეზერვუარის ადგილი – მფრინავისა და მექანიკოსის თავებს შუა და მათ ზემოდან), რომელიც აწვდის ბენზინს კარბიურატორში".

კომისიის დასკვნამ და „ზაკავიას" გამუდმებულმა მტკიცებამ, რომ გამორიცხული იყო აეროპლანის ტექნიკური გაუმართაობა, უფრო გაამყარა კატასტროფის დღიდანვე ელვის სისწრაფით გავრცელებული ხმები, რომლის მთავარი გმირის მეგობარმა საჭიროდ ჩათვალა, ხსოვნის ნიშნად პირადი წერილის ფრაგმენტი გამოექვეყნებინა „კომუნისტის" ფურცლებზე:

„ძმაო კაპიტო!

ვიცი ჩემი ამბის გაგებას ელით, როგორ ვარ და სად? მე, ძმაო, ჯერჯერობით ვარ ცოცხალი... თბილისიდან გადმოვფრინდი კარგათ, მეორე დღეს დილის ათ საათზე გავემგზავრე სვანეთში. გავუდექი სვანეთის გზას. აგერ ჩემ ქვეშ გაირთხო ხვამლის მთა! იცი, რა მაღალი არის? აქედან მოსჩანს ჩვენი მხარე, კარგად ჩანს ჩვენი სოფელი და ჩვენი ადგილები. ხვამლის მთის იქით წინ მეგებება უფრო მაღალი მთები. მივდივარ წინ, მესალმებიან თოვლიანი მთები. ჯერ სვანეთში არავინ შესულა. წილად მხვდა ამ თოვლიან მთებში პირველად შესვლა. ოთხი ვერსის სიმაღლეზე მთები გვერდით მქონდა. არაჩვეულებრივი მთებია! ერთი ერთმანეთზე მაღლები! მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რამდენად მაგარი გულის პატრონი ვყოფილვარ!

სვანეთიდან პირდაპირ გავსწიე ჩემი სოფლისკენ; აგერ ჭრებალო... ჩვენი სოფელი! გარშემო სოფლები – ყველა ნაცნობი, მშობლიური მიდამოები, ადგილები, ტყეები, ზედა გორაბულნარა, კალოვეთი – ყველას ხელისგულივით დავჩერებივარ. ცრემლს ველარ ვიჭერ... ვტირი პატარა ბავშვივით..."

ცენზურამ ჩათვალა, რომ დაღუპული პილოტი მოკითხვის სიტყვებში მფრინავის სარისკო პროფესიაზე მიანიშნებდა, თუმცა პატიოსანი მკითხველი წერილის თარიღით ადვილად მიხვდებოდა პესიმიზმის საბაბს. საღარაძემ საქართველოს

ეჭვები იმის შესახებ, რომ 22 მარტის ავიაკატასტროფა უბედური შემთხვევა არ ყოფილა, კიდევ უფრო გაამყარა სოხუმში სამგლოვიარო მიტინგზე ლევ ტროცკის გესლიანმა ვარაუდმა, რომ კატასტროფის მიზეზებზე პასუხი შესაძლოა „ქართველ მენშევიკებს" ჰქონოდათ.

დემოკრატიული რესპუბლიკის შეძენილი აეროპლან Ansaldo SVA 10-ით საქართველოს მთიანეთში საცდელი ფრენები 1924 წლის ზაფხულში შეასრულა. რამდენიმე კვირის შემდეგ კი საქართველოში აჯანყებამ იფეთქა. კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ავიარაზმის ქართველი პილოტები ფაქტობრივ შინაპატიმრობაში მოაქციეს. ავიაცია – სამოქალაქო ავიაციის კუთვნილი აეროპლანები კი აქტიურად გამოიყენეს აჯანყების ჩასახშობად.

ამბაკო საღარაძის მამა – ერმალო საღარაძე, ძველი ტრამვაელი მუშა, სოციალ-დემოკრატი იყო. შვილებიდან ორთავე კი დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში მსახურობდნენ – ძმა 1921 წლის თებერვალ-მარტში ფრონტზე იბრძოდა; ამბაკო საღარაძე კი ავიარაზმში ასრულებდა მფრინავის მოვალეობას.

ეჭვები იმის შესახებ, რომ 22 მარტის ავიაკატასტროფა უბედური შემთხვევა არ ყოფილა, კიდევ უფრო გაამყარა სოხუმში სამგლოვიარო მიტინგზე ლევ ტროცკის გესლიანმა ვარაუდმა, რომ კატასტროფის მიზეზებზე პასუხი შესაძლოა „ქართველ მენშევიკებს" ჰქონოდათ.

თბილისელები ხელისუფლების უჩვეულო სიმკაცრემაც გააკვირვა – 25 მარტს მილიციამ, დაკრძალვისას ხულიგნობის – ჰაერში უწესრიგო სროლის ატეხის ბრალდებით, ერთი ხელის მოსმით ციხეში მიაბრძანა სხვადასხვა უბნებში მოკრეებილი მოქალაქეები. ზოგიერთი მათგანი მართლა წრფელი გულით ცდილობდა სამგლოვიარო ზალპს შეერთებოდა და დაღუპული ამხანაგებისთვის უკანასკნელი პატივი მიეგო. უმრავლესობა კი თავის გასამართლებელ მწყობრ არგუმენტებს ვერ აყალიბებდა და ყრუდ მიანიშნებდა, რომ ისინი ბოლო წლების ტრადიციებს აჰყვნენ, როცა თბილისელები ჰაერში სროლით აღნიშნავდნენ კომპარტიის ლიდერების – მაგალითად, ლენინის ან თუნდაც ნარიმანოვის დაღუპვის ცნობას და პასუხსაც არავინ სთხოვდათ.

1925 წლის 22 მარტის შემდეგ დიდხანს ახსოვდათ ლეგენდა (თუ სინამდვილე) მამაცი ქართველი პილოტის შესახებ, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად ანგარიში გაუსწორა „ქართველი ხალხის ჯალათებს". თუმცა დროთა განმავლობაში მოგონებები გაფერმკრთალდნენ. 1980-იანი წლების ბოლოს, კომუნისტური სიმბოლიკის ტერორის დაწყების შემდეგ, ცისფერი გალერეის წინ მემორიალური დაფებიც მოიშალა და დღეს გამვლელებს აზრადაც არ მოსდით, რომ გაზონის ქვეშ 22 მარტის ტრაგედიის მსხვერპლნი და შესაძლო ავტორიც გვერდიგვერდ განისვენებენ.

საინტერესოა ისიც, რომ ალბათ უფროს თაობას თუღა ახსოვს დიდი ბელადის უცნაური აკვიატების შესახებ – რაც დაჯავშნული ვაგონის და რკინიგზის სიყვარულსა და თვითმფრინავით მგზავრობის უიშვიათეს ფაქტებში გამოიხატებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

GIPA-ს სათხილამურო შეჯიბრი 2015

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), ყოველწლიურად მართავს სამთო სათხილამურო შეჯიბრებას. ტურნირი GIPA-ს ტრადიციაა, რომელიც ერთგვარი დამაკავშირებელი ჯაჭვია სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, ადმინისტრაციასა და ლექტორებს შორის.

როგორც ყოველთვის, GIPA-ს ტურნირის ორგანიზებაში პარტნიორი და მეგობარი ორგანიზაციები ეხმარებიან; მათ მიერ საპრიზო ადგილებზე დაწესებულია სპეციალური ჯილდოები.

წელს GIPA-ს ყოველწლიური სათხილამურო შეჯიბრება 22 თებერვალს, გუდაურში ჩატარდა.

შეჯიბრის მხარდამჭერები:
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
- თბილისის მერია

შეჯიბრის სპონსორები:
- სადაზღვევო კომპანია IC-Group
- სასტუმრო ლოპოტა
- ასკანელი
- სანტე

პრიზები:
I ადგილი: 1000 ლარიანი ვაუჩერი სათხილამურო მაღაზიაში
II ადგილი: 600 ლარიანი ვაუჩერი სათხილამურო მაღაზიაში
III ადგილი: სასტუმრო ლოპოტას საგზური (2 ადამიანზე)

გამარჯვებულები:

ვეტერანების ლიგა:
მერაბ მგელაძე (ზოგადი მენეჯმენტის კურსდამთავრებული)

გოგონები:
1. ნანიკო კლდიაშვილი (ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტი)
2. ანა მოსიძე (სოც. მეცნიერებების სტუდენტი)
3. ანა ნიკოლაიშვილი (სოც. მეცნიერებების სტუდენტი)

ბიჭები:
1. ნიკოლოზ ღლონტი (სოც. მეცნიერებების სტუდენტი)
2. გიორგი კლდიაშვილი (სოც. მეცნიერებების სტუდენტი)
3. გიორგი ჯაბადარი (სოც. მეცნიერებების სტუდენტი)

GIPA

SKI TOURNAMENT

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხოველი, ჩოგელის საჯუთარ თავს საჩქეში სნოგს

აფალინა, თეთრგვერდა და ზღვის ღორი კბილებიანი ვეშაპების, ანუ დელფინების ის წარმომადგენლები არიან, შავ ზღვაში რომ ცხოვრობენ.



აფალინა

ზურაბ გურიელიძე

ამათ შორის ზომით ყველაზე დიდი აფალინაა, სამეცნიერო სახელწოდებაა – **Tursiops truncates**, შემდეგ თეთრგვერდა ჩვეულებრივი დელფინი, შეიძლება ითქვას, ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობა მოდის, რომლის ლათინური სახელწოდებაა – **Delphinus delphis**, მესამე კი, ე.წ. ზღვის ღორი გახლავთ, რომლის ლათინური სახელწოდებაა – **Phocoena phocoena**.

ამერიკელი მეცნიერების მიერ თურქეთის სანაპიროებზე ჩატარებული კვლევის მიხედვით, შავი ზღვა არც ისე დიდი ხნისაა და საბოლოოდ ის დაახლოებით 9 ათასი წლის წინ ჩამოყალიბდა, როდესაც გამყინვარების პერიოდის დასრულების შემდეგ ყინული დადნა, რასაც ხმელთაშუა ზღვიდან ბოსფორის სრუტის გახეთქვა მოჰყვა. სნორედ ამ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს შავ ზღვაში დელფინების გამოჩენა. (ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, მანამდე აქ მტკნარი წყლის წყალსატევი იყო, რომელშიც წესით დელფინი არ უნდა ცხოვრობდეს, რადგან მტკნარი წყალი მათთვის სასიკვდილოა. არსებობენ მტკნარი წყლის, მდინარის დელფინები, რომლებიც ამაზონში, ინდში, განგში, იანძიში და სხვადასხვა მდინარეებში იყვნენ გავრცელებული რა თქმა უნდა, ეს მათ არ ეხება).

თუმცა ესეც საკამათო საკითხია; მაგალითად, საბჭოთა პერიოდის მეცნიერები, მათ შორის საკმაოდ ცნობილები, თვლიდნენ, რომ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში შავ ზღვაში თეთრგვერდა დელფინები ცხოვრობდნენ და შემდეგ სნორედ ამან გამოიწვია თეთრგვერდა დელფინების მორფოლოგიური ცვლილება, იმიტომ რომ შავ ზღვასთან ერთად ისინი ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტიკის ოკეანეშიც არიან გავრცელებული. შავ ზღვაში ცხოვრობს მათი ჯუჯა ფორმა, სნორედ აქედან გამომდინარე თვლიდნენ ეს მეცნიერები, რომ თეთრგვერდა დელფინები შავ ზღვაში საკმაოდ დიდი ხნის წინ ცხოვრობდნენ.

შემდგომში მათ დაემატათ აფალინა, შავი ზღვის ყველაზე დიდი დელფინი და ზღვის ღორი, რომელიც ამ ორივე სახეობისაგან განსხვავდება – ზღვის ღორი არ არის ისეთი დელფინი, როგორიც კლასიკურად წარმოგვიდგენია, მას ნისკარტი არ აქვს – უფრო ვეშაპს ჰგავს (თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ძალიან პატარა ვეშაპი), ინგლისურად მას საერთოდ დელფინიც არ ჰქვია. ზღვის ღორები სანაპარო წყლებში ცხოვრობენ.

შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის ეკოსისტემა ახლა ყალიბდება და საკმაოდ ხშირად ახალი სახეობების შემოჭრა ხდება. ეს ძირითადად უხერხემლოსნობი გამოიხატება. ეკოსისტემაში ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია – ამ უხერხემლოებით თევზები იკვებებიან, თევზებით – დელფინები და ნებისმიერ რგოლში რაღაც გადახრა დელფინების მდგომარეობაზე პირდაპირ აისახება.

დღევანდელი მდგომარეობით, შავ ზღვაში ყველაზე მცირე რაოდენობით აფალინაა დარჩენილი. 2009 ნლიდან მოყოლებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დელფინების რიცხოვნების სეზონური აღწერას ანარმოებს. ამ ექსპედიციაში თაჭვაც ეზრნა ნილეკობ და აფალინათა მაქსიმალური რაოდენობა, რაც შეგვხვედრია, ეს იყო 100 ინდივიდი ორ ჯგუფად. ყველაზე ხშირად 30-40-ინდივიდიანი ჯგუფები გვხვდება. ნარმოიდგინეთ, საქართველოს მთელი აკვატორია და მხოლოდ 100 აფალინა – ეს ძალიან ცოტაა.

დელფინთა კონცენტრაციის ადგილები ყოველ სეზონზე იცვლება. სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად ეს საკვებზეც არის დამოკიდებული. მაგალითად, ზაფხულში ზღვის ღორები მხოლოდ მცირე ჯგუფებით შეიძლება შეგხვდეს – ორ-ორი, ან ოთხი. ზამთრობით კი შეიძლება ძალიან დიდ ჯგუფებს გადაანყდეთ. მაგალითად, შარშან, როდესაც საკმაოდ დიდი სიცივეები იყო, ზღვის ღორების ათასზე მეტ ინდივიდიანი რამდენიმე ჯგუფი ვნახეთ. ასეთ პერიოდში, როდესაც დიდი ყინვებია, როგორც ჩანს, ზღვის ღორები საქართველოს ნაპირებთან იყრიან თავს, რადგან მათი ძირითადი საკვები ქაფშია. ასევეა თეთრგვერდა დელფინების შემთხვევაშიც.

საინტერესო ფაქტს ნავაწყდით 2012 ნლის 23 ივნისს: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა საქართველოს აკვატორიაში პირველად ნახა და გადაიღო თეთრი ზღვის ღორი რიონისა და ხობის შესართავების შორის, კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. იგი მდედრების 4-ინდივიდიან ჯგუფთან ერთად იყო, რომლის შემადგენლობაში ერთი პატარა, 1 ნლამდე ასაკის ნაშიერი შედიოდა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ჯგუფი მდედრების იყო. თეთრი ზღვის ღორის ზურგის მხარე ქათქათა თეთრი იყო, ზურგის ფარფლზე შავი არშია გასდევდა და სასუნთქ ხვრელთან შავი ლაქა აღენიშნებოდა, თვალებიც შავი ფერის ჰქონდა. იგივე ინდივიდი 2013 ნლის გაზაფხულზე, ანაკლიასთან, ჯგუფის გარეშე ვნახეთ. სამნუხაროდ, ფოტოგადაღება ვერ მოხერხდა. ის მხოლოდ ვიდეოზეა აღბეჭდილი, ისიც ცუდი ხარისხით. დელფინებში სრული

ალბინიზმი ან არასრული ალბინიზმი (ლეიციზმი) იშვიათი მოვლენაა. ლეიციზმის დროს ცხოველს აქვს მუქი თვალები, ხოლო ტანი მთლიანად ან ნაწილობრივ თეთრია იმ ადგილებში, სადაც ჩვეულებრივ მუქი შეფერილობის უნდა იყოს. 2011 წლის მონაცემებით, ბოლო 100 წლის განმავლობაში მსოფლიოში (შავი ზღვის გამოკლებით) ნაპოვნია სულ 4-5 თეთრი შეფერილობის ზღვის ღორი. შავ ზღვაში კი 1928 წლიდან მოყოლებული დღემდე 9 ერთეული (აქედან ერთი ჩვენც ვნახეთ) გამოირიყა: 1928 წელს და 1937 წელს – უკრაინის სანაპიროსთან (იალტა); 1948 წელს – ორი ნოვოროსიისკთან (რუსეთი); 2010 წელს – ტრაბზონთან (თურქეთი); 2012 წელს – ცოცხლად ვიხილეთ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, 2012 წელს თურქეთის ტერიტორიულ წყლებში ერთი ფსკერულ ტრალში მოყვა, ერთიც ცოცხლად 4-ჯერ – სტამბოლის სრუტეში, ერთიც სტამბოლის სრუტესთან (Tonay et al) გამოირიყა.

შავ ზღვაში თეთრი შეფერილობის ზღვის ღორების შეხვედრის შედარებით მაღალი სიხშირე შესაძლოა აიხსნას შავი ზღვის პოპულაციის იზოლაციის შედეგად ჰომოზიგოტურობის ზრდით და, შესაბამისად, რეცესიული ალელების გამოვლენის მეტი ალბათობით.

დელფინითა შორის ყველაზე მეტი პოპულარობით აფალინა სარგებლობს და ევროპისა და სხვა კონტინენტების დელფინარიუმთა უმეტესობაში სწორედ შავი ზღვის აფალინებს შეხვდებით.

როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირის პერიოდში მათი ექსპორტი დიდი რაოდენობით ხდებოდა და სწორედ ამან გამოიწვია, რომ შავ ზღვაში აფალინების რაოდენობა განსაკუთრებით შემცირდა. ამას გარდა, ისევ საბჭოთა პერიოდში, დელფინთა კვლევა სამხედრო მიზნებთან იყო დაკავშირებული, შესაბამისად – გასაიდუმლოებულიც. არ არსებობს ხელმისაწვდომი სტატისტიკა, სადაც დაჭერილი თუ დაღუპული დელფინების რაოდენობა იქნებოდა აღრიცხული.

ამ ყველაფრის შედეგად მივიღეთ ის, რომ საქართველოს ფაუნაში აფალინა ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი სახეობაა.

აფალინას პოპულარობა რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: ჯერ ერთი, სხვა დელფინებთან შედარებით დიდები არიან. რთულია იმაზე საუბარი, რომელი დელფინი უფრო მაღალი ინტელექტით გამოირჩევა, მაგრამ მიიჩნევენ, რომ აფალინა გონებრივად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია. ის კეთილგანწყობილია ადამიანების მიმართ, ასევე, საკმაოდ მარტივად სწავლობს ყველაფერს. სწორედ აფალინაა დელფინის ის სახეობა, რომლის გონებრივ განვითარებაზეც ლეგენდები დადის და რომელიც არც ისე შორსაა სინამდვილისაგან.

ამას გარდა, ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, დახრჩობის ან ზვიგენის თავდასხმის შემთხვევაში მას ადამიანის გადარჩენა შეუძლია. დელფინებს კარგად განვითარებული ინტელექტი აქვთ, ხშირად გასაოცარი ფაქტებიც არის აღწერილი. დელფინების ერთ-ერთ საკვებს მოლუსკები წარმოადგენენ, რომლებიც ზღვის ფსკერზე ქვიშაში ცხოვრობენ და დელფინები მათ დინგით ეძებენ. ისეთ ადგილებში კი, სადაც „ცხვირი" შეიძლება დაიზიანონ, (მაგალითად, მარჯნის რიფებში) და სადაც ასევე შხამიანი თევზები ცხოვრობენ, დელფინები ცხვირზე ღრუბელს (იგულისხმება ზღვის ცხოველი) წამოიცვამენ და ასე იცავენ ძალზე მნიშვნელოვან ორგანოს.

საინტერესო შეთხვევებია დელფინარიუმებში (ან ოკეანერიუმებში). საერთოდ დელფინარიუმები მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს, (თუმცა არის ქვეყნები სადაც დელფინარიუმების არსებობა აკრძალულია. მაგ. დიდ ბრიტანეთი, ინდოეთი). დელფინარიუმებში ხშირად ხვდება არასასურველი საგნები, მაგ. ცელოფნის პარკები, ქაღალდები და ა.შ. რომლის გადაყლაპვის შემთხვევაში დელფინი შეიძლება დაიღუპოს. აუზების ასეთი საგნებისგან გასაწმენდად, ხშირ შემთხვევაში თვითონ დელფინებს იყენებენ და პრემიაც აქვთ დაწესებული – ერთი მოტანილი პარკი ან ქაღალდი – ერთი თევზი. და დელფინებიც დიდი ხალისით აგროვებენ წყალში მოტივტივე ნაგავს. ასეთ ფაქტს მეც შევესწარი პორტ ელიზაბეტის დელფინარიუმში; ერთ-ერთი დელფინი უფრო შორსაც წავიდა – ქაღალდი აუზის ფსკერზე ჩაიტანა, ქვა დაადო და მეტი თევზის მისაღებად პატარა ნაგლეჯები ამოჰქონდა.

დელფინის მაღალ ინტელექტზე ისიც მეტყველებს, რომ ისინი იმ მცირერიცხოვან ცხოველებს განეკუთვნებიან, რომლებიც საკუთარ თავს სარკეში ცნობენ.

მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ძალიან საინტერესო და უნიკალური ფაქტი იყო აღწერილი: ამერიკელი ნეოროფიზიოლოგი ჯონ ლილი ცდილობდა 6 წლის აფალინა პეტერისათვის ინგლისური ენა ესწავლებინა. დელფინი სრულ იზოლაციაში იმყოფებოდა დამკვირვებელ 23 წლის მარგარეტ ჰოუვესთან ერთად. მათ არ ჰქონდათ კონტაქტი გარე სამყაროსთან. მარგარეტს მხოლოდ ერთი დღე ჰქონდა დასასვენებლად. აუზში წყალი დაახლოებით 50 სმ-ის სიმაღლეზე იდგა, რაც მარგარეტს საშუალებას აძლევდა გამუდმებით დელფინთან ერთად ყოფილიყო, ხოლო დელფინს კი შეეძლო შეუფერხებლად ეცურა. მარგარეტი ცდილობდა პეტერისათვის ლაპარაკი ესწავლებინა, პეტერს კი ამასობაში თავისი ექსპერიმენტატორი შეუყვარდა. პეტერი გამუდმებით ტრიალებდა მარგარეტის გარშემო, დინგით ეფერებოდა და ყველანაირად გამოხატავდა გრძნობებს მარგარეტის მიმართ. სამწუხაროდ, ექსპერიმენტი შეწყდა და პეტერი ფლორიდაში გადაიყვანეს, რამდენიმე კვირის შემდეგ მარგარეტმა შემზარავი ინფორმაცია მიიღო – პეტერმა თავი მოიკლა, დაწვა აუზის ფსკერზე და სუნთქვა შეწყვიტა.

აფალინებისთვის დამახასიათებელია ალტრუისტული ქცევა: ისინი ეხმარებიან ჯგუფის დაჭრილ წევრს, გაჩერდეს წყლის ზედაპირთან ჩასასუნთქად, იცავენ მას. გარდა ამისა, აღწერილია, თუ როგორ იტყუებდა

თეთრგვერდა დელფინი

აფალინა თევზით თოლიას და ასე იჭერდა მას, თუმცა ფრინველი მისი ტიპური საკვები არ არის. სოციუმის წევრებთან ურთიერობისას აფალინები ბგერების რთულ სისტემას იყენებენ როგორც ადამიანისთვის გასაგებ დიაპაზონში, ისე მაღალი სიხშირის ბგერებს, რომლებიც ექოლოკაციის დროს გამოიყენება. თითოეულ ინდივიდს აქვს თავისი დამახასიათებელი სტვენა, ე.წ. ხელწერა, რომლითაც მას ჯგუფის წევრები ცნობენ.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც დელფინებისადმი ადამიანების დამოკიდებულება მთლად პოზიტიური არ არის. ვთქვათ მეთევზეებს მაინცდამაინც არ უყვართ დელფინები, მიიჩნევენ, რომ ისინი მათ თევზს უნადგურებენ.

ველური დელფინიც კი ადამიანს თავს არ ესხმის, პირიქით, ყოველთვის, როდესაც ის სანაპირო წყლებში შემოდის, ადამიანებთან ძალიან ახლო კონტაქტი აქვს. მრავალ ქვეყანაში საკმაოდ კარგად არის დანერგილი დელფინებთან, ამ მუდამ მოღიმარ არსებებთან ერთად ცურვა.

ამასთანავე, არსებობს ტრადიციები, რომლებზეც რთულია საუბარი, რადგან დანიაში იქნება ეს, ფარერის კუნძულებზე თუ იაპონიაში, შემზარავია, როდესაც მასობრივად ხოცავენ დელფინებს, არსებებს, რომლებიც ამ დროს თავსაც კი არ იცავენ...

მიუხედავად იმისა, რომ დელფინები მტაცებელთა რიგს მიეკუთვნებიან, ისინი ევოლუციურად ჩლიქოსნებთან არიან ახლოს, რომლებიც ზღვაში დაბრუნდნენ და შემდგომ ძალიან სწრაფ მოცურავეებად ჩამოყალიბდნენ (საშუალო სისწრაფე დაახლებით 22 კვანძს შეადგენს). ხშირად შეიძლება ნახოთ თუ როგორ „ეჯიბრებიან“ დელფინები კატერებს და როგორ ხტიან გემების ან კატერების ცხვირთან გემის მიერ წარმოქმნილ ტალღებზე. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რითაც დელფინები სხვა ცხოველებისგან განსხვავდებიან, არის ის, რომ დელფინები ყოველთვის ტვინის ერთ ნახევარსფეროს იყენებენ – მეორე გამოთიშული აქვთ. მათ ფაქტობრივად არ სძინავთ, მხოლოდ რამდენიმე წამით თუ ნახავთ ტალღებზე უძრავად, სხვა შემთხვევაში ჩაიძირებიან.

დელფინები გამუდმებით მოძრაობაში არიან და სწორედ ამ გამუდმებული მოძრაობის შედეგად მოხდა ადაპტაცია – ისინი ხან ერთ ნახევარსფეროს რთავენ, ხან მეორეს. მკვლევრებს, რომლებიც დელფინების ქცევას, ინტელექტს სწავლობენ, ყოველთვის უჩნდებათ კითხვა – რა მოხდება, თუკი ტვინის ორივე ნახევარსფეროს ერთად აამუშავებენ?!

ჟურნალ „ლიბერალისა“ და თბილისის ზოოპარკის ერთობლივი პროექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინი მთად და ღვინი ბარად

ლევან ბერძენიშვილი

საქართველოში ბევრი რამ იცვლება, მათ შორის, აშკარად იცვლება დამოკიდებულება სუფრის მიმართ და ამ დამოკიდებულების ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, სასმელის მიმართ დამოკიდებულების შეცვლამ გამოიწვია.

ტრადიციული ქართული სასმელი იყო, არის და, რა თქმა უნდა, დიდი ხნის განმავლობაში იქნება ღვინო, რომელიც სპეციფიკურ სუფრულ წესებს: სადღეგრძელოებს, მიმდევრობას და, ერთი სიტყვით, რიტუალს ითხოვს, ამას კი დიდი დრო სჭირდება.

ამავდროულად, ამ რიტუალის შესასრულებლად გარკვეული ცოდნაა აუცილებელი, დაახლოებით ისევე, როგორც ზოგიერთ შემთხვევაში ნახატის აღქმისას. ჩვეულებრივ მუსიკას შესაძლოა არ სჭირდება მუსიკის თეორიაში გარკვევა, მაგრამ, მაგალითად, ატონალურ მუსიკას განათლება არ აწყენს, ისევე, როგორც ზოგიერთი წიგნის წაკითხვას.

დღევანდელ სამყაროში ლუდი და ღვინო ერთმანეთთან ოპოზიციაშია. ლუდმა დაიკავა საკუთარი, „ახალგაზრდული“ ადგილი.

საქართველოს მთიანეთი ლუდის გავრცელების მხარეა და პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სინამდვილეში ქვეყნის მთად და ბარად დაყოფა სწორედ ასე ხდება – ბარი ის ადგილია, სადაც ვენახი ხარობს და სადაც ღვინოს სვამენ, მთა კი – ადგილი, სადაც აქვთ ღვინო, მაგრამ მთავარი სასმელი ადგილობრივი ლუდია.

ქართულ ლუდს ინდოევროპული სახელი ჰქვია – პროტო. ინდოევროპულ ენაში ეს იყო ჰელუტი. იმ ენებში, საიდანაც როგორც ჩანს ჩვენ ეს სახელწოდება ვისესხეთ, ლუდს – ალუტი ჰქვია, გერმანულად ალუ, მრავლობით რიცხვში – ალუპი, ინგლისური – ეილ სწორედ აქედან მოდის. ლუდის სახელი ჩვენ ირანული ენიდან, კერძოდ ჩრდილო კავკასიიდან – ოსური, ალანური, ანუ წინაოსური ენიდან უძველესი დროიდან გვაქვს ნასესხები.

ლუდი ძველი ამბავია, იმ ხნისაა, რა ხნისაც თვითონ მარცვლეულია, დაახლოებით 9000-9500 წლის. მცოდნე ხალხი მარცვლეულზე ამბობს, რომ მისი პოპულარობა არა პურის გამოცხობამ, არამედ ლუდის დამზადებამ გამოიწვიაო.

ახლა რაც შეეხება განსხვავებას კულტურაში. ტრადიციული წარმოდგენები გვაქვს იმაზე, თუ როგორია ლუდის მოხმარების კულტურა ქალაქში. მე ბათუმელი ვარ და

ვიცი, რას ნიშნავდა ლუდი ბათუმში – ჯერ ერთი, ბათუმს საკუთარი მითოლოგია ჰქონდა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ლუდი სხვებს სჯობდა. ცნობილი იყო ბათუმის, ე.წ. „პივზავოდის“ ლუდი.

ლუდი იყო არაფორმალური ურთიერთობის ნიშანი, მაშინ როდესაც მთაში მას ზუსტად ის ადგილი უჭირავს, რაც ბარში ღვინოს – თუ ღვინოსთან დაკავშირებით გვაქვს ზედაშე, რელიგიური რიტუალები ქართულ მთაში მჭიდრო კავშირშია ლუდთან. მთაში ლუდი ტრადიციასთან, რელიგიასთან არის დაკავშირებული. ხევისბერი მასთან პირდაპირ და უშუალო კავშირშია.

მთაში ლუდი ისეა წარმოდგენილი, როგორც ბარში ღვინო და აქ ის ერთადერთი და მნიშვნელოვანი სასმელია. ბარში ლუდი ისეთი დიდი სასმელების კონკურნეტია, როგორიცაა ღვინო, არაყი და ა.შ. რიტუალური თვალსაზრისით ლუდი ბარში არ განიხილება, აქ ის სახუმარო რიტუალებში მოიაზრება. ჩვენ შეიძლება გვითხრან, რომ ბარშიც ისე მოვექცეთ ლუდს, როგორც მთაში და ლუდით ვთქვათ სადღეგრძელოები, თუმცა ეს ამბავი მაინც არ გამოვა, იმიტომ რომ არსებობს კულტურული წარმონაქმნი, რომელმაც უკუღმართი სადღეგრძელოები წარმოშვა.

როდესაც ქალაქში ადამიანს ლუდით ადღეგრძელებ, ამით მას არ ლოცავ, ხოლო როდესაც ლუდით დაიწუნებ, ამით დალოცვა გამოგდის. ეს ჩვეულება იმ სიტყვების გამოთქმის მაღალმხატვრულ საშუალებას იძლევა, რომლებიც გიხარია და თან დაცული ხარ – იმას არ გულისხმობ, რასაც ეს სიტყვები გამოხატავს. მოკლედ, ბარში ლუდი თამაშის საშუალებაა და აქ უცნაურად ხვდება ერთმანეთს ორი სიტყვა, ქართული – ლუდი და ლათინური – ლუდუს, ლუდუმ – რაც თამაშს ნიშნავს. რა თქმა უნდა, ამ სიტყვებს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს, უბრალო შემთხვევითობაა, მაგრამ ფაქტია – ბარში ლუდმა თამაშის საშუალება მოგვცა, ლუდი – ლუდურად, ანუ ლუდუსურად, ლუდუმურად იქცევა. „Homo Ludens"- მოთამაშე კაცი, ამავე დროს ლუდის მსმელი კაცია, იოჰან ჰოიზინგას ცნობილი წიგნის სათაურია...

ლუდი, როგორც ვთქვით, ახალგაზრდობის სასმელია. ის ამავდროულად, ე.წ. თანმხლები სასმელიცაა. ღვინო ვერ იქნება თანმხლები, ღვინო ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრულია. ლუდიც ასეა მთაში, მაგრამ ბარში მას თანმხლები სასმელის მნიშვნელობა აქვს, ისე შეიძლება დაილიოს, რომ არ ითქვას არც პირდაპირი, არც პირუკუ სადღეგრძელო. ასეთ დროს მას თავისი ტიპის სანახაობა სჭირდება.

მოგეხსენებათ, სანახაობა სულ მცირე ორ ნაწილად იყოფა: ერთი, ასე ვთქვათ, თეატრალური, ესთეტიკური სანახაობა – ამ დროს სიამოვნების მისაღებად ფულს იხდი, ხოლო მეორე – სანახაობა, რომელშიც ფულს იხდი, მაგრამ კაცმა არ იცის სიამოვნებას მიიღებ თუ ინფარქტით წამოხვალ ან გამოგიტანენ სტადიონიდან. არსებობს თეატრი და არსებობს სპორტი. ლუდი სპორტის თანხმლები სასმელია. ახალ რელიგიას რომ ვქმნიდე, ლუდის ღმერთს სპორტის ღმერთთან დავაკავშირებდი, თუნდაც ცოლ-ქმრად გამოვიყვანდი.

ლუდს თანმხლებობის უნარი აქვს, მაგრამ არამც და არამც საზოგადოების თავშეყრის ადგილას – სტადიონზე ემოციები პიკს აღწევს და ლუდით სავსე ბოთლიც, ცელოფნის იქნება ის თუ პლასტმასის, საშიში ხდება. მორუმბის სტადიონზე ბრაზილიის ნაკრებს ლუდის ბოთლები რომ დაუშინეს, ჩემ ირგვლივ არავის უთქვამს, კიდევ კარგი შუშის არ არისო. პლასტმასის ბოთლებიც გვარიანად საშიში აღმოჩნდა.

ლუდი თან ახლავს ტელევიზიას, ანუ სპორტული სანახაობის გაშუალებულ ხილვას. როგორც ჩანს, ეს უბრალო ამბავი არ არის, ანუ ლუდი ახალგაზრდობაა, შეჯიბრებაა, მათ შორის შეჯიბრი თვითონ ლუდთან მიმართებაშიც – ვინ მეტს დალევს და ა.შ. - ჩვეულებრივი შეჯიბრია, მაგრამ ამავდროულად ლუდი მუდმივად უკავშირდება თამაშს.

წელიწადში ერთხელ, გერმანიაში, ერთ შესანიშნავ ადგილას, თამაშის მონაწილეები ჩაიცვამენ სპეციალურ ტყავის სამოსს, ბავარიის მეფის მიერ XVIII საუკუნეში გამოცემული კანონით დადგენილი წესებით მოიხარშება ლუდი – ვაიცენი, დაასხამენ ლუდს სკამებზე, დასხდებიან „ლუდისტყაოსნები“, გაქანდებიან თავიანთი მძლავრი სხეულებით და წამოდგომისას სკამი თუ აჰყვათ, ითვლება, რომ კარგი ლუდი მოუხარშავთ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ლუდს სულ სხვა ტიპის ურთიერთობები უკავშირდება, შესაბამისად, იქ, სადაც ლუდი რიტუალური არ არის – ის დემოკრატიული სასმელია და ყველა სასმელზე მეტადაა შეჯიბრზე ორიენტირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მდიდარი ვაჭრის სახლი ავლაბარში,
მაკეტი, ავტ. მიხეილ მანსვეტაშვილი, XX ს-ის I ნახ., ხე, მუყაო, 75×104 სმ.

თბილისურ შენობათა მაკეტების ეროვნული

თბილისის ისტორიის მუზეუმის ხის ფონდში დაცულია თბილისურ შენობათა მაკეტების კოლექცია. XX საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ არნახული მშენებლობა წამოიწყო, რამაც ძველი ქალაქის იერსახე სრულიად შეცვალა. ამ რეკონსტრუქციას ბევრი თბილისური უბანი და შენობა ემსხვერპლა. მუზეუმის ხელმძღვანელობამ შემოიკრიბა მაკეტების ოსტატები - ლეონ ნაბათოვი, მიხეილ მანსვეტაშვილი, ბარიკინი; ამ ადამიანებს ძალიან კარგად ახსოვდათ ძველი თბილისური დუქნები, სახელოსნოები, საცხოვრებელი სახლები, სრულიად უბრალო მასალით (ხე, ფანერა, მუყაო, კენჭები, წებო, პლასტელინი). ისინი ძველი თბილისური შენობების პატარა მაკეტებს ქმნიდნენ, რომელთა საშუალებითაც დღეს შეგვიძლია ძველი თბილისის განუმეორებელი კოლორიტი შევიგრძნოთ.



ტრამვაის ვაგონი,
მაკეტი, XX ს-ის I ნახ., ხე, ლითონი, 23×15×67 სმ.

ტრამვაის ვაგონი,
მაკეტი, XX ს-ის I ნახ., ლითონი, 28×62×16 სმ.

ხილის სავაჭრო დუქანი,
მაკეტი, ავტ. მიხეილ მანსვეტაშვილი XX ს-ის I ნახ., ხე,თიხა, მინა, 29×40 სმ.

მუხრან ბატონების სასახლე,
მაკეტი, ავტ. ლეონ ნაბათოვი, XX ს-ის I ნახ., ხე, მარმარილო, მუყაო, 64×160×61 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლი მეზონინით,

მაკეტი, ავტ. ლეონ ნაბათოვი, XX ს-ის I ნახ., ხე, ლითონი, მუყაო, 72×74×53 სმ.

სახელოსნო დარაბები

მაკეტი, ავტ. ლეონ ნაბათოვი, XX ს-ის I ნახ.,ხე, მინა, 40×40×56 სმ.

მეტეხის ტაძარი და ციხე,
მაკეტი, ავტ. მიხეილ მანსვეტაშვილი, XX ს I ნახ., ხე, თიხა, მინა, ლითონი, 2.15×1.25სმ

სახლი აბას-აბადის მოედანზე (ახლ. გუდიაშვილის მოედანი), ე.წ. „ცისფერი სახლი“,
მაკეტი, ავტ. მიხეილ მანსვეტაშვილი, XX ს-ის I ნახ., ხე, მინა, თიხა, 2.7×1.10 სმ.

ეტლი,
XIX-XX სს., ხე, ტყავი, ლითონი,
ქსოვილი, 2.91×2×1.50 სმ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.

ლიბერალი

GEORGIAN NATIONAL MUSEUM

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობის ნათელი

ღმო და ცენზურის ტრანსფორმაცია



დავით ბუხრიკიძე

როდესაც საფრანგეთის კულტურის მინისტრმა გადაწყვიტა, რომ უკვე აღიარებული მხატვარი, გუსტავ კურბე 1870 წელს საფრანგეთის საპატიო ორდენით დაეჯილდოვებინა, კურბემ მას ერთი შეხედვით უცნაური წერილით უპასუხა: „როდესაც ხელისუფლება ხელოვანს აჯილდოებს, ეს უკვე ხელოვნების უზურპაციაა; ხელოვნებისა ყველაზე ნაკლებად სწორედ ხელისუფლების წარმომადგენელთ ესმით".

როგორც წესი, ხელისუფლება ურჩ და განდეგილ ხელოვანებს არ აჯილდოებს, ის უფრო მეტად სჯის. კურბეს შემთხვევა გამონაკლისია, რომელიც ჭეშმარიტებას მხოლოდ ადასტურებს.

...ტოტალურად ხელისშემშლელია თუ არა ცენზურა? ახდენს თუ არა ის გავლენას ხელოვანის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე? შეიძლება თუ არა ლოკალური აკრძალვა სახელმწიფო დიქტატურის გამოვლინებაში გადაიზარდოს? ხომ არ ნიშნავს ცენზურა სინამდვილეში, ხელოვანის პროვოცირებას ან მისი ფანტაზიის გახელება-გაფართოებას? ამ კითხვებზე საპასუხოდ შეგვიძლია მაგალითად მეოცე საუკუნის ლიტცენზურის კონკრეტული შემთხვევები განვიხილოთ, რომლებიც განზოგადების საშუალებას მაინც იძლევა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ინდოელი მწერლის, სალმან რუშდის „სატანური ლექსების" პუბლიკაცია ლამის მსოფლიოში ყველაზე ხმაურიან და სკანდალურ ლიტერატურულ მოვლენად იქცა. თუმცა „მუჰამედისადმი უპატივცემულო და მკრეხელური დამოკიდებულების გამო" მუსულმანურ ქვეყნებში ის მაშინვე აიკრძალა. ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ხომეინიმ, მწერალს ე.წ. ფატვა (წყევლა-განაჩენი) გამოუცხადა, რაც ფაქტობრივად დიდი დევნილობის დასაწყისი იყო.

სალმან რუშდი დიდი ხნის განმავლობაში დევნილობაში ცხოვრობდა, ხშირად გასაიდუმლოებულ ვითარებაში და უსაფრთხოების სამსახურის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. წერდა გამოგონილი სახელით და გვარით – ჯოზეფ ანტონი, რომელიც საყვარელი ავტორების, ჯოზეფ კონრადისა და ანტონ ჩეხოვის სახელების შერწყმით მოიფიქრა.

„სატანური ლექსების" გამოქვეყნებისთვის მწერალი ვენესუელაში 15 თვით დააპატიმრეს. იაპონიაში ჯარიმა დააწესეს მათთვის, ვინც ინგლისურენოვან გამოცემას შეიძენდა.

ალექსანდრ სოლჟენიცინი

■ შეიძლება ითქვას, რომ სოლჟენიცინმა საერთაშორისო საზოგადოებას პირველმა ამცნო გულაგების არსებობის შესახებ. რომანი მართლაც მოვლენად იქცა, ვინაიდან 20-იანი წლების შემდეგ ეს პირველი საბჭოთა ლიტერატურული ნაწარმოები იყო პოლიტიკურ თემაზე, რომელიც კომუნისტური პარტიის წევრის მიერ არ იყო დაწერილი...

მიშელ უელბეკი

ამერიკაში, წიგნის მაღაზიები უარს ამბობდნენ მისი ნაწარმოებების გაყიდვაზე. 1989 წელს, პაკისტანსა და ინდოეთში მწერლის წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო აქციები გაიმართა, რომელშიც ათასობით მორწმუნე მონაწილეობდა.

რუშდი შემდეგაც ბევრჯერ გამხდარა პოლიტიკური თუ რელიგიური სკანდალების მთავარი გმირი. მისი რომანი „შუაღამის შვილები" ინდოეთში ინდირა განდის შეურაცხმყოფელ ტექსტად აღიქვეს, რასაც სალმან რუშდისა და რაჯივ განდის შორის დაპირისპირება და პოლემიკა მოჰყვა. სხვათა შორის, დევნილობამ და რეპრესიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მწერლის პოპულარობაში. ერთნი ხოტბას ასხამდნენ და თავისუფალი აზრის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ, მეორენი წყევლიდნენ, ემუქრებოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც რამდენჯერმე მისი ფიტული დაწვეს.

1993 წელს სალმან რუშდი რომანისთვის „შუაღამის შვილები" „ბუკერით" დააჯილდოვეს. ამჟამად ის ამერიკული პენ-ცენტრის ხელმძღვანელია. რამდენიმე გახმაურებული რომანის გარდა, ის პუბლიცისტური პროზისა და მოთხრობათა კრებულის ავტორია. მოგვიანებით, 1998 წელს, ირანის პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ დაგმო ფატვა და რუშდიც თითქოს დაარწმუნეს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. მაგრამ მაჰმადიანი ფუნდამენტალისტებისთვის ფატვა არ უქმდება... ასე რომ, მწერლის დევნილობა ჯერ კიდევ გრძელდება.

საინტერესოა სალმან რუშდის პარალელი ალექსანდრ სოლჟენიცინთან, რომელმაც მთელი ცხოვრება ასევე გადასახლებაში, რეპრესიებსა და ცენზურასთან ბრძოლაში გაატარა. სოლჟენიცინი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი შემდგომი ბედი. შეეძლო წარმატებული სამხედრო კარიერა ჰქონოდა და ორჯერ სამხედრო ორდენითაც დააჯილდოვეს, თუმცა 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, სტალინის საჯარო კრიტიკის გამო დააპატიმრეს.

სასჯელს ციმბირში, შრომით-გამოსასწორებელ ბანაკებში იხდიდა („საშუალო ფაზაში", როგორც თავად უწოდებდა). რამდენიმე წელი გაატარა შარაშკაში, სპეციალურ სამეცნიერო ბანაკში, რომელსაც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი აკონტროლებდა. ეს გამოცდილება

■ პარადოქსია, მაგრამ უელბეკის შემოქმედებაში გაცილებით საინტერესოა „სახიფათო", რელიგიური თამაშის მიღმა დარჩენილი, არაკრძალული, სატირული და პორნოგრაფიული რომანი „პლატფორმა". საოცარი ირონიით აღწერილ პორნოგრაფიულ სცენებს თან ახლავს მოულოდნელი სენტიმენტალიზმიც.

სოლჟენიცინმა ასახა მოთხრობაში – „პირველი ციკლი“, რომელიც შემდგომში დასავლეთში, ემიგრაციაში ყოფნისას გამოაქვეყნა. 50-იან წლებში სოლჟენიცინი უკვე სპეცბანაკში გააგზავნეს, სადაც პოლიტიკური პატიმრები იმყოფებოდნენ. იქ გატარებული წლები საფუძვლად დაედო რომანს „ერთი დღე ივან დენისოვიჩის ცხოვრებიდან“.

1953 წელს სოლჟენიცინს შინაპატიმრობა მიუსაჯეს და კოლ-ტერეკში (სამხრეთი ყაზახეთი) გადაასახლეს. „ამ დროის განმავლობაში არა მხოლოდ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს დაწერილ სტრიქონს დაბეჭდილს ჩემს სიცოცხლეში ვერ ვნახავდი, არამედ ვერცერთ ჩემს უახლოეს მეგობარსაც კი ვერ წავაკითხებდი იმის შიშით, რომ ამას შეიტყობდნენ“, – წერდა იგი. „ოტტეპელის“ დრო თითქოს მასაც თბილად შეეხო – 1962 წელს პირადად ნიკიტა ხრუშჩოვის ნებართვით ჟურნალში „Новый мир“ გამოქვეყნდა მისი რომანი „ერთი დღე ივან დენისოვიჩის ცხოვრებიდან“.

შეიძლება ითქვას, რომ სოლჟენიცინმა საერთაშორისო საზოგადოებას პირველმა ამცნო გულაგების არსებობის შესახებ. რომანი მართლაც მოვლენად იქცა, ვინაიდან 20-იანი წლების შემდეგ ეს პირველი საბჭოთა ლიტერატურული ნაწარმოები იყო პოლიტიკურ თემაზე, რომელიც კომუნისტური პარტიის წევრის მიერ არ იყო დაწერილი... უფრო სწორად იმ ადამიანის მიერ იყო დაწერილი, რომელიც ციმბირში თავისუფლებისა და განსხვავებული აზროვნებისთვის გადაასახლეს და გავლილი ჯოჯოხეთის წრეების მიუხედავად, ცოცხალი გადარჩა!

1970 წელს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში სწორედ ალექსანდრ სოლჟენიცინს მიეკუთვნა რომანისთვის „არქიპელაგი გულაგი“, თუმცა მისი მიღება მხოლოდ დეპორტაციის შემდეგ შეძლო. „არქიპელაგი“ ფაქტობრივად, სამნაწილიანი, ისტორიულ-მხატვრული კვლევაა საბჭოთა საპატიმრო ბანაკებისა და, ზოგადად, სისტემის შესახებ. ის ემყარება მწერლის პირად გამოცდილებას და ასობით პოლიტპატიმრის აღიარებას. ეს არის მთელი საბჭოთა სისტემის ანალიზი და ამავე დროს მისი განაჩენიც, რადგან საბჭოთა სისტემა განხილულია ლენინის დროიდან, ანუ საფუძვლებიდან კომუნისტური რეჟიმის „რენესანსამდე“, ბრეჟნევის ხანამდე. რომანი პირველად პარიზში, 1973 წელს გამოქვეყნდა. ერთი წლის შემდეგ სოლჟენიცინს საბჭოთა მოქალაქეობა ჩამოართვეს და ქვეყნიდან გაამეცეს. რამდენიმე წლის განმავლობაში ის დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იან წლებში სოლჟენიცინი რუსეთში დაბრუნდა და თანამედროვე რუსეთის შესახებ რამდენიმე პუბლიცისტური წერილი გამოაქვეყნა. ბორის ელცინის ხელისუფლებამ უკვე ასაკოვან მწერალს წარსულის ჭრილობები მოუშუშა და მსუყე კომპენსაციაც დაუნიშნა. მოგვიანებით ის ანდრია პირველწოდებულის ორდენზე წა-

„სისატიკე გარდაუვალია. ხელისუფლებას დღესაც და ხვალაც აუცილებლად დასჭირდება ინტელექტუალები. ისე რა აზრი აქვს ზოგადად ხელისუფლების დისკურსს? ჩავლილი მემარცხენე ეიფორიის შემდეგ სწორედ იმის შესახებ ვლაპარაკობ, რაც უახლოეს მომავალში დიდ საფრთხედ შეიძლება იქცეს ინტელექტუალებისთვის.“



პიერ-პაოლო პაზოლინი

სალმან რუშდი

რადგინეს, თუმცა სოლჟენიცინმა ჯილდოზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მთავრობისგან, რომელმაც საშინელ მდგომარეობამდე მიიყვანა ქვეყანა, ჯილდოს ვერ მიიღებდა.

თუ სალმან რუშდისა და სოლჟენიცინის შემოქმედება რეპრესირებული და რელიგიური ცენზურის მაგალითებად შეიძლება განვიხილოთ, მეოცე საუკუნის სახელოვან ამერიკელ მწერალს, კურტ ვონეგუტს ცენზურა მხოლოდ „რბილად“ თუ „უხილავად“ შეეხო. ვონეგუტი გერმანელი ემიგრანტის შვილი იყო და ინდიანაპოლისში დაიბადა. ბედის ირონიით თუ საკუთარი არჩევნით, ის მეორე მსოფლიო ომში მოხალისედ წავიდა, სადაც ამერიკელებისა და ბრიტანელების მიერ დრეზდენის დაბომბვის მოწმე გახდა. ეს საზარელი შთაბეჭდილება მან თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რომანში – „სასაკლაო N5“ აღწერა.

მის ნაწარმოებებში გაბნეული მძაფრი სოციალურობა, მწვავე სატირა და ხარისხიანი შავი იუმორი დღესაც არ კარგავს აქტუალობას. რომანები – „სარწეველა ფისოსთვის“, „საუზმე ჩემპიონებისთვის“ და „სასაკლაო N5“, ბევრისთვის საყვარელ ნაწარმოებებად იქცა. „სასაკლაოში“ ვონეგუტი ამერიკელი ჯარისკაცის, ბილი პილიგრიმის ისტორიას აღწერს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს, 1945 წლის თებერვალში, დრეზდენის გამანადგურებელი დაბომბვის ეპიცენტრში აღმოჩნდება. ბილის განცდები, რომელსაც სარდაფებიდან ასობით გვამის გამოტანა მოუწია, ფაქტობრივად მწერლის პირადი, ტრაგიკული განცდების გამოძახილია, რაც მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სწორედ ამერიკის არმიის მძაფრი კრიტიკის გამო შეექმნა ვონეგუტს ცენზურასთან პრობლემა. მართალია, საბოლოოდ, რომანში თითქმის ყველაფერი შევიდა, რაც ავტორს სურდა, მაგრამ მცირე ტირაჟით გამოიცა და ამერიკის ბიბლიოთეკების ასოციაციის ქსელში შეზღუდული რაოდენობით შეიტანეს. უმთავრესი გზავნილი მაინც პაციფისტური იყო – „ეს ომი ამაზრზენი და აზრს მოკლებულია!“ – რამაც გავლენა მოახდინა ავტორისა და ნაწარმოების შემდგომ ბედზე.

ერთ-ერთ გვიანდელ ესეში „დროის რღვევა“ ვონეგუტი ჯიუტად ინარჩუნებს პაციფისტურ მსოფლმხედველობას: „რამდენჯერაც უნდა დაბრუნდეს დრო უკან, მაინც დაიბადება ჰიტლერი, მაინც ჩაიდენენ დანაშაულს კომუ-

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ინდოელი მწერლის, სალმან რუშდის „სატანური ლექსების“ პუბლიკაცია ლამის მსოფლიოში ყველაზე ხმაურიან და სკანდალურ ლიტერატურულ მოვლენად იქცა. თუმცა „მუჰამედისადმი უპატივცემულო და მკრეხელური დამოკიდებულების გამო“ მუსულმანურ ქვეყნებში ის მაშინვე აიკრძალა.

ლიტერატურა, როგორც მუდმივი რევოლუცია და მოსალოდნელი რეპრესია; წერა, როგორც ქმედება და თავშესაფარი; სიტყვა, როგორც სხეულის მოთქმა და სულის გამოჭედვა... ეს ყველაფერი ცენზურაგამოვლილმა მწერლებმა უკეთ იციან და შესაბამისად, სიტყვათგრძნობა მათ კიდევ უფრო გამძაფრებული აქვთ.

ნისტები, მაინც ექნება სამყაროს თვითმკვლელობის მცდელობები, მაინც შეიქმნება და დაიდგმება შოუ სახელად – 1945. წარსულის შეცვლა შეუძლებელია, ამიტომ აწმყოში ისეთი გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ, რომლის შეცვლაც შემდეგ აღარ მოგვინდება“.

უცნაური და პარადოქსული ფორმებით შეეხო ცენზურა ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფრანგი მწერლის, მიშელ უელბეკის მოთხრობებს, ესეებს, ინტერვიუს, რომანებს. 2002 წელს (როცა უელბეკს გამოქვეყნებული ჰქონდა რომანი „ელემენტარული ნაწილაკები“), ჟურნალ „Lire“-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ, რომელშიც ის ყოველგვარი პოლიტკორექტული ჩარჩოების გარეშე, მძაფრად, ცხადად და გროტესკულად საუბრობს თანამედროვე ევროპისა და ისლამური კულტურის შეუთავსებლობაზე.

ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, საფრანგეთის ისლამურმა საზოგადოებამ და მათ შორის, პარიზის მეჩეთის წინამძღოლმა, უელბეკი ისლამოფობიასა და რასიზმში დაადანაშაულა. მართალია, პარიზის ინტელექტუალური საზოგადოება ლამის ფეხზე დადგა და ადვოკატის წყალობით მწერალს ბრალი მოეხსნა, ამ პროცესიდან მცირე დროის შემდეგ უელბეკმა საფრანგეთი მაინც დატოვა. ის დღეს ხან ირლანდიაში ცხოვრობს და ხანაც ესპანეთში.

კიდევ უფრო გამომწვევი და არაპოლიტკორექტულია მიშელ უელბეკის ახალი, დაახლოებით 300-გვერდიანი რომანი „დამორჩილება“. თავის რომანში მწერალი საფრანგეთს ფაქტობრივად, მუსულმანურ ქვეყნად წარმოაჩენს, რომელშიც მოქმედება 2022 წელს მიმდინარეობს, და რომლის სახელმწიფოს მეთაურად უკვე მუსლიმთა პარტიის ლიდერს ირჩევენ...

„დამორჩილება“ დიდი ტირაჟით უნდა გამოსულიყო. თუმცა გაზეთ „შარლი ებდოზე“ მომხდარმა ტერაქტმა არა მარტო გამოსვლის ვადები შეცვალა (იგი შედარებით დაგვიანებთ დაიბეჭდა), არამედ ტერაქტის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაც... და ცხადია, თავად რომანის მთავარი გზავნილებიც. მემარცხენე პრესამ შანსი ხელიდან არ გაუშვა, რომ უელბეკისთვის ულტრამემარჯვენეებისა და მარი ლე პენის მხარდაჭერა დაებრალებინა. თუმცა თავად მწერალმა „ფრანს-პრესთან“ ინტერვიუში ეს ბრალდებები საჯაროდ უარყო.

პარადოქსია, მაგრამ უელბეკის შემოქმედებაში გაცილებით საინტერესოა „სახიფათო“, რელიგიური თამაშის მიღმა დარჩენილი, არააკრძალული, სატირული და პორნოგრაფიული რომანი „პლატფორმა“. საოცარი ირონიით აღწერილ პორნოგრაფიულ სცენებს თან ახლავს მოულოდნელი სენტიმენტალიზმიც. რაც არ უნდა აგრესიულ და ეგოისტ ადამიანად მოგვეჩვენოს მთავარი გმირი – მიშელი, გულის სიღრმეში ის მაინც თავისუფლების მაძიებელი და ეგზისტენციური პრობლემებით დამძიმებული ევროპელია.

უელბეკის თეზა, რომ თანამედროვე ევროპელი მხოლოდ სექსითა და ინტელექტით მოიპოვებს თავისუფლებას, ცოტა არ იყოს ირონიულად ჟღერს ფროიდის თეორიის შემდეგ: „ღმერთმა, რომელმაც ჩვენი ცოდვა დაიდო და მოკვდავ, არაფრის მაქნის და დაუნდობელ არსებებად შეგვქმნა, მცირე კომპენსაცია გაითვალისწინა. აბა, რა იქნებოდა ცხოვრება, დროდადრო მას ცოტა სექსი რომ არ ახალისებდეს?“

ლიტერატურა, როგორც მუდმივი რევოლუცია და მოსალოდნელი რეპრესია; წერა, როგორც ქმედება და თავშესაფარი; სიტყვა, როგორც სხეულის მოთქმა და სულის გამოჭედვა... ეს ყველაფერი ცენზურაგამოვლილმა მწერლებმა უკეთ იციან და შესაბამისად, სიტყვათგრძნობა მათ კიდევ უფრო გამძაფრებული აქვთ.

დავასრულოთ პიერ-პაოლო პაზოლინის ესეთი. დიდი რეჟისორი, მწერალი, სცენარისტი, პოეტი, პუბლიცისტი, რომელმაც საკუთარი ცხოვრება ფაქტობრივად, აკრძალვის დაკრძალვას შესწირა; ხელოვანი, რომელმაც საკუთარ კანზე იგრძნო რევოლუციაც და რეპრესიაც. მას შესანიშნავად აქვს დანახული ინტელექტუალების, მწერლების, პოეტების, რეჟისორების როლი საზოგადოების გამოსაფხიზლებლად და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოსახდენად.

„სისატიკე გარდაუვალია. ხელისუფლებას დღესაც და ხვალაც აუცილებლად დასჭირდება ინტელექტუალები. ისე რა აზრი აქვს ზოგადად ხელისუფლების დისკურსს? ჩავლილი მემარცხენე ეიფორიის შემდეგ სწორედ იმის შესახებ ვლაპარაკობ, რაც უახლოეს მომავალში დიდ საფრთხედ შეიძლება იქცეს ინტელექტუალებისთვის. როცა ხელისუფლებაში ულტრამემარჯვენეები მოვლენ, ჩვენ გველის მორიგი კომპრომისი, ახალი გადანაცვლება, ახალი კაპიტულაცია, რადგან ამის გარეშე ინტელექტუალები საარსებო სივრცეს ვერ დაიკავებენ“.

ძველი ჯასის გახსენება

ამ ერთი თვის წინათ, პირველ თებერვალს, ასი წლისა მოიყრებოდა სერ სტენლი მეთიუზი, ერთი სრულიად გამორჩეული ფეხბურთელი და ადამიანი, ოქროს ბურთის პირველი კავალერი, ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც სიცოცხლეშივე რაინდად აკურთხეს, სრულიად უნიკალური ადამიანი სტრატფორდშირიდან, ჰენლიში, სტოკში დაბადებული მოკრივე დალაქის მესამე ვაჟი, ადამიანი, რომელმაც სიცოცხლეში ერთადერთხელ მოსვა შამპანიური და ისიც მის მიერ ბლეკპილთან ერთად მოპოვებული ასოციაციის თასიდან და ისე იცოცხლა ოთხმოცდახუთი წელიწადი, რომ მეორედ ალკოჰოლს არ გაჰკარებია. კაცი რომელმაც ოცდათხუთმეტ წელიწადს ითამაშა პროფესიული ფეხბურთი და რომელმაც ფეხბურთელებს ფიზიკური მზადყოფნის, დიეტის, საგანგებო ვარჯიშების აუცილებლობა დაანახა, ადამიანი, რომელიც სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდით ჩაგრულ სამხრეთაფრიკელ ბიჭებს ავარჯიშებდა, ისინი კი თეთრსახიან შავკანიანს უწოდებდნენ.

ჩვენს ბავშვობაში იყო ასეთი წიგნი, "ოცდათხუთმეტი წელი მარჯვენა ფრთაზე". წიგნიც არ იყო, წიგნაკი, სულ ერთი ბენო. მას ყდაზე ავტორის გვარიც კი არ ეწერა.

ამ წიგნაკში სტენლი მეთიუზი თავისი ცხოვრების, ბავშვობის, თამაშის, და სხვა ათასი რამის შესახებ მოგვითხრობდა. ახლა კი ვიცი, რომ ეს იყო უკიდურესად შემოკლებული ვარიანტი მისი ბევრად სქელი წიგნისა, მაგრამ იმ წიგნაკის და საერთოდ თარგმნილი საფეხბურთო ლიტერატურის არსებობა მაგარი საქმე იყო.

არ ვიცი ეს წიგნაკი რუსულიდან იყო თარგმნილი თუ პირდაპირ ინგლისურიდან, მაგრამ მაგარი რამ კი იყო. ასეთ თხელ წიგნში ამდენი ამბავი და ასეთი მიმზიდველი ცხოვრება დატეულიყოს, არც კი ვიცი. ეგებ ახლა მეჩვენება და ის ბავშვობაში წაკითხული რაღაც ჯადოსნური მგონია, მაგრამ ის იყო ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი წიგნი, რომელიც ოდესმე

გიო ახვლედიანი

ის მთელი სიცოცხლე დადიოდა აფრიკაში, სადაც ღატაკ ბავშვებსა ასწავლიდა თამაშს, მაგრამ გამორჩეული მაინც სამხრეთი აფრიკა იყო, სადაც აპარტეიდის კანონები მოქმედებდა და მეთიუზმა კი სულ ფეხებზე დაიკიდა ეგ იქაური აპარტეიდი: 1975 წელს სოუეტოში გუნდი შექმნა, რომელსაც სტენის ბიჭები დაერქვა ერთხელაც ამ ბიჭებს ჰკითხა, რაზე ოცნებობთო და იმათ – ოდესმე ბრაზილიაში ვითამაშოთო. უფულო მეთიუზმა ეს მოახერხა, თან ისე, რომ სამხრეთ აფრიკის მთავრობამ ხმაც ვერ ამოიღო.. ისტორიაში პირველად შავი გუნდი ამ ქვეყნის სეგრეგირებულ დასახლებებს გასცდა და რიო დე ჟანეიროში ამოყო თავი.

წამიკითხავს. ასეთი წესიერებით, სისწორით, პატიოსნებით, ზრდილობით გაჟღენთილი წიგნი სხვა არც ვიცოდი.

იმ წიგნაკიდან მართლა უამრავი ამბავი დამამახსოვრდა, ეტყობა იმიტომ, რომ ბევრჯერ წავიკითხე. რა გინდოდა, იქ რომ არ ყოფილიყო, ოციანი წლების ბიჭური ფეხბურთი, თუ ოჯახური ცხოვრება, რომანებისთვისაც კი სანატრელი ვაჟკაცური მამა-შვილობა, ჰიტლერი, ვარჯიშები, მონდომება, მიზანსწრაფულობა, სპორტული სული და ის ამბავიც, თუ როგორ უჭირს გამორჩეულ კაცს.

პელემ თქვა მეთიუზის შესახებ, მაგ კაცმა გვიჩვენა გეზი, როგორ უნდა გვეთამაშა ფეხბურთიო. ის კი არ იგულისხმა, იმან გვასწავლა ფეხბურთის თამაშიო, არამედ ის, რომ მეთიუზისნაირი პერსონის არსებობამ ფეხბურთში თავად მოთამაშეებს შესძინა უამრავი რამ. არამხოლოდ ის, რომ სერ სტენლი ამდენ ხანს თამაშობდა ფეხბურთს; არც ის, რომ მას მსოფლიოში საუკეთესო, ნატიფი ჩაწოდება ჰქონდა; არც ის, რომ ფინტების მეფეს უნოდებდნენ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში არაჩვეულებრივი სიმსუბუქით მოძრაობდა ფრთაზე; ისიც კი არა, რომ თავისი სათამაშო არსენალი ისე დახვეწა, ისე ჩამოქნა, რომ მასში მრავალფეროვნების მიუხედავად ზედმეტი საერთოდ არაფერი იყო.

აქ ის იყო, რომ მეთიუზი ალბათ პირველი იყო მოთამაშეთა შორის, რომელმაც ფეხბურთელის სპორტული ცხოვრების სტანდარტი დააწესა.

მან საკუთარი თავისგან გამოძერწა ათწლეულების განმავლობაში ერთნაირ ფიზიკურ ფორმაში მყოფი ფეხბურთელი, მანვე შექმნა სანიმუშო რეჟიმი, მოიგონა პირადი დიეტები, პირადი ფიზიკური ვარჯიშები, მიაკვლია პირად სპორტულ სამოსს, რომელიც აწყობდა და მის თამაშის სტილს ეხმარებოდა. უკვე ორმოცს მიტანებული მეთიუზი ოკეანის გაღმიდან ინერდა უთხელეს, მაღალი მგრძნობელობის ბუცებს, რომლებიც ბრაზილიაში მსოფლიო თასზე ყოფნისას აღმოაჩინა, როგორებიც ინგლისში არ იყიდებოდა. ასეთ ბუცებს სეზონის მანძილზე უამრავს ცვეთდა, ყოველდღიური სავარჯიშო სირბილის დროს კი ტყვიით დამძიმებულ ფეხსაცმელს იცვამდა, რათა თამაშისას თავი მსუბუქად ეგრძნო. იმის გარდა, რომ ბრწყინვალე ფეხბურთელი გახლდათ, ის ფეხბურთის ნამდვილი მეცნიერიც იყო და თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატებზე სულ სამი მატჩი ითამაშა, მეთიუზი ერთადერთი კაცი გამოდგა, ვინც 1950 წლის გათამაშებიდან გავარდნილი ინგლისის ნაკრებს გამოეყო, თანაგუნდელებთან ერთად შინ არ გაემგზავრა და ბრაზილიაში დარჩა თამაშების საცქერლად.

მეთიუზი ფართო თვალსაწიერის ადამიანი იყო. ამის მიუხედავად ინგლისში მწვრთნელად ვერ ივარგა და ეგებ ეს საქმე სამისო არც იყო, რადგან ის ფეხბურთელად დარჩა.

მოთამაშის ოცდათხუთმეტწლიანი კარიერის შემდეგ სიცოცხლის შემდგომი ოცდათხუთმეტი წელიწადი მან მოგზაურობაში გაატარა. ესეც ფეხბურთის ოცდათხუთმეტი წელიწადი იყო, ოღონდაც სხვანაირი. მეთიუზი ენთუზიასტებს, მოყვარულებს, საინტერესო ბიჭებს, უქონელთ ავარჯიშებდა ისეთ ადგილებში, სადაც ფეხბურთი მისთვის სამშობლოსავით პირველი სიყვარული არ იყო: ამერიკა, კანადა, კარიბეთი, აფრიკის ქვეყნები.

ის მთელი სიცოცხლე დადიოდა აფრიკაში, სადაც ღატაკ ბავშვებს ასწავლიდა თამაშს, მაგრამ გამორჩეული მაინც სამხრეთი აფრიკა იყო, სადაც აპარტეიდის კანონები მოქმედებდა და მეთიუზმა კი სულ ფეხებზე დაიკიდა ეგ იქაური აპარტეიდი: 1975 წელს სოუეტოში გუნდი შექმნა, რომელსაც სტენის ბიჭები დაერქვა. ერთხელაც ამ ბიჭებს ჰკითხა, რაზე ოცნებობთო და იმათ – ოდესმე ბრაზილიაში ვითამაშოთო. უფულო მეთიუზმა ეს მოახერხა, თან ისე, რომ სამხრეთ აფრიკის მთავრობამ ხმაც ვერ ამოიღო. ისტორიაში პირველად შავი გუნდი ამ ქვეყნის სეგრეგირებულ დასახლებებს გასცდა და რიო დე ჟანეიროში ამოყო თავი.

ასეთი კაცი იყო და მორჩა. სინამდვილეში ეს ძალიან ინგლისურია, თუმცა კი, ინგლისგარეთა აზრი ხშირად ასეთია ხოლმე, რომ ინგლისელები ცხვირაწეული ვინმეები არიანო. ინგლისელებს კი რაღაცები ეხერხებათ, განსაკუთრებულად, სრულიად ინგლისურად. ყველა ხალხს თავისებური და თავისი ეხერხება ალბათ. სერ სტენლი მეთიუზის ფერფლი კი მისი მშობლიური სტოკის ახალი სტადიონის, ბრიტანიას ცენტრალურ წრეში მარხია. ასე გადაწყვიტეს.

მას არასდროს უთამაშია ამ მინდორზე, ვიქტორია გრაუნდის კაცი იყო, მაგრამ უმისოდ ეს მინდორი რა იქნებოდა. სხვაგან სად უნდა იყოს კაცი, რომელიც თხუთმეტი წლის ასაკიდან პროფესიონალი ფეხბურთელი იყო და იმის მიუხედავად, რომ ორმოცდაათი წლისა თამაშს გამოეთხოვა, სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ ფეხბურთელად დარჩა. ესეც მისი ერთ-ერთი საოცარი თვისება იყო, არავის შეუძლია მთელი სიცოცხლე ფეხბურთელი იყოს. ანუ, მის გარდა, არავის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



WWW.LIBERALI.GE

ი89/30

ეროვნული ბიბლიოთეკა

WWW.LIBERALI.GE

მოგვყევით

twitter

http://twitter.com/LiberaliMagazine

მოგვიწონეთ

Facebook

http://facebook.com/LiberaliMagazine

გამოიწერეთ

YouTube

http://youtube.com/LiberaliMagazine